

საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის მოცემულეთა გამოცემა № 1.

თიმესარისანი

თარგმნილი სპარსულიდან

მეფის თეატრაზე მიერ.

კონკრეტული გვ. 1

ე. თაყაიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით.



ტოლისი

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა, ნიკ.

1903



Дозволено цензурою, Тифлисъ, 12-го января 1901 г.

წინასიტყვათბა.

თიმშარიანი, ოომეჭიც პირველათ გამოდის ქართულს ენაზე, გადამოარგმნილია სპარსულის ენიდან, ოოგორც სათაურის შენიშვნა გვაუწეუბს, მეტის თეიმურაზის მიერ. მაგრამ ეგ კი სამდგილათ არ ვაცით, ოომეჭლ თეიმურაზ შევეს კეუთვნის თარგმანი, პირველს, თუ მეორეს. ცოტა უსტორ-მასტორობა ენისა, ოომეჭიც თეიმურაზ პირველის ან შეშევნის, და აგრეთვე ის გარემობა, ოომ მეჩვიდმეტე საუკუნის ხელთხაწერი თიმშარიანისა სრულებით არ მოიპოვება, აღა გილს აძლევს მოსაზრებას, ოომ შრომა უფრო თეიმურაზ II უნდა ებუთვნოდეს, ვიდრე პირველს. მაინც-და-მაინც ამ საკითხის გადასაწევეტი საბუთები ჯერ ხელში არ გვაქვს და ამის გამორკვება მომავლისთვის უნდა გადიდვას. სიტუა „თიმშარი“ ანუ უფრო სამდგრალი გამოთქმით „თიმშალი“ — სპარსულს ენაზე ნიშნავს არავს ანუ აშაკაცს.

თავდაპირველათ ეს თხზულება ინდოერს ენაზე გაჩენილა, ინდოერიდან მომდინარეობს ფალაური თარგმანი, ფალაურიდან ძველებური სპარსული მეათე საუკუნისა. მეთორმეტე საუკუნეში ძველი სპარსულისაგან შეუმუშავებიათ ახალი თარგმანი. სპარსულისაგან არის ნათარჯმით ქართული თიმშარიანი და თათრული. ფალაური ენიდან აგრძელებული ეს თხზულება უთარგმნიათ არაბულზე, არაბულიდან ასურულზე, გარაულზე და ისპანიურზე, ხოლო ასურულიდან მომდინარეობს ბერძნული თარგმანი¹). ამგვარათ თიმშარიანის თარგმანი უგელა ძველ ცნობილ ლიტერატურას ჰქონია და ამ მხრით არც ქართული ჩამორჩენია სივებს.

¹⁾ Сергей Ольденбургъ, профессоръ. О персидской прозаической версии книги Синдбада. Сборникъ статей учениковъ профессора Барона Виктора Романовича Розена. СПб. 1897, стр. 274.

დედა აზრი თიმსარანისა მოკლეთ ასე შეიძლება გამოიხატოს: ანდორის შევე თავგარჩხან სუისტით, სიმდიდრით, სიბრძნით და დიდებით ასეთი განთქმული იყო, რომ სხვა დედამიწაზე ტრადი არა ჰქოლია, მაგრამ უშეიღოების გამო დაღოსებული იყო. თავის უპირვესის ცოლის რჩევით, ხელმწიფები დაურიგა სამდიდრე და მონაცემი გრანაკათა, თბელითა და ქვრივთა და აგრეთვე მეუღლებრევეთა, გურცხლით უპირველია დმუროსი, და ღმერთმა მიახიჭა მას შეიღო. გახარებულმა მეოცემ შექვერა გარს კვლავთ მრავხველი და ქვითხა მათ ბედი თავის შეიღის. მათ უქადეს ხელმწიფის შეიღოს ვიმედის ბედი და დღე-კრძელობა, მაგრამ ესეც დატანეს, რომ ცხვევებაში დიდი განხსნაცელები მოედას ეშმაკისაგახო. მეოცეს ერთი ხელოვანი ხემბატ აქიმი უკვდა, მეტნიური და ფილისოფოვთსი, და რა კი დანარჩენმა შეზირებმა გერაფერი გერ შესმინეს მეოცეს შეიღოს, თავის ურმა მას შიაბარა გასაზრდელათ. ხელმწიფის შეიღომა სუმბატის ხელში მაღლ ისწავლა ურველი გაცომრიული მეტნიურება და სწავლა. რა სწავლას მორჩა და მოიწივა, სუმბატ აქიმი ხელმწიფებრივ მოსაუკანასო გაამზადა, მაგრამ ჯერ საეტლოში ჩახედა, და რა ჰქანა რამდი, უკრძალ შეპროა და ფერი წაუკიდა. მეოცის ძემ შეკრუა, რომ კარგი ხიშანი არ იყო, და სოხოვა უგელაიერი ხაძღვილით უთქა. სუმბატ აქიმი მოახსენა, შეიდ დღეს და დამეს შენს თავზე ჩასდი იქნებოს, და დარიგება მისცა, ამ შეიდ დღეს და დამეს ხმა არ ამოიღოვთ, რაც არ უნდა გვითხონო თვითონ ხელმწიფებრივ ადარ გაჭევა და მარტო შეიღო გაგზავნა. შეიღომა ხელმწიფეს არავითარ კითხვაზე პასუხი არ მისცა, გათაცებულმა ხელმწიფებ არ იცოდა რა ეწის, სუმბატ აქიმი არ გამოჩნდა, და გერას კაციდნ თავის შეიღომის მიზეზი გერ გაიგო. მას შინ წამდლენ ძიძა ქმაწვდილისა და ხელმწიფეს უთხრა, მაგის მიზეზის მე გაფიგებო, მე ძიძა გარო, მე უკელავერს შეტევისო, და წაიუგანა ხელმწიფის შეიღო თავის სახლში. ძიძამ ხელმწიფის შეიღომის სილა-მაზეს ვეღარ გაეძღო, არშიუბა დაუწეო და აღუთქა, თუ ნებას დამურდი, მამაშენს მოვწამდავ და ტახტი უქ დაგრჩებათ. ხელმწიფის შეიღომა ზიზდით უარ-უო ეს უცნაური წინადადება, და უთხრა, ამ შეიდ დღეს მამას ხმას ვერ გავცემო და, თუ ამ შეიდ დღეში მოგვედი

ბედი შენი არის, თუ არა მაკის ბასეუბის შერტე გაგრეშო. ქალმა გადასწუღიტა თავის გადასრუჩენათ ხელმწიფის შვილის დაღუწეულის და ამ აზრით ხელმწიფეს დაბეჭდა, საკუაცოთ მომინდო მათ და შენის სიკვდილის წინადადება მოძრაო. ხელმწიფეს დაუკარა და შვილი ჯალათების მისცა მოსკოვიდან.

ხელმწიფის ვეზირებმა შენიშვნების დაცის ვერაცობა და გადასწუგიტების ემცელათ ხელმწიფის შვილისათვის. ვეზირები, თავი ვეზირით დაწყებული, თათო თითო დღეს შედის ხელმწიფისთან და თავის თამარებით ასე არაკეთით დაცის ეშმაკობაზე არწმუნებენ ხელმწიფეს და ხელმწიფე ასერებს შვილის სიკვდილით დასკას, მაგრამ თათო ეულის ვეზირის შემდეგ შემთდის ხელმწიფესთან დაცი და საბასეუბო თამარებით ხედახედა აკერებს ხელმწიფეს შვილის დასამსულობაში და ხელმწიფე ბასერებს იძლევა შვილის სიკვდილით დასკისს. ამრავგათ გადის შვილი დღე, ხელმწიფის შვილი ხმას ამოღებს, სემბატ ექიმი გამოჩენდება, სიმართლე კამოშპარავდება, დაცი დაისაჯება, ვეზირები და სემბატ აქიმი დიდ სასტუქანის და მაღლობის მაილებში, ხელმწიფე თავის შვილს უდოცებს ცახცის და საუთველოთ შშვილობა და ბედნიერება მეარდება.

თავი სასკვი მოთხოვდისა არის თამარებში ასე არაგება. სხარსეულის „დიდი სიხდადის წიგნში“, რომლიდგანაც ქართული თამარისი არის სათარგმნი, სედ თცდა ცაშეტი თამარით ქართულში ერთი თამარი „მღვიმელარა კაცი და ბურები“ არ არის სრულებით და ერთოც „თოვლით და კანდეგილი“ აკლია ხელისაწერებს. დახარხენი უგძლეს (ხუსს თამართა იხილე 110—111 გვერდზე). ხოდო არაკეთი ქოვჭერ სხარსირათ არის განაწილებული მოღამარავეთა შორის, გიღრე სხარსეულში. სხარსეულში თათო გევირის თო-თოი თამარი ეპუთების, ქართულში კი მეხუთე და მექვეტე ვეზირს თითო თიმარით უწევს, სამაგიეროთ მეოთხე ვეზირს ქართული თამარისი სამს არავს აკუთნებს. ეს მცირე განსხვავება, შეიძლება, ცუდათ დაცული ხელისაწერების მიზეზი იური, მაგრამ ესეც შესაძლებელია, რომ იმ სხარსეულს დედიში, რომლიდგანაც უთარგმნით ქართული თამარისი, ასეთივე რიგი იურ.

ხელთისაწერებს თიმსარისისა, რომელიც ჩვენაში მოუღწევია, უკადას დიდი ნაკლი აქვს: არ ერთი ხელთისაწერი სრული არ არის, ამას გარდა ზოგიერთი ხელთისაწერებში ესა და რიგი თავებისა შესწორებული და შეცვლილია, ასე რომ სულ სხვა რედაქტია გამოდის; ზოგჯერ თიმსარისის არაები შემოვაბულია სიბრძნე სიც რეის არაებოან. ჩვენ ხელთა გვქონდა თიმის შემდევ ცნობილი ხელთისაწერები თიმსარისის, ამათში №№ 13, 1538, 3615 და 2446 კვეთვნის წერაკითხვის სახელგადაფეხის წიგნი საცავს. ერთიც მოიხვევბა შეტერბულის საჭარო ბიძლითოებაში (№ 52 თ-ს გრუზინების ხელთისაწერებისა), ამ ხელთისაწერიდან გადმოუდია ასლი ბ-ნს გ. ნ. გერმანის 1891 წელს, რომელიც ჩვენ გვითავაზა და რომელისთვის ცულითადის მაღლობის გულძვრობით. ხოლო შეტერბულის ხელთისაწერი აღმოჩნდა სრულიად შეცვლილი და შეგსებული დავით რეპტორისაგან და ამიტომ გამოუყენებული. აქვდგას ჩვენ დაგურულეთ ჩვენს გამოცემის მარტო ბოლო (იხ. გვ. 106—107), სხვა არ გამოგვადგა. ბარეგები 28 თამსარი ამ ხელთისაწერის რიგით ეთანხმება სხვა ხელთისაწერებს, მაგრამ ესა შეცვლილია. შემდგებ ამისა დავით რეპტორი უმატებს 11 თამსარს ანუ არაეს შისკანებები შეთხულებს, და თუმა აშენებს თავში: „ადგენის ძის დაფილის შირ მოგონილი და ქმნილი“ (გვ. 75ა). ბოლოში დავით რეპტორი მოგვითხოვბის, თუ რა ცვლილება მოუხდება შის თამსარისში:

„შეცნიერნი ამზედეს ნებ განმეორებით, რომელ ესე შისი საქმე არ იქმ და რად სწერდათ. იუ ვინმე იტეკით, მართალ არს, მაგრამ სიცილი უფროს განცხრობისად შემდგომილია, ამის სოფლისაგან ჯმილირა მოდგაწენი დღესმე განთიცინებები. მე გულ-სეგდიანი გსვა და ცუდათ ჯდომას ესე შრომა განხილ, თვარა ამისი წერა ჩემი პეტლი არ იქმ.“

„მითხვდოთა თდენ მოგახსენებ: რა ვჭეო, თუმცა ესე წიგნი სრულად ჩემსა ესასახელს გამემართა, ვისცა გარდმოუთარებია, მას შრომა წაუხდებოდა და ამისთვის მოგერილე, მაგრა(მ) რადგან დიდად აგს ენაზე იქმ შეწერილი, მე როგორმე გავსხარე და უცხოდ კი არ უვაწესებ, ამიტომ რომ კარგი ესა ამასთანასა ცუდს ამბავზედ რად

უნდა დაშემურდოს ამ წიგნში რაც არაგების ბოლოებია, ჩემი ძღვონია და და გაპეტებულია, და ზოგიერთიც ჩემივე შოგონილია: თუცა აფია და დაიწუნებით, მაგრამ ამისთვის წიგნს ის უკუკურქმდოდა, და მეტნიერებით რად უნდა იქმეუ იყო?!

„ამათ სიტუაცია მომხსენებული ვარ აღმისის ქე დაფით. თუკია დებუმბერს, რიცხვს 10, წელს 1761“.

წერა-კითხვის საზოგადოების სედინაშერთა შორის უგედაზე უბერესი აღმოჩნდა № 1538 შეთვირთული საუკუნის. ამ ხედონს-წერში ტექსტი დაუთვიდია თავებით, თიმსარებს უძრტეს შემთხვევაში სათვალია უზის და ენთოაც სხვებს ბევრათ სჭრბია და თავდაშირუ ვედი რედაქტის კვალი ემსხუნა. ამიტომ ამ ხედინაშერზე დავამეტ-რეთ ეს გამოცემა. № 13-ში შარტო 11 გარია დაცული, გადაწერილია 1811 წელს, ენა შეცვლილი და გარეუნილია. № 2446 საწევების წარმოუკიდვების თიმსარისნისას და კაუთვნის შეთვირთული საუკუნის. № 3615 გადაწერილია 1804 წელს, რიგით შისლების № 1538, მაგრამ ენა აქც შეცვლილია, გადამწერი თვით აშბობს გაიცუჭებული დედნი მქონდა, მაგრამ ეს ხედინაშერი ჩვენთვის შაინც საუკუნად-ლებოდა, გინაიდგას ამაში დაცულია ერთი არაკრ „ქურდი ახალგაზდა“, რომელიც სხვები არ არის. ეს ადგილი ჩვენ შემთხვევას ამ გამო-ცემაში (იხ. გვ. 103—105) აგრეთვე ამ ხედით აწერილია, რომე-ლიც გაორიგი წერეთლის საქონია, შემთხვევას სხვდიებში ზოგიერ-თი ადგილები ²⁾. ამ რიგით სხვა და სხვა ხედინაშერებიდან ჩვენ თიმსარისნის ტექსტი თითქმის შეგვასეთ, აგრი მხელეთი ერთი თი შარი „ოფიციუ და განდეგილი“.

ე. თაყაიშვილი.

²⁾) დაწერილებით ცნობები თიმსარიანის ხელინაშერების „შესახებ იხილე ჩემს „Описание рукописей Офицества грамотности“, Т. 1. стр. 109, 290—302.

თ ი მ ს ა რ ი ა ნ ი

გარდ ჰირველა

დასაწეისი. ინდოველ კელმწაფისა აშბადი და ცხოვრება შისი. სპარსულისაგან თარგმნული ქართულად წეტარად ქსენებულისა ჲატქონის მეფის თეიმურაზისაგან. გურთხულ იყავნ ჭავება შისი, ამინ.

იყო კელმწიფე ერთი ინდოეთისა სამეფოსა შინა ნათესავად ჩინგთა ძველთა გვართა კელმწიფეთა შვილი, და სახელიად თავუარჩხან ერქვა. ასეთი დიდი და ძლიერი კელმწიფე იყო, რომე ყოველნი ძველნი ხსენებულნი დიდნი კელმწიფენი ვერა რომელნი ესწორებოდნენ. სიკეთესა და მოსამართლეობასა მისსა კაცთა ენა ვერ იტყვის; სიმღიდრისა რიცხვი და საზომი არა იყო; სიბრძნესა, სამართალსა, სიუხვესა და მოწყალებასა მისსა ყოველნი ინატრიდნ, და ყოველივე ზნენი კეთილნი, რომელი შვენის კელმწიფეთა, თავსა შორის თვისსა დაეთესა. და ესეცა ვთქვათ, სხვათა კელმწიფეთა არცა თუ სიზრმად ოცნებოდესთ ეგოდენი სიკეთე მისი. მაგრამ შვილი არა ჰყანდა. და ჰყვა მას აქიმი და ბრძნი სახელიად სუმბატ. და, ვითა ფერობდა, ეგრეთ ჰყვანდა სატკივრისათვის. ხოლო უშვილოებისათვის ესოდენი ზრუნვა ჰქონდა, რომ ასეთი დიდი და ბედნიერი კელმწიფე ცის კიდით კიდემდისინ ბძანება გასული ასეთსა ზრუნვასა და შეჭირვებასა შინა იყო, რომ ჯოჯხეთში მჯდომის კაცისაგან უფრო უსაწყლესი იყო, რომ არა გამოსვენება და სალხინო საქმე არა იამებოდა რა. გულში ფიქრიანათ იყო და პირსაც დააჩნდა. დამჭლდა და გაყვითლ-

და, და მნახავთაცა შესაბრალისად შეიქნა. ასეთი პირ შეუდებული და საშიში კელმწიფე იყო, რომ რომელ ვერცა თუ ვაზირნი, ვერცა თანა ზრდილნი და ვერცა თვით იგი ბრძენი აქიმი ვერა ჰქითხვდენ, თუ რა იყო მიზეზი მისი ეგრეთ ყოფნისა. ცოლნი ჰყვანდა მეტად ბევრნი დიდთა კელმწიფეთა შეიღები და ტურფათა მჯვრელნი, მაგრამ პირ მღიმართ ვერა ვინ იკადრებდა ჰქითხვასა და ეგზომი კადნიერება არავისა ჰქონდა. და მათ შეუ ერთი უებრო მნათობი ქალი იყო, ბრძენი და სიტყვა ტკბილი, ყოვლითურთ უკლებელი, ფრთხილი და გამოცდილი, და სხვათა ცოლთა უფრო უახლოვეს მდგომი და საყვარელი. და იგი ხედვიდა კელმწიფესა ასეთს ოხ-კნასა ქვეშე დაპყრობილსა, და ეგზობოდა ცეცხლითა ორ-კერძოდ ერთგულობისა და სიყვარულისათვის. გარნა ესე ვითარისა შეკადრებისათვის უჩვეველ იყო: ეშინოდა და ვერა გზა გაელო, თუმცა ეკითხა. დღესა ერთსა თავსა შორის თვის-სა ალირჩია და თქვა: „თუ მოწყალესა ამას კელმწიფესა ჩემსა ესრეთ დღითი დღე ვხედვიდე, ვიგონო შემთხვევა და ვკითხო, რა არის შეჭირვება, ესეოდენი სევდიანობა? ანუ მოკვედე და ანუ შევიგნა. ნუ თუ ერგოს ვისგანშე ჭირთა მისთა“. ესე გა-ნიშრახა და გაიწირა თავი თვისი და სიტყვა ასე შეუკაზმა და თქვა, ნუ თუ სიტყვათა კელოვნებამან, სიტკბოებამან, მჭე-ვრობამან განაწყროს გული მეფისა კადნიერისა. ამისთვის, ვითარცა იგი ვინმე წყლულსა ფერხთა ლომისათა ლოშნითა არა განიბძარა ლომისაგან სიამოვნეთა ლომისათა¹⁾, ესრეთ შე-ეკაზმა მრავალ-ფერად შემკობილი ფერად ფერადითა სიტყვი-თა და ეგრეთცა მიქონდა სიტყვანი სიბრძნითა საესენი, რი-ტორებით შეზავებული და შეთხეული და შაქრისაგან უფრო უტკბოსი.

1) ვარიანტით: ვითარცა იგი ვინ წყლითა ფერეთა ლომისათა ბან-დეს და ლოშნიდეს წყლულთა მისთა და სიამოვნითა მით ლომისაგან არ-ლარა განიბძაროს.

ქართ ბ.

აქა გვეთესის ჯოლისაგან მასგვად და გენიართაბას კამორჩე-
გა მასგან.

ქელმწიფესთან ტახტისა პირსა დადგა ჩვეულებისაებრ წე-
სითა მოაჯეთათა. შეხედნა მეფემან და არა ენიშნა ეგრეთ
წადგომა მისი, რამეთუ არს მოქენეთაგანი და არა უბრძანა რა,
არამედ ელოდა მისგან თქმასა და უკვრეტდა. ხოლო დედაკა-
ცმან მან გონიერმან ბრწყინვალე პირი თვისი მიწასა დასდ-
ვა, ტახტისა ფერხთა აკოცა და თვალ ცრემლიანზა იწყო სი-
ტყვად და თქვა: „ცე უსწოროვო და უამხანაგოვ მაღალო ეელ-
მწიფეო, მე შენისა მკეცლისაგან ამად სიტყვა ბრძანებისა
უწინ ზრახვად და კითხვად სიკვდილი ალვირჩიე დუმილისა ამა
შენისათა კიდევან, თქვენი ეგე ულხინობა და უნიშატოდ ჯდო-
მისა ყურება რა არის? ესე რომ პირსა ყოვლისა ქვეყანისასა
გარდასრულნი და აწუა მეტახტოსნენი შენსა სვიანობასა და
სიდიდესა ინატრიან; სამოთხესა შინა მყოფნი შენსა მეჯლიშ-
სა ახსენებენ; შენითა მოსამართლოებითა ყოვლნი იხარებენ.
არა თუ შენი სამეფო, არამედ ოთხნივე ყურნი ქვეყანისანი,
მტერნი და მავნენი სამეფოსა შენისანი ჯერეთ ცოცხალნი
შენითა შიშითა დამარხულან. მაკედონელმან შენი მანდატურო
უხუცესობა რომ იშოვნოს, იგიცა შესჯერდეს. რაცა რომელ-
სა სიკეთესა სახელი ერქვას და შენსა სამყოფსა მიღამოსა არ
იყოს? ზღვისა სულიერნი ზღვაში შენსა ქებასა წარმოიტყვი-
ან. ნადირნი ყოველნი შენგან შენითა მოსამართლეობითა,
საბოძურისა სიმრავლითა შენითა, სახამოსთა თათბირთაგან,
მრავალთა მძლეთა გამარჯვებისაგან თავ დაჯერებით მხიარულ-
ნი სმენ და ლხინობენ და შენსა კელმწიფობასა აღიდებენ. ლან-
ფარჩთა და მოქალაქეთა ხარჯთა ტვირთი ასე გაუმსუბუქები-
ათ თქვენითა ბრძანებითა, რომ თითითაცა ერთითა აღებად
შემძლებელ არიან. ფანსკუნჯნი შენთა სარაითა შენსა სვიანო-
ბასა ქადაგებენ და მხარ გაშლილნი ბრძანებითა ლვთისათა

შენთა ტახტთა ბედნიერისა ფრთითა პფარვენ და უჩრდილებენ. ფარშამანგნი შენთა მაღალთა კოშკთა მყოფნი შენსა ქებასა ყივიან, და მფრინველნი გარეთ (მყოფნი) შენთა ლაშქართა სიღიღესა აქებენ, ანგელოსთა დასნი და გუნდნი თუ შეედარების, თვარა სხვა ვერა შეედარების. ვფიცავ ღმერთსა, რომ შენი არამი სამოთხეზედ არა დია უარესი არის. შენსა ბედნიერსა პირსა სევდიანობისა და შეჭირვებისა არმური დასჩნევია. აწ ვიაჯი, რათა შენისა ტახტისა პირსა შენისა გამარჯვებულისა კლმითა დაღვარო სისხლი ჩემი, და ანუ მიბრძანო და კვაშიადი გამომიცხადო, და თქვენის მწუხარებისა და მჭმუნვარებისა მიზეზი გამომიცხადო, მიბძანო, გამაგონო და მომკლა, დიღო და მაღალო კელმწიფეო, უხვო და უშურველო“.

კელმწიფემან ესრეთ უბრძანა: „ხომ ვიცით ეს საწუთრო არავის გაუთავდების და არავინ დარჩების, რომ ამ სოფლიდამ არ გამანძულდეს. ვინც დაიბადების სიკვდილი უკან მისდევს, და ასეთი სიხარული არ იქნების, მწუხარება უკან არ მისდევდეს, ვინცა ადამის და ევას შვილნი არიან¹), უნდა რომ თითო ჯამი სიკვდილისა სასმელი დალიოს, სულისა და კორცისა სიმწარე სამსალაში გარიოს²). აწე ცოტა ხანი მიკლია, რომ ჩემს ყურს სიკვდილის კმა და ამბავი მისწურვია, და ამ უხანოსა სოფელსა ასრე სწადიან, რომ ჩემი მორჭმა და დიდება ოხრად დამაგდებინოს, ჩემს უკან ჩემი შედეგი ნაყოფი არავინ მომდევს, რომ ეს ჩემი გამდიღრებული ტახტი ჩემს უკან შეინახოს და უპატრონოს, და ჩემს უკან ჩემს საპატრონოსა ზედან უცხომ არავინ გაიხაროს. როგორც ყმაწვილიანი აკვანი ძიძამ შეინახოს, მე ჩემი სახელმწიფოს რიგი ისე შემინახავს, აწე მეშინიან, რომ როგორც ძიძას აკვანი წაექცეს და ყმაწვილი მოკვდეს, ისე ჩემი ქვეყანა ჩემს უკან არ აოხრდეს. მე არც სიკვდილისაგან მეშინიან და არც წასაწყმენ-

¹⁾ დედანში სწერია: ვართ.

²⁾ ვარიანტით: სულისა და კორცისა სიმწარის კუამლში გაიაროს.

დელი საქმე მიმიძლვის, რომ იმისთვის კსწუხდე, მე ამას ვნაღლობ და ეს არს ჩემი სამძიმალი, რომ ჩემს უკან ასეთის ზალუშის კელმწიფის კელში არ ჩაცვივდენ ჩემნი დაზრდილნი ყმანი და ჩემგან შენახული ქვეყანა, რომ დღე ყოველ ნათელი ღამედ არ შეექნასთ და ველარ იცხოვრონ. ჩემი შეჭირვება ეს არის და ამასა ვფიქრობ“.

პარი გ.

ჭელმწაფის ქადაისაგან უშვილოების პასუხის მოხსენება ესრეთ.

რა ქალმან კელმწიფისაგან ესე გაიგონა, სიხარულის ცრემლით ატირდა და მწარედ აღმოისუნთქა. უებროსა პირსა კელი იკრა, სამკაული გარდაიყარა, ვარდსა და ბროლსა ზედან ნახოჭმან სისხლმან შემატა, და კელმწიფესა ესრეთ მოახსენა: „კელმწიფეო, თუ შენი ზრუნვა და შეჭირვება ეგ იყო, აქამდინ რატომ დამბადებელი მოწყალე და შემწყნარებელი ღმერთი არ მონახე? ანუ მისთა სარწმუნოებით მავედრებელთათვის როდის დახშულა კარი მოწყალებისა, რომელ შენთვის არ გაიღოს? ანუ სამლოთა მლოცვათა ქვაბთა შინა მყოფთა შენი საქმე რად არ აღუთქვენ? ანუ თუ შენი მდიდარი საჭურჭლე და საქონელი გლახაკთა ულონოთა და საბრალოთა ზედან არ გაეც, რომ, თუ მაგას ზრუნავდი, შენი ნება აღსრულებულიყო.“.

რა კელმწიფემან ესე სიბრძნე ქალისა მისგან მოისმინა, დიდად იამა, და მას პირმზესა ქალსა მაღლი უბრძანა, და ყველა იმისი ნათქვამი გულში სიბრძნედ შეირაცხა, და ასრეთ უბრძანა: „რადგან იკადრე და ეგ მითხარ, ყოველივე შენი ნათქვამი აწვე აღვასრულოო“. ადგა კელმწიფე და შევიდა ხალვათსა სახლსა, და იხმო მისანდონი ვაზირნი, და ასრეთ უბრძანა: „დამბადებელსა ღმერთსა შეუვრდები და განვაბნევ სიმდიდრესა ჩემსა გლახაკთა და ულონოთა ზედან, ნუ თუ უკვე მო-

წყალე მექმნას დამბადებელი ღმერთი ჩემი და მომცეს შვილი ერთი, რათა არა აოხრდეს სამეფო ჩემი“. იამათ ვაზირთა მათ და იგინიცა დაემოწმნეს ბრძანებასა მისსა, გამოილეს ზღვისა-გან უმრავლესი განძი და განუკვეს შეუ მონაგები მისი. ნა-ხევარი გასცეს გლახაკთა ქვეყანისათა, ობოლთა, ქვრივთა, ანუ თუ სახსრად ტყვეთა, ხილთა და ქარვასლათა გასაკეთებ-ლად, და ნახევარი, სადაც ღვთისათვის გასული სოფლიდამ იყვნენ მთათა და ქვაბთა შინა, იმათ მისცეს. და თვით კელ-მწიფე შევიდა სალოცველსა სახლსა, დადგა წინაშე ღვთისა, იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე და ესრეთ ილო-ცვიდა მხურვალისა გულითა და ცრემლიანისა თვალითა: „ცე დამბადებელო ღმერთო და ყოველთა მოწყალებისა უფსკრუ-ლო, რომელი ესე ადენ ძლიერ ხარ, რომ ზღვათა შინა დან-თქმულთა კაცთა ერთითა მცირითა ფიცრითა განარინებ და ღელვათაგან ზღვისათა შეეწევი; მფრინველთა ცათა შინა მო-ბუღრად ჰყოფ და მართვეთა გაზღასა შეეწევი; ქასა შინა მყარსა და ყოვლითურთ შეუსავალსა შინა ბაყაყსა დაბადებ და შიგან მცირესა წყალსა საზრდოდ მისად აღმოადენ. სხვა-რომელი ათასისაგანა ვთქვა. მეცა ერთი, რომლისაგან შეყვა-რებული ვარ მოწყალებითა შენითა, აწცა ჩემზედაცა მოწყალე იქმენ და მომეც შვილი ერთი, რათა არა დარჩეს სამეფო ჩე-მი უმკვიდროდ“.

ესე ვითარი ლოცვა ილოცა, ილოცა და ვეღრება სრულ ჰყო. გამოვიდა მუნით და შევიდა საწოლსა შინა, განისევნა და დაწვა ქალსა მასთანა, რომელმან მოახსენა მეფესა მას და შეაგონა ესე ვითარი იგი, და მეყვსეულად ბრძანებითა ღვთი-სათა სადაფმან შეიწყნარა ცვარი იგი მოწყალებითა ღვთისა, და დაორსულდა ქალი იგი. ვითარცა სცნა ესე მეფემან და ერთობით სამეფომან მისმან, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად, რომელ გონებისაგან კაცთასა არ შეიწყნარების და არცა აღრიცხვა იქნების. და შესწირეს დიდება დამბადებელსა

ყოველთა ღმერთსა, განამრავლეს დიდება მის წინაშე და ევე-ლრებოდნენ მუდამად მხურვალისა გულითა.

რა დრო გათავდა იგი განწესებული, დაიბადა ყრმა შშვე-ნიერი, ვითარცა შეგავს კელმწიფეთა. და რა გათავდა წელი-წალი ათი და მოიზარდა ყრმა იგი, მოკაზმეს კელმწიფურისა წე-სითა და მოიყვანეს წინაშედ მეფისა. ვაზირნი ბრძენნი და მუ-ნაჯიბნი ახლდა. და რა იხილეს ყრმა იგი, უსაზომოდ განიხა-რეს და მოეწონათ. მაშინ მეფემან უბრძანა: „ჩახედეთ საეტლო-სა სტროლაბასა, თუ რა ბედისა იყოს ქე ესე ჩემიო“. მაშინვე ბრძანებისაგბრ ჩახედეს საეტლოსა სტროლაბსა და კეშმარი-ტებით გამოიძიეს და მოახსენეს ესრეთ: „მეფეო, სამახარობლო უნდა გვიბოძოთ, რომ გასახარელი მოანბენი ვართ: ქე ესე თქვენი ესეოდენი სვიანი და ბედნიერი იქნების, რომელ არ(ა)ს კელმწიფესა ლირსებოდეს; ჯიმშედის ბედი და დღეგრძელობა ექნების, საფერი და საკადრისი პირველად შენი და მერმე სა-მეფოსა შენისა იქნების, მაგრამ ერთი განსაკლელი მოევლი-ნების ეამსავე თქვენსა: სიშურისა ეშმაკისათა სიკვდილსა ძლივ მორჩების“.

იამა კელმწიფესა მოხსენება ვაზირთა და მუნაჯიბთაგან, თვი-სისა შვილისა სვიანობა და დღეგრძელობა, და მერმე უბრძა-ნა ვაზირთა თვისთა: „აწე დრო აქვს ყრმასა ამას სწავლისა, და მოგცე თქვენ ესე, რათა ასწავლოთ ყოველივე სიბრძნე, ცნობა და ზნენი საკელმწიფონი, ვითარცა ჯერ არს“. რა ესმათ ესე ვაზირთა და მუნაჯიბთა თქვეს: „კელმწიფეო, ჩვენ არა დავიწყალობებთ სწავლასა ძისა თქვენისასა, მაგრამ ღმერთს ერთი შვილი მოუცემია თქვენთვის და სჯობს, რომ თქვენთან გაიზარდოს. ამას ასეთი აგებულება აქვს გვარი და ნათესაობა, რომ ყოველსა ზნესა და სწავლასა თავით თვისით ისწავლის, შენს ნაყოფს სწავლება არ უნდა“. რა ეს-მა კელმწიფესა, ასე უბრძანა: „არა ვირწმუნო სიტყვა ეგე: თეთრი ქორი რაზომცა გვარიანია და ყოველთა ქორთა კელმწიფე არის, მაგრამ, როდის დაიჭირენ და კაცთა კელში ჩავარდების, სა-

ნამდისინ ნემსით თვალსა არ აუკვრენ, და მრავალგზის ლა-
მეს არ გაატეხინებენ, და მრავალს სასჯელს არ მიაპყრობენ,
ვერც დააშვიდებენ და ვერცა მურასას იარალს შეასხმენ, ვერც
კამლსა და ტურფასა ჯილურს გარდააცმენ, და ვერცა ნებისა-
ებრ ნადირობასა დააწყებინებენ. ეგრეთვე ოქრო, თუმცა პა-
ტიოსანი და ძვირფასისა არის, მაგრამ სანამ ცეცხლში არ შე-
აგდებენ, არ დაახალისებენ, კვერით კარგად არ განსჯანდვრენ
და მეჭოპოსნენი არ იხმარებენ, არცა მნათობთა ქალთა ფერ-
ხთა სალტედ შემოეცმევათ და არცა ბედნიერთა კელმწიფეთა
თავსა გვირგვინად დაეხურებათ“. რა ესე კელმწიფისაგან მოისმი-
ნეს, ყოველთა ენა დაუმოკლდათ და ვეღარა მოახსენეს რა.
წაიყვანეს ყრმა იგი და, რაცა რომელიმე სწავლა შეიძლებო-
და მათგან, ყოველივე მას ყრმასა ზედა დასრულეს. ათსა
წელიწადსა ჰყვანდათ. ვერცა რა გულის კმასა ჩააგდეს და ვერ-
ცა რა ასწავლეს. ოცისა წლისა შეიქნა ყრმა იგი, და დიდად
დალონდნენ ვაზირები და მუნაჯიბები. აღგნენ, კელმწიფესა იახ-
ლნენ, და ყრმა იგი მიიყვანეს და ესრეთ მოახსენეს: „კელმწი-
ფეო, ყოველი ზნენი და ხელოვნებანი ჩვენნი დავასრულეთ
ძესა ამასა თქვენსა ზედა და ვერას გზით გული ვერ მოუდ-
რიკეთო, და ვერცა რა ვასწავლეთო. აწე ჩვენ დამაშვრალნი
ვიქმნენით, და ეგების სუმბატ აქიმმან ასწავლოს რამე, თორემ
მის მეტი ლონე არა არის რაო“.

სუმბატ აქიმასაგან თიშსარის მოხსენება.

რეა სუმბატ აქიმმან ამა ვაზირთა ამბავი გაიგონა, გაიცი-
ნა და ეგრეთ უთხრა: „თქვენი საქმე ამასა ჰყავს, რომ ერთსა
ადგილსა დღესა ერთსა ერთი მელა დაიარებოდა. ნახა, რომ
ერთი დიდი თევზი ერთს ალაგას ეგდო. დიალ დიდად იამა
და კელის მიყოფა გაბედა. მერე თავისებურად ჭკუას ჩავარდა
და თქვა: ეს თევზი აქ რასა იქსო? წყალი არსად არისო და
წყლის ნადირნი არსადა ჩანანო, რომ იმისაგან დარჩომილ-

იყოსო. სოფელი არსად არის, რომ გავარღნოდეს ვისმეო. ამ თევზმა ფათერაკში არ ჩამაგდოსო. ის თევზი იქავ დააგდო და იწყო სიარული, და ერთი ნიგვზის მჭამელი მაიმუნი იპოვა. შეხედა, რომ ხეზე იჯდა. მივიდა, თაყვანი სცა და ფერხთა აკოცა, და ესრეთ მოახსენა: ერთობილთ ნადირთ გამომგზავნეს შენს წინაშე და მახარობელი ვარო, სრულიად მათი კელმწიფობა შენ მოგცესო. მაიმუნმა ეგრეთ უპასუხა: ნადირთ კელმწიფე აკი ლომი თქმულაო. ის როგორ გააგდესო და მე როგორ გამახელმწიფესო? მელამ ეგრეთ მოახსენა: ლომი ერთობ ბრიყვი და გაუსინჯავი იყოო და, ვისაც კელად შეიგდებდა, შესჭამდაო. იმას ამისთვინ გაუორგულდნენ და შენი ბატონობა ირჩივესო, ამისთვის უფრო რომ ადამიანის მზგავსებაცა გაქვსო. მაიმუნი მოტყუვდა, დაიჯერა და წაჰყვა. წაუძლვა მელა წინა და წავიდნენ. მელამ გზაზე ასრე მოახსენა: ერთი დიახ უცხო სახელმწიფო საჭმელი ვიპოვნეო, მობძანდით თქვენა და მიირთვითო. გაუძლვა მელი და, საცა თევზი ეგდო, იქ მიიყვანა. მაიმუნმა რა ნახა, დიდად იამა და ფიცხლად წა(ა)ფრინდა. ის თევზი თურმე მონადირისაგან ბადეს იყო გაბმული და მაიმუნიც შიგ გაება. მელამ ერთის მხრიდამ თევზი გაიძვრინა და ჭამა დაუწყო. მაიმუნმა უთხრა: მელო, ეს რა მიყვო, მე ბადეს გამაბიო და შენ თევზსა სჭამო! მელმა ასე მოახსენა: კელმწიფე ერთს ალაგს მჯდომი და ერთს ალაგს მყოფი უნდა იყოსო, და ყოველი მისი ყმა და მოსამსახურე მისის წყალობით უნდა რჩებოდესო.

კელმწიფეო, ეს ამათი საჭმე ამას ჰეგავს: უნდათ კელმწიფისა შვილი მე თავს მომაბან და თვითან ბადისაგან თავი დაიხსნან, და ქებაცა მისთვის შემომასხით. თქვენგან არც უკეთესობას ვღირს ვარ და არც უარესებასა. მითქვამს და კიდეც შეე მომიხსენებია“:

თიმსარი მეორე.

ტრთსა ალაგსა ერთი აქლემი, ერთი მგელი და ერთი მე-

ლა დაიარებოდნენ, და სამთავ ერთად ერთი პური იპოვეს, და უთხრეს ერთმანერთსა: „რომელიც ერთმანერთზე ან დღით, ან წნით და ან ტანით უფროსნი ვიყოთ, ეს პური იმან შეკამოსო“. თქვა მგელმან: „ჯერ რომ კაცი არ დაბადებულიყო, მამა ჩემი მაშინ იყოო და ჩემმა დედამ უმამოდ მშობაო“. მერე მელა დაემოწმა და ასე უთხრა: „დიახ მართალი არის სიტყვა ეგე შენიო. შენ რომ დაიბადე მე შენს ძეობაში სანთლები მექირა და ვთამაშობდიო“. რა აქლემმან ესე მათგან გაიგონა, ასე სთქვა: „ხომ ყოველი კაცი გვხედავს და იცის, რომელი ან ტანათ და ან დღით უფროსნი ვართო, ისევ მე ვარ უფროსი და ეს პურიც ჩემი არისო“. წავლო პირი და აქლემმან შეჭამა ის პური.

ისრე ნებითა ლვთისათა ამ კელმწიფის შვილის საქმე მე კელად ამიღია. ადგა და წაიყვანა ძე მეფისა და ასე თქვა: „ანუ მოვკლავ თავსა ჩემსა და ანუ ვასწავლი რასმეო“. და წაიყვანა სასწავლებელად სახლსა თვისა.

გარდა დ.

აქა სუმბატ აქიმასაგან გვადმიშვილის შემოქმედი წაეკვანა და უადგინოს საბრძნის სწავლების დაჭადება.

როდესაც წარიყვანა ძე მეფისა სუმბატ აქიმმან სახლად თვისად, გამოვიდა ხანი და წელიწადი არა მცირენი. და შეიქნა ძე მეფისა ოცისა წლისა, მაგრამ ვერა ისწავლა რა. დააშრო თვისი უსწორო სიბრძნე¹⁾ სუმბატ აქიმმან და ვერათი ღონის ძიებითა ვერა მოჰკიდა რა²⁾). სცემდა ცივსა რკინასა კვერსა და ვერა დაიმორჩილა³⁾, და დალონდა ბრძენი იგი კაცი. მიესმა კელმწიფესა ამბავი ესე, ვითარმედ არცა თუ სუმბატ აქიმისა-

¹⁾ ვარიანტი უმატებს: და უფსკრული სწავლისა.

²⁾ ვარიანტით: ვერა ასწავლა რა.

³⁾ ვარიანტით: და ვითარ სცემდე კვერსა ცივსა რკინასა, ვერა რას დაიმორჩილებ.

გან ისწავლა რამეო ძემან შენმანო, და შეჭირვებით შეიქნა. მეფე იგი უმეტეს პირველისა, და ინატრიდა უშვილოებასა ისრევე, და უყოლებასა მისსა ინატრიდა. შემოკრბეს დღესა ერთსა შვიდნივე იგი ვეზირნი და სუმბატ აქიმიცა, და ნახეს ეკლმწიფე დალრეჯით ტახტსა მჯდომი. ვერავინ იყადრა პირის-პირ მოხსენება, თუ რა იყო მისი ეგრე დალრეჯის მიზეზი, და თავსა ვაზირსა და სუმბატ აქიმსა უთხრეს: „აქამდინ დალრეჯილობა კელმწიფისა უშვილობისათვის იყო, და ახლა თქვენ ჰკითხეთ, თუ რა უმძიმსო, მაშ რის ვაზირი ხარ, თუ მის ხეაშიადს ვერ შეიგნებო?“ მაშინ გაგულოვანდა ის უფროსი ვეზირი, წადგა და ასე მოახსენა: „ ყოველთა ხელმწიფეთა უმაღლესო კელმწიფეო, აქამდინ უძეობისათვის იყო თქვენი შეჭირვება, და ჩვენც ამისთვის ვერ გაგიბედეთ მოხსენება, რომ გეწყინებოდათ. ღმერთმან ხომ მისგანაც დაგიხსნა და მოწყალება გიყო, და ახლა რაღა არის თქვენის ბედნიერისა პირის დალრეჯა?“ კელმწიფემან ასე უბდანა: „ნეტამც ღვთისათვის არ მეთხოვნა და არც ღმერთს მოწყალება ექნაო. ამდენი ხანი არის, ძე ჩემი პირმეტყველთა და ფილოსოფოსთა მივაბარე, და ვერა ისწავლა რა, და ახლა კიდევ სუმბატ ბრძენსა მივაბარე, და ასე მესმის, რომ ვერცარა იმისაგან ესწავლოს. მე შეილი ამისთვის მინდოდა, საკელმწიფო ზნენი ესწავლა და ჩემს სეინსა ტახტსა გამოსდგომოდა, ჩემი სამართალი და ღვთის ცნება ესწავლა, თორემ ფოლორცსა შინა მოშაითნი ბევრნი ჰყრიან, რის გამოსადეგნი არიან? შავის რკინისაგან რატომ უფრო უარესი იყოს ჩემი ნაყოფი, რომ იმასაც ამდენს გარჯიან, რომ ასეთს მიჭვრიტანას გააკეთებენ და ასე წმინდა იქნების, რომ ყოველს პირის სახეს უჩვენებს კაცსა. დათვის მართვეს ასე გაწვრთნიან, რომ შუშპარს ასწავლიან. დათვის უსული და შუშპარი რატომ უცხო არ არის? აწე რით ვირწმუნო სუმბატ აქიმისაგან, თუ მას ნდომოდა, ქვაც ყოფილიყო, იგიცა მის სწავლას შეიწყნარებდა. თუ კლდეს შეჭყივლოს სუმბატ აქიმმან, იგიცა ხმას გამოსცემს. ვითარ იქმნა ეგრე რკინისაგან, დათვი-

საგან, ქვისა და კლდისაგან უფრო გაუტეხელი იყოს გული მისი?“ ესე ვითარსა ჩიოდა მეფე და ვაზირთა უბრძანებდა ამას.

აწე სუშბატ აქიმსა რა ესმა ესე შეფისაგან, ნამეტნავისა სირცხვილისაგან პირსა ცივი ოფლი სდიოდა. ზე აღგა კელ-მწიფე დალოცა და ესრეთ მოახსენა: „ცე მაღალო კელმწიფეო და მოსამართლეო, მცირე მოგახსენო, ათასი უფრო შაგირდი მყვანდა, ამას როგორ ვიქმოდი, შენს საკელმწიფოს შვილსა და შენგან ეგრეთ ქენებით შემობარებულსა კი არა ვასწავლე რა, და ჩემი წყალობა მაზედ არ მივიღე სწავლისა, და სხვათ კი ვასწავლე? მაგრამ რა ვქნა, ბრმასა სარკე მიუტანონ და ყრუ-სა სალმუნი უკრან, ვერცა ერთი ვერას მოიხმარებს. შენსა შვილსა ესეოდენი გულმაგრობა აქვს, ნაღირთაგან უფრო პირუტყველია, და იმისთანა გული აქვს, რომ ვერას გულის კმაში ჩავაგდე, და მე აწ რა ვქნა? და აწ ერთსა თიმსარს მოგახსენებო“. კელმწიფემ თქმა უბრძანა.

თიმსარი შესაძე.

ქიშმინისა ქვეყანასა ერთი ღიღი და მღიღარი კელმწიფე იყო, რომ იმ უამად იმას ერთი კელმწიფე ვერა სჯობდა. ქიშ-მინის ქვეყნის და ალაგის ამბავი თქვენც მოგეხსენებათ, რომ სპილოს ქანი იქ არის, რომ ასე მრავალია, შათი ჯორაქლე-მი და ცხენი სულ სპილო არის. საომარად, თუ შესაჭიდებ-ლად, თუ თამაშად და შესაქცევათ სულ სპილო ჰყავთ. დღე-სა ერთსა ერთმან ვინმე კაცმან ერთი სპილო კელმწიფეს ძღვ-ნად მოართო. ღიას უცხო იყო, რომ ღმერთს რაც სპილო დაებადებინა ქვეყანაზე, მისთანა მშვენიერი კაცს არ ენახა. ოთხ-სა რკინისა სვეტსა ზედა ერთი შავი მთა რომ ამართონ, იმას გვან-და. სიმსუქნითა არაბულსა ცხენსა (გვანდა), კმა კათა გრგვინვა-სა უგვანდა, სიმაღლითა გაფრენილსა ვარსკვლავსა გვანდა. სიმ-შვენიერე, თვალი, პირი და ხორთუმი ასეთი ჰქონდა, რომ ყოველ-თა სპილოთა კელმწიფე იყო. მას კელმწიფესა ღიღად მოეწონა,

დაუმაღლა კაცსა მას და საბოძვარი ფრიადი უბოძა. და ჰყვა
მას მესპილოვე ერთი დიახ კარგი. მას მიაბარა და კარგათ
გაწვრთნა და მომშვიდება მისი უბძანა, რათა ბეღნიერი ტახ-
ტი მისი მაზედ დაედგათ, და შიგან დაბძანებულიყო, და მით
ეარა კელმწიფესა მას. მან მესპილოვემან წაიყვანა და, რაც სპი-
ლოს სწავლისა და მომშვიდების წესი იყო, ყველა ასწავლა
სამსა წელიწადსა, და მოართო კელმწიფესა ყოვლით ზნით სრუ-
ლი სპილო. კელმწიფემან უბძანა ოქრომჭედელთ იმისთვის ოქ-
როს ჯაჭვის გაკეთება. ჰყვეს ეგრე და მოართვეს. შეაბეს ოქ-
როსა ჯაჭვი, ოქრო ქსოვილი ფარჩის ჩულები დახურეს, ზე-
დან მურასა ტახტი დაადგეს და ოქროსა ჩარდახი გააკეთეს,
თავსა მრავალ ფერი ზილფი დაჰკიდეს. და კელმწიფე ზედან შე-
ბძანდა. როდესაც სიარული დაიწყო, თურმე დაბადებითგან
ხუიანი ყოფილიყო, გაჭირვეულდა და გარდაიჭრა, კლდე, წყა-
ლი, ტყე, რაცა ნახა, არა გააჩნდა რა. დაიწყო კელება და მი-
მოკვეთებით სირბილი. კელმწიფე ტახტისა სვეტსა ასე მოეჭიდა,
ვითა მომრჩევალი წყლისაგან ყაშხალსა მოეკიდოს. განგებითა
ლვთისათა ვერცა მეფე ჩამოაგდო და ვერცა ტახტი დაამ-
ტვრია. როდესაცა მომშვიდდა სპილო იგი, თავისსა ახურსა
და საკვებარსა ადგილსა მიმართა. მივიღნენ, კელმწიფე გარდამო-
სვეს, და მისის დარჩომისათვის ლმერთს დიდი მაღლობა შეს-
წირეს, და დამბადებელსა ლმერთსა თაყვანი სცეს, მაღლობა
და საღმთო გარდიხადეს. რა ამისაგან მოიცალეს, კელმწიფემან
განრისხებულმან ბრძანა იმ მესპილოვის კელ-ფეხ შეკრულის
მოთრევა თავის წინა. ოდესცა ნახა მესპილოვემან კელმწიფე ისე
განრისხებული და თავი თვისი იმისთანას სივიწროვეს მყო-
ფი, თავსა თვისსა ასრე უთხრა: „აწ ენა პირისა ჩემისა მდუმ-
რიად შევქნა მართებს, და გონიერთა სახვეწარათა სიტყვათა
შეკაზმა ეგების, რომ ცეცხლისაებრ ალტყინებულსა გულსა მე-
ფისასა მდულარებისა წყალი დავასხა და მწარისა სიკვდილი-
საგან ვიხსნაო“. რა კელმწიფესთან მიიყვანეს და კელმწიფემან
შემოხედნა და ნახა განრისხებულმან და ცეცხლებრ მოტ-

ყინარებან, ასე უბძანა: „შენ, კაცო, რაზედ მომაკვლევინებდი იმ გაუწროვნელსა სპილოსაო, და ანუ ვითარ შებედე სისხლთა კისრებასა? თუ ბრძანებასა ლვთისასა არ დავეფარე, აშე ტახტი ჩემი ხომ ჩემგან კარიელი დარჩებოდაო. სიკვდილი ერთის მეტი არა თქმულა და შენ ათასი გეფერებისო“. რა ესმა ესე მესპილოვესა, ცრემლითა შესვარულმან მიწასა პირი მოუსვა და ესრეთ შიშვნეულისა სიტყვითა მოახსენა: „მოსამართლეო კელმწიფეო, შენის ეგზომის ფათერაკისა უბრალომცა რომ (არ) ვიყო, ჩემი ერთის კატის ოდენის სისხლის დაღვრა რა საშურველი იქნებაო¹), მაგრამ ღმერთი დამბადებელი რაზომცა დიდი არის, იგიცა ჭინჭველის სამართალსაც არ იუკადრისებსო. ოღონდ ამის მოწყალება მოიღეო, ეგ შენი განრისხებული გული ცოტა ადრე დაიწყნარო, და ჩემი სიმტკუნე და სიმართლე შეიტყეო, მაინც სასიკვდილო ვარ და ჩემთა სისხლთა საუკუნოდ გააღნებო. თუ გაუკითხავად მომკლაო, მაინც მემართლებიო და ჩემთა წვრილთა შვილთა და ცოლსა მაინც შეგაბრალებო. შავი წვერი შენთა სამსახურთა შინა გამთეთრებიაო და შენთან აღვზრდილვარო“. ტიროდა და მწარედ ამას მოსთქმიდა. კელმწიფემან თვისსა გულსა მოწყალესა და მოსამართლესა უბრალოსა სისხლისა განკრძალვა უბძანა, და მას მესპილოვეს უბძანა, თქვი აწ შენი საჩივარიო! მესპილოვეს სამართალისა ბრძანება ასე იამა, ვითა დაკარგული სული ახლა ეპოვა და ახლა შობილიყო. მოახსენა კელმწიფესა: „გამისენით კელი და სპილოცა შემომგვარეთო, და სცანით ყოველთა, ვითარ გამიწვრთნია, და ან როგორ მისწავლებიაო, რაცა ზნენი არის სპილოსანიო“. ვითარცა გაუხსნეს კელი და ფერხი, და სპილო იგი მოგვარეს, შეჯდა სპილოსა ზედა, და ვი-

¹⁾ გარიანტით: მოსამართლეო კელმწიფეო, შენის ეგზომის ფათერაკისაგან შემთხვევისათვის მე უბრალო ვარ და თუ განუკითხავად გნებაჟს სიკვდილი ჩემი, ვითარცა ერთისა კატისა ოდენი სისხლისა დაღვრა რა საშურველი არის?

თარკა ქამანდი ეგრე ათამაშა. მერე მოიყვანა კელმწიფისა წინა და უთხრა: „დაიღრიკე თავი და კელმწიფესა თაყვანი ეცო!“ და მან სპილომან თაყვანი სცა. მერმე უთხრა: „დასდევ პირი მიწასა და კმითა დალოცე კელმწიფეო!“; ყო ეგრე სპილომან და დალოცეა კელმწიფე. მერე მოატანინა თივის ხორომი და დადვა მოშორებით. მოილო რკინა მრგვალი გახურვებული ცეცხლივით და დადვა იგიცა შორსა. უთხრა სპილოსა, რომელიც გინდოდეს იგი ჭამეო. მშიერმან სპილომან ხორთუმი თივისაკენ მოსახვევლად წაილო. შეუძახა მესპილოვემან: „რასა იქ, მაგას ნუ სჭამო!“ გაუშვა თივა იგი. მერე უთხრა, ცეცხლიანი რკინა შეჭამეო! მიჰყო ხორთუმი რკინასა შესაჭმელად და მიიღროვა. შეუძახა კვლავ: „რასა იქ, ნურც მაგასა სჭამო!“ მერმე მესპილოვემან ესრეთ მოახსენა: „მოსამართლეო კელმწიფეო, ესრეთ გამიწროვნია პირუტყვი პირმეტყველად, ჩემი მოჭირვება და ჩემი სწავლა არ დამიკლიაო, აწე, თუ თითონ ხუიანი და გიუი ყოფილა აგებულებით, ჩემი რა ბრალი იქნებისო? კელმწიფეო, აწე გეწადოს მომკალ და გწადდეს დამარჩინეო“. მორჩა მესპილოვე სიკვდილისაგან და წარვიდა მშვიდობით. რა ესე ამბავი დასრულა სუმბატ აქიმმან, ესრეთ მოახსენა: „კელმწიფეო, მე თუ ყოველი ზნენი და სიბრძნენი მისწავლებია, და ოქვენს შეილს ვერა უსწავლია რა, რომ იმისთანა შეუსმენარია, ჩემი რა ბრალი იქნების, მე რა ვჰყოო“. რა ესმათ ყოველთა, სუმბატ აქიმი გაამართლეს მეფითურთ ყოველთა. და მერე მეფე-მან ბრძანა: „რათგან ლვთისა განგებისაგან ჩემი შეილი ეგრე გვარი დაბადებულა, რადღა გყავს, მომგვარეო“. მერე სუმბატ აქიმმან ასრე მოახსენა: „კელმწიფეო, ახლა იმედი მაქვს და ასეთი ნიშნები მინახავს, რომ აწლა ისწავლის ძე შენიო, და გათავდა შენის შეილის ჩემგან ნასწავლების ურჩობა, აწცა ექვსი თვე კიდევ მომიცადეთ და ექვს თვეს უკან შენი შეილი მოიკითხე, და ნახე, თუ რაც სიბრძნე არის ყველა არ იცოდეს, ჩემი თავი თქვენთვის სასიკვდილოდ მომირთმევიაო“. უთხრა ერთმან ვინმე ბრძენმან: „ცე სუმბატ ბრძენო აქიმოო, ამდენს ხანს ვერა

ისწავლა რა, ექვს თვეს რაღას ისწავლისო? კელმწიფესა ახლა
მაგაზე გაამხიარულებ და ბოლოს, რომ ვერას ისწავლისო, უ-
რესა მჭმუნვარებასა ჩააგდებო“. სუმბატმან არა პასუხი გასცა,
და სხვათა ვაზირთა და ფილასოფოსთა ასე უთხრეს: „სუმბატ
აქიმი მაგისთანა მთქმელი არ არის, რომ თუ იმედი არა
ჰქონდეს, კელმწიფეს არც დაპირდებოდაო, და არც ტყუ-
ლად მოახსენებდაო.

ქართ ე.

წამოვიდა სუმბატ აქიმი და ასწავლა ძესა მეფისესა.

ლარჩა კელმწიფე ამ იმედისაგან გულ დაჯერებული და
სუმბატ სახლსა თვისსა მოვიდა და აღაშენა სახლი ერთი შვიდ
ყურედ კელმწიფისა შვილისათვის, და დასო მა(ს) შინა.

დახატვა ყოვლასა სწავლისა, თუ გთარ დაუხატა.

ორთსა ყურესა დაუხატა ცისა ბრუნვა და ვარსკვლავთა,
რომელიც რომ მუნაჯიბთ იციან მნათობნი, და ვარსკვლავ-
თა, მზისა და მთვერისა სიარული უკლებლად.

მეორესა ყურესა დაუხატა ქვეყნისა მზომელობა, სრუ-
ლიად ყოველი ქვეყანა, ყოველი სჯული და თავ-თავისი წესი.

მესამეს ყურესა დაუხატა კმელეთის ომი, რაზმის გარი-
გება, ბრძოლა და საქმე და ზღვისა საკვირველება.

მეოთხეს ყურეს დაუხატა კელმწიფეთა საქმე და გარი-
გება.

მეხუთესა ყურესა დაუხატა ყაზაბი, ზავთი და კელმწიფე-
თა რიგი.

მეექვსესა ყურესა დაუხატა სმა, გაცემა, მეჯლისი და სა-
მართლის ბრჭობა.

მეშვიდესა ყურესა—ნაღირობა, მშვილდოსნობა, ბურთა-
ობა და ცხენოსნობა, ქორითა, შავარდნითა და ავაზითა შექ-
ცვევა.

რა ესეები გაარიგა და შეამკო, მოიყვანა და დასო სახლსა მას შინა, თვით გვერდით მოუჯდა და ეგრე უთხრა: „კელმწიფისა შვილო, დიდმან კელმწიფემან თავისი მონაგარი და ანუ ძველი განძი, რაცა აქვნდა, ყოველივე გლახაკთა და უღონოთა ზედან საღმთოთ გასცა, მდუღრისა ცრემლითა და ვედრებითა ღვთისაგან მოგითხოვა; ქვეყნის მესამედად სრულიად ინდოვეთისა საკელმწიფო ითქმის, და ამისთვის გამოსადევად უნდოდი, აწე თუ სიბრძნესა და საკელმწიფოდ გამოსადევსა არას ისწავლი, მაშ რა სახმარი იქნები? მამამან შენმან ექვსი თვე ბორჯალი¹⁾ დამიდვა, ანუ მოკალ შვილი ჩემიო და ანუ საკელმწიფო საქმე ასწავლეო, თორემ შენც მასთანვე მოგკლავო, ჩემი გვარი და ნაყოფი უფერი არ მინდაო, და არც თემსა და ქვეყანასა შინა კელსა და უბადოსა შვილსა ვაროინებო“.

რა ესე კელმწიფისა შვილსა ესმა, გულის ზრახვაში ჩავარდა და ასე თქვა: „თუ არას ვისწავლი, უთუოდ მამა ჩემსაც მოვძულდები და საკელმწიფოდ აღარასვე ვარგებ, მაშ რიღას კელის უფალი ვიქნებიო?“ ესე განიზრახა, მიჰყო კელი და დაიწყო სწავლა, და ასე ისწავლა, რომ სხვათა მოსწავლეთა არ შეეძლო ესეთი სწავლა და სიბრძნე. გვარიც გამოიჩინა, გულის ხმიერობა და ოსტატისა სიკეთე ერთად შეყარა, ექვსსა თვესა შინა ესრეთ გასრულებით შეიკრიბა ყოველივე მისი სახამსო სწავლა, რომ დრამისა შესაწონელი აღარა უკლდა რა. სუმბატ აქიმმან რა ესე ესრეთ ნახა, თვალ-პირი, კელი და ფერხი გარდუკოცნა, და მერმე ერთი ჯამი თვალ მარგალიტითა სავსე თავსა გარდააყარა, მასუკან შეიყვანა თავის სახლში, რაც მოეწონა ან მოიპრინა, ყველა მიართვა. რა დრო და ეამი მოვიდა მეფისაგან ხმობისა, მოკაზმა ვაჟი საკელმწიფოთა შესამოსელითა, და მერმე მოილო სტროლაბი ეტლთა საკითხავად და ჩახედა, თუ რას თვალზედ ნახავს კელმწიფეო ძესა თვისსაო, ან თუ როგორ თვალზედ მოიწონოსო სწავლა ამისიო. ოდესცა ჩახედა სტროლაბსა და წაყარა რამლი და დანიშნა ყოველივე საჭირო და

¹⁾ ვარიანტით: პაემანი.

სწორედ გასინჯა, მასვე წამსა მკვდრის ფერი დაედვა. კელმწიფისა შვილი უძვრეტდა და შეატყო ავის ნიშნის ნახვა, და ჰკითხა: „უფალო ჩემოო, რა ნახეო, რომ აგრე შეჭირვებით შეიქენო?“ მან ეგრე უპასუხა: „კელმწიფისა შვილო, ეშმაკისა საქმე ჩანს შენსა თავზედაო, ასეთი რომ შვიდსა დღესა და ღამესა შენს თავზედ ხმალი იქნებისო, ნუ შეიჭირვებ მაგაზე და ნურც გეშინიანო, ღვთით მშვიდობით მორჩებიო; ამა შვიდს დღეს ხმასა ნუ ამოიღებო, რაცა ვინმე გკითხოს, ხომ ყველა იცი და გისწავლია, მაგრამ ნურას იტყვიო, და თუ შენი საქმე ავად მოხდეს, საუკუნოდ მე მწყევდეო. აწ კელმწიფე მამა შენი გიხმობს, ესე ვითარი პირობა მიმიცია, მე თუ თან წამოგყვები, შენის მუნჯობისათვის მკითხავს, და მე ვერას მოვახსენებ, და ფიცხლავ მომკლავსო, ჩემი შვილი რატომ გაგიმუნჯებიაო. აწე ესრეთ სჯობს: მე ამ შვიდსა დღესა დავიმალები, და შენთვის რაც მცნება მისწავლებია, იგი დაიმარხეო“. კელმწიფისა შვილი დაპირდა ოსტატისა მცნებისა დამარხვასა, და სუმბატ აქიმი კი დაიმალა. კელმწიფისა შვილი მამის მხმობარი წაიყვანეს კელმწიფესთან. ოდეს მიიყვანეს კელმწიფისა შვილი, ესრეთ მოახსენეს: „კელმწიფეო, სუმბატ აქიმი ასე დაკარგულა, რომ მისი გზა და კვალი ვერსად გაგვიგნია“. გაუკვირდა მეფესა და დიდათ დაუმძიმდა, შვილი მიიყვანა, პირსა აკოცა და ტახტზედ დაისო, ჰკითხა: „ყმაწვილო, სუმბატ რა იქნაო?“ ყმაწვილმან, ვითა მუნჯმან, კმა არ გასცა. დაშმუნდა მეფე და ასე ბძანა: „ეგების ჯარისაგან შერცხვა და მისთვის არა თქო რაო“. ბძანა, წაიყვანეთ არამშიაო! როდესაცა მას მნათობს ქალს კეთილი შვილი ეშობა, მეორმეოცხესა დღესა ამ უხანოსა სოფლისაგან გარდაცვალებულიყო იგი პირ მზე ქალი, და კელმწიფისა შვილი ობლად დარჩომილიყო, მოეყვანათ ერთი თვალ-ფერად მარჯვე ძიძა მისთვის, მაცოდინარობითა და სიბრძნითა სავსე, კაცთა თვალთა წინა ყოვლითურთ უკლებელი იყო, ხოლო შინაგანი მისი¹⁾ შემ-

¹⁾ ჩვენს დედანში სწერია: შინაგან მისმან.

დგომან სიტყვამან გამოაცხადოს, და ყრმა იგი მას გაეზარდა თვისითა ძუძუთა. მაშინ ჯადო იგი დიაცი იქ იდგა წინაშე მეფისა და მოახსენა: „კელმწიფეო, შვილი ესე შენი ძუძუთა ჩემითა გამიზდია, აწე, თუ მიბრძანებ, წავიყვანო ყრმა ესე სამყოფსა ჩემსაო და ვეცადო, რათა ვათქმევინო, თუ რისათვის უტყვი ქმნილარსო და ან, რაცა უუბრობისა მიზეზი აქვს, ყოველივე ვცნა და მოგახსენოო“. იამა მეფესა და უბრძანა წაყვანა მისი, და მან ეშმაკმან დიაცმან წაიყვანა სახლად თვისად.

მაძესაგან წაეგძნა პელმწიფეს შეიღვისა.

უახლსა თვისსა როდესაც წარიყვანა, შეუძლვა და დასო სახლსა თვისსა, დაუჯდა გვერდსა და მიართვა სანუკვარი ხილი და კარგი საჭმელი, და სასმელები სასიამოვნო, და შეაქცია, და ვითარცა უჭვრეტდა დიაცი იგი ყრმასა მას, ოთხნივე ჩანგალნი დაასო ეშმაკმან გულსა მისსა, და ცეცხლებრ ალეტყინა სიყვარულითა მისითა დედაკაცი იგი, და ცოუნებასა ყრმისასა ეძიებდა ღონის ძიებითა, და ჰრქვა ესრეთ: „ცე, ნაყოფო სამოთხისაო და ვარდო ედემისაო, ჯერეთ ახალო წერგო უკვდავებისაო, ნაშობისა იაღგარად გამოსახულო, ყვავილო ჯერეთ მოუწვეველო, თვალთა ჩემთა სიხარულო და გულისა ჩემისა ნათელო, რად ეგრე უუბრობ სიცოცხლისა ჩემისა სამკაულო? ვერ მიცნობ შენსა ნამსახურსა, პირველით-გან შენთვის ტყვე ქმნილსა შენთა იაგუნდთა ბაგეთაგან, შენის ეშხობისა ეზომ მთვრალსა, შენის მთვარისა პირისაგან ბედ-დაბნელებულსა მეორე ზილიხანსა, შენებრ იოსების-სა მზგავსა თავისთვის კელქმნილსა, აწე ესე ბედნიერობა მელირსა, რომ ასეთსა ხალვათსა სახლსა გვპოვეო, შენისა საჭმისა მოურავად ზედა მდგომელობა მელირსაო, აწე ახალ მოწიფული ყრმა კაცი ჩემებრ მნათობსა ქალთან რადა არა განისვენებს? თუ მაღირსო და შენგან დამწვარსა გულსა ჩემსა წყალი დაასხა, ანუ თუ შავთა წამწამთა კამ(ა)დ დაჭრილსა გულ-

სა მალამო მოუღვაწო, ერთი სამსახური ასეთი გმისახურო, რომ მზე და მთვარე სიმაღლესა შენსა ზედა მოშურნე შევჭმნა, ყოველთა კელმწიფეთათანა სანატრელად გაგხადო, ტახტი და გვირგვინი გაურჯელად, ჯერეთ სიყმისა და სივაჟისა დროსა, კელთა ჩაგიგდო, და შენგანაც ამას ვიაჯი, რომ ესე ყოველი აღვასრულო, შენცა ჩემს მეტი არავინ გამოირჩიო“.

რა ესე კელმწიფისა შვილსა ესმა, თუმცა სუმბატისათვის დალონდა, მაგრამ უთქმელობა ველარ გასძლო და ესრეთ ჰყითხა: „რა არის შენსა კელთა ეგეოდენი, რომ მაგეებს მპირდებიო, ერთი მხევალი ხარ ეგზომსა დიდებასა აღმითქვამ, რით ძალ გიცს შენა ესე ვითარიო?“ მან ესე უთხრა: „კელმწიფესა მამასა შენსა საწამლავითა ასე მოვიპარავ და მოვკლავ, რომ სულიერმა კაცმა ვერა იგრძნას რაო, არცა არას შენ გაგრჯი, სალაროთა კლიტენი მე მაქვს, კელთა მოგცემ და ვინდა იქნების შენი მოცილე და წინა აღმდგომიო“.

ქართ გ.

კალმწაფის შვილისაგან ხმას ამღალება.

ქრმამან გაიცინა და ასე უთხრა: „ტე, უურწმუნეესო და და უუსირცხვილესო დიაცო, ვინა მყავს ტახტისა და გვირგვინისა მაცილებელიო, ჩემს მეტი მამა ჩემს ვინა ჰყავსო და იმის მეტი მე ვინა მყავსო, არ ჩემთვის უნდა ტახტი და გვირგვინიო და ჩემი არ არისო? შენ ახლა მამისა სიკვდილს მირჩევ, შენგან კიდე ავისა მოქმედი ვინ სადა იპოების ქვეყანათა ზედანო? მცნება ასე მიმიღია და დამიმარხავს ოსტატისა ჩემისაგან, რათა ამ შვილსა დღესა და ღამესა მამასა ჩემსა არა ვნახაო და, თუ ამ შვილსა დღესა არა მოვკვდი, პასუხსა მაშინ მოგახსენებო და, თუ მოვკვდები, ბედი შენი მოხდება და იქნებისო“. ადგა და კარში გამოიჭრა. რა კელმწიფისა შვილი გარეთ გამოვიდა, მას წყეულსა დიაცსა სინანული შევჭნა არა მცირედნი და ასრე თქვა: „მართლა თქმულაო იგი სი-

ტყვა, მტერსა იგი არა შეუძლიანო, რომ კაცი თავის თავს უზამსო თავისისა ჭკუვითაო, ესრეთ ბრძენმან და გამოცდილ-მან რა ვქენო, აქნობამდინ ამა ღიღისა კელმწიფისა სასახლე და ქვეყანა ყოველი ჩემის კარგ ქცევითა გაკვირვებულნი იყვნენო, და ყოველი პირი და ენა მე მაქებდაო, და კელ-მწიფემანცა ასეთი ჭკუა და ერთგულობა შემატყოო, რომ სა-ლაროთა კლიტენიც მე შემამომვედრნაო, ყოველნი მე მნა-ტრილენო, კარგის ქცევისა ნამუსიანობისა და კარგის დედა კაცობის იადგრად მიყურებდნენო, და აწ ესრედ უჩვენე ჩე-მი თავიო, აწე უნამუსოობისა და ავ დედაკაცობის გარეო-თად ესრეთ მოწყალისა კელმწიფისა სისხლი რატომ-და შე-ვიდევ თავსაო, რა ვიცოდი მის ყრმისა გონება, რომ ესრეთ ძნელი და საკრძალავი საქმე ასე მალე და გამოუცდელად გა-მოუცხადეო. თუ ამ შეიღსა დღესა დარჩება და არა აუტყდა რა, მასუკან შოვა მამასთან და ამ ჩემსა ნათქვამსა ხომ ყვე-ლის უამბობსო, აწ ცოდვა იქნების, რომ ლუქმა ლუქმა დამ-ჭრის, სისხლი ვის ეკიოხვისო?“ ესე გვარი თავსა აბრალა და მერე ესე თქვა: „თუ არას ვეცდები, ჩემა საქმემ ჩაიარაო“. ზე ადგა, პირი სახე ჩამოიგლიჯა და საყელო გარდაიხივა, თმანი გარდმოიყარა, ტანისამოსი სულ დაიფრიწა, ძალათა სხვათა ნა-კიდავებთ დაემსგზავსა; შევარდა კელმწიფესთანა ტირილითა და ზახილითა, კელმწიფისა ტახტისა ფერხთა მოეხვია და ეს-რეთ უთხრა და იძახოდა: „ყოვლისა კელმწიფობისა სამარ-თლისა იადგარო კელმწიფეო, მეცა განმიკითხე, ნადირნი და პირ მეტყველნი შენისა მოსამართლეობისაგან სამართალსა იშო-ვებენ, ჯიმშედ ანუშირვან და ანუ იგი ღიღი სოლომონ შენგან ნასწავლებსა გვანან, მოსამართლეობითა და თვით ძმო-ბისა შური აულიათ, მარტო ქვეყანაზე მე ნუ გამიშვებ გაუ-კითხვად“. გაუკვირდა კელმწიფესა, თუ ვისგან ჩივის ჩემისა არმის მოსამახურე ეს დედაკაციო. მან დიაცმა ასე მოახსენა: „კელმწიფეო, რა თქვენ თქვენის შვილის უუბობაზე ისე შეწუხებული გნახეთო, ერთგულობისა და შეჭირვებისა ცე-

ცხლით სულ თავით ბოლომდინ დავიწვიო და გამოვითხოვე იგი ხელი, ჩემსა სახლსა წავიყვანეო, ჩემითა ძუძუთი იყო გაზღილი შვილობისა პირობაზედო, ეგების რომ შევიტყო, თუ რა სჭირს ყრმასა ამასო, და რასათვის უუბრობსო, და მეფისა გულისაგან ამის შეჭირვება ამოვილოო, და ოდეს მივიყვანე სახლსა ჩემსა, დაუწყე დედა-შვილური გონიერი და ტკბილი საუბარი, რომ კელმწიფესა მამასა შენსა შენისა დაბალებისათვის და წინათ უშვილობისათვის რომ ამდენი ჭირი უნახავს, ისი არა კმარა და ან რა რიგითა ლოცვითა და ველრებითა მოგითხოვა ღვთისაგან, ახლა კიდევ რა არის რომ შენისა უუბრობისა მიზეზითა ასე შეჭირვებულად გაგიხდია, ღვთისაგან რად არ გეშინიან მეთქი? მე ესე გვარსა სიტყვასა შევაგონებდი. მან ბიჭურთ ლაზლრობითა შეწმახნილნი სიტყვანი მითხრა, მე სხვათათვინ ნათქვამად არა მსმენია, არამც თუ სხვას ვისმე ჩემთვის ეთქვას, მან ეგრე მითხრა: რაც ხელობასა და გაუგონლობასა ვხელობ, სულ შენის მიჯნურობის გულისათვის ვიქმ, მე აკვანსა შინა რომ ვიწექ და ძუძუს მაწოვებდიო, შენი სურვილი და მე ერთად ავლორძინდითო, სასწავლოსა შინა სიბრძნისა წიგნსა რომ მასწავლილნენო, მე შენისა მიჯნურობასა ვზეპირობდიო, შიგნით ჩემი გული შენის მიჯნურობისა სისხლითა ეგზომ აივსოო, რომ ნამეტნავმან შენისა ლაწვისა ფერადად გაამეწამულაო, მე შენთა თვალთა სიშავემან ჩემთა თვალთა ნათელი წაულოო; შენმან აგრე მოხრილმან წარბმან ახალი ნორჩი ტანი ჩემი მშვილდურად მოხარაო, წამწამმან გული ესრეთ დამიჭრა, რომ ჯანინოზმაცა მისი კურნება ვერ იმოქმედოსო, მან დამამუნჯაო, რომ შენს მეტი ადამიანის ნაუბარი არ მიამებისაო, აწე მე დამემოყვრე, გულისა ჩემისა ნება ალასრულეო, მე მამასა ჩემსა მალვით და მიპარვით ან მოვკლაო და ან ძელსა ზედან ჩამოვარჩობო, მაშინ ბანოვანთა თავად და განმანათლებელად ტახტისა ჩემისა შენ დაგვსამო. მე რა ესე მესმა, გახელებული წამოვარდიო; წამოხტა ისიც და ჩემის წმინდის კალთის დასვრას ლამოდაო,

მე ძლივ კელიდამ დავსხლტიო, და აწ ეს არის ორმ შენმა შვილმა თავიც მოგკვეთაო და სახლიც შეგირცხვინაო, შენი არამი სიწმინდით ანგელოზთა სამყოფსა გვანდაო და ახლა ასე შეიბილწაო; ეგზომი მოვყრილვარ ესრეთ დიდსა კელვწიფეთა წინა შენსა განწმენდილსა სახლსაო და ესე გვარი საქმე და სიტყვა როდის ხენებულაო, თუ სახლსა შენსა შეარცხვენდა, სიკვდილს რაღას გემართლებოდაო, ჩემის ძუძუთი გამიზდიაო, ძიდა დედისაგან უფრო საყვარელი არ არისო? დედის სიყვარული ჰქონდა და მე საავკაცოდ მომინდომაო, კელმწიფის მამის სიკვდილი რატომ შერჩეს, ესეთი შვილი რა საყოლიაო, ჰკითხე შენთა ბანოვანთა შიგან, თუ ჩემის სიწმინდისა და ნამუსის უკეთესი შენსა სახლსა იყოსო; ჩემისა სიწმინდისაგან შენი არამი სულ ელავდა და კამკამებდაო; აწე თუ შენსა თავსა არა გაუვლენო და მეც სამართალს არ მიზამო, და მას ყრმას აწვე თავს არ მოჰკვეთო, როგორც ფოლლორცთა და ქარვასლათა შინა არა დავსჯდებიო, ისე შენთა სასახლეთა შინა არ დავდგებიო, წავალ თემთა და ქვეყანათა შინაო და ჩემსა დღეთა შინა ვივლი, და ამ ჩემსა უსამართლოსა ვიტყვიო და მოვთქვამო“.

რა კელმწიფესა მას ესე ესმა, ჯავრით ბრუ დაესხა და ტვინსა შიგან ცეცხლი მოედვა. ესე გვარი სიტყვა დღეთა მისთა შინა არა სმენოდა და განრისსებულმან ბრძანა ესრეთ: „ღმერთმან სახლის შემარცხვენელი და ჩემი მკვლელი შვილი ნუ მომცესო, და, ვითაცა აბესალომ გამოიმეტა თავისი შვილიო სახლის შერცხვენისათვის და თავი მოაკვეთინაო, და ნოემ ერთი გაცინებისათვის სწყევაო და კიდეც წარწყმდაო, აწე მეც ისე უზამ მას ყრმასაო, ჯალადები მომგვარეთო, თავი მოკვეთონ და აქ ჩემთან მომიტანონ“.

ქარდ 4.

აქა მაძის ქართულით პელმწიფემ თაგვისა შეიღი სახიეგდოლოდ მისწა ჯალადებსა.

ჯალადებმან ფიცხლად გაიყვანეს კელმწიფისა შვილი და

სასიკვდილოდ გააშიშვლეს. ამაზედან კმა დავარდა და ვეზი-
რებსაც ამბავი მოუვიდათ, ვითა კელმწიფესა თავისი შვილი
ჯალადებისათვის მიუკია და თავს აგდებინებენო, გაუკვირ-
დათ და ჯალადებს კაცი გაუგზავნეს, რასა იქთ, მაგ ყრმას კე-
ლი არ მიჰყოთ და სრულად ინდოეთი არა დაამხოთო, მცი-
რესა ხანსა მოიცადეთო და ჩვენსა საქმესა უყურეთო. მერმე
უფროსმან ვაზირმან სხვათა ვაზირთა ესრეთ უთხრა: „ვერა
ხედავთ კელმწიფესა, ესეოდენი ბრძენი ჭკუა ერთსა ეშმაკსა
დიაცს როგორ მოუნადირებიაო, რომ სახელმწიფოსა შვილსა
აკვლევინებსო, აწე ესე იცოდეთო, რა კელმწიფე ამ წყენისა-
ვან ჯავრსა და მუქარას¹⁾ ამოიყრისო, მერმე სინანულსა შიგან
ჩავარდებისო, მერე ჩვენ ამას არ გვიბრძანებსო, რომ გაჯავ-
რებულსა კაცსა ჭკუა როგორ შერჩებისო, რის ვაზირები ხართ,
თუ ამისთანას საქმეს არ დამიშლითო, ამდენსა ჩემსა წყალობასა
რათა სჭამთო, რომ ესე საქმე არ დამიშალეთ და ჩემნი ორი-
ვე თვალნი კელითა ჩემითა ამომაყრევინეთო, და ჩემი საკელ-
მწიფო დაშაქცევინეთო. ჩვენ აბა რა უნდა ვსთქვათ და ან რა
უნდა უპასუხოთო, თუ რომ დაგვხოცოს, უმართლე არ იქნე-
ბისო“. სხვათა ვეზირთა ესრეთ უპასუხეს: „კელმწიფესა თავი-
სისა შვილისათვის თავისი სიკვდილი დაუწამებიაო და სახლი-
სა შერტხვენაო, ოდეს ჩვენ მას მოვეხმარებით, თავისისა ორ-
გულობასა და მისია კერძობასა დაგვწამებს და დაგვხოცოსო,
და მოსწრაფებითა სიკვდილსა მოგვიანობით სჯობსო“. თავ-
მან ვაზირმან ესრეთ უპასუხა: „დაცუდნებულ ხართ მაგა თათ-
ბირსა, კელმწიფისა შვილი ერთსა ეშმაკსა დიაცსა რომ მო-
ვაკვლევინოთო, რას გვეტყვიან სრულიად ინდოეთი, არამც
თუ სავაზირო ჭკვა დაგვეწამება, არამედ ნახირის ძოვნასაც
აღარ დაგვსაქმებენო, და თუ არ დამიჯერებთო იმ ერთის
უფროსის მაიმუნივით მე ჩემის დედა-წულობით ასეთსა ად-
გილსა წავალო, რომ სულიერმან კაცმან ჩემი გზა და კვალი

¹⁾ დედანში „ბუხარს“ სწერია.

ვერა შეიგნოსრაო, და ვეპვ, რომ მაშინ ჩემი კუუა მოიგონოთო, და თქვა თიმსარი.

თიმსარი მეოთხე.

ტრთსა თიმსარს მოგახსენებ მაიმუნისასა: ამა თემსა შინა ერთსა მაღალსა მთაზედან ძველად ოდესმე მაიმუნი სახლებულა და ყრილობა ყოფილა, რომ იმისი უფრო მრავალი მაიმუნი სხვაგან არა ყოფილა, ნიგვზისა ხესა ზედან და ნიგოზსა ქვეშ სახლებულან. დღესა ერთსა გადმოუხედავს ერთსა მაიმუნსა და დაუნახავს შორს მთის ძირში ერთი ნათამაშევი ცხვარი, წასულა იგი მაიმუნი და უფროსისა თვისისათვის უთქვამს და უჩვენებია. რა მას ბერსა მონახულსა იგი ცხვარი უნახავს, თეთრი წვერი და ულვაში გაუგლეჯია და ესრეთ უთქვამს: „ამდენის ხნისა ვარ, მრავალი მსმენია და მრავალი გამიგონია, და აქ ცხვარი არ მინახავსო, როდესაც ქვეყანათა ზედან უქნელი და უნახავი საჭმე იქნებისო, ნიშანია იგი, და იგი ქვეყანა აღუხოცელი არ დარჩებისო“. მასვე წამსა შეუყრია იქ მყოფნი მაიმუნი და ესრეთ უთქვამს: „ძმანო, მამანო და შვილნო, თუ მე რასმე დამიჯერებთ, ავიყარნეთ აქედამ და სხვას თემს წავიდეთო“. მათ ჰითხეს, თუ რისათვის უნდა ავიყარნეთო, ათასი წელიწადი უფრო არის, რომ ჩვენი ნათესავი აქ დასახლებულაო და ჩვენი სამკვიდრო ალაგი რისთვის უნდა განვაგდოთო? მან ბერმან ეგრეთ უთხრა: „თუ კარგი ნიშანი იყოს, ამ ათასს წელიწადს რატომ არ გამოჩენდა ცხვარიო ამა თემსაო, შე დამიჯერეთ, აყრის ნიშანი არის, ეს ალაგი დავაგდოთო“. მათ შორს დაუჭირეს, იგი უფროსი მაიმუნი¹⁾ თავისის დედა წულობით აიყარა და წავიდა. იმათ ბევრი დასუინეს, რათ აიყარა და წავიდაო. გამოვიდა მცირე ხანი და მინდორთა ცეცხლი მოედვა, ცხვარსა გაუპარსაობით მატყლი გასდიოდა და ცხვარსა ცეცხლი მოეკიდა, ცხვარმა სირბილი დაიწყო და მის

¹⁾ დედანში სწერია: მონახული.

უამისა კელმწიფისა სასპილოვესა სახლსა შევარდა. იგი სახლი ჩალით იყო გაკეთებული, ცხვარი ზედ შეეფხანა, მას ჩალასა ცეცხლი მოედვა და სპილოვები სულ დაირუჯნენ და დაიწვნენ. ესე ყველა ამბავი კელმწიფესა მოახსენეს, კელმწიფე მან ბძანა, წამალი მოიკითხეთო, ამდენსა ძვირფასს სპილოვებს ნუ დამიხოცთო. ბრძენსა აქიმსა ჰყითხეს და მან ეგრე უთხრა, მაიმუნის ქონის მეტი მაგათი წამალი არა არის რაო. წავიდნენ და კელმწიფესა მოახსენეს. კელმწიფე მან ბძანა: „წადით და საცა ჩემსა სახელმწიფოში მაიმუნი იყოს, სულ დახოცეთო და ქონი გამოართვითო“. წავიდნენ და იმ ადგილსა მივიღნენ, საცა ის მაიმუნები იყვნენ და დაუწყეს ხოცა. ერთმან მაიმუნმა ჰყითხა: „ძმაო, რა არის ჩვენი დანაშაულიო და ან კელმწიფისა რისხვა რათ გვეწიაო?“ მათ უთხრეს: „თქვენ დანაშაული არა გაქვსთ რა, ცეცხლ მოკიდებული ცხვარი შემოვარდაო სასპილოვეს ადგილსა, სპილოვების სადგომი დაიწვაო და სპილოვები სულ დაირუჯნენო, და ერთმან ბრძენმა აქიმმან თქვენი ქონი ასწავლაო და იმისთვის გხოცეთო“. მასვე წამსა მათის უფროსის რჩევა და ჭკუა მოაგონდათ და ასე თქვეს: „ვისაც თავისის უფროსის და მონახულის ჭკუა არ დაუჯერებია, ამის უარესიც ნუ დაელევისო“. აწე ვეზირნო, ეს არაკი ამიტომ მოგახსენეთ, რომ უფროსი ვარ და დამიჯერეთ. მოეწონათ სხვათა ვაზირთა და ველარ დაეძრნეს სიტყვასა მისსა და ასე უთხრეს: „უწინ შენ მიდი, ჩვენი თავი და უფროსი ხარ და მასუკან შენი საქმე როგორც დაგვარიგებს, იმას ვიქთო“. ადგა უფროსი ვეზირი, წავიდა და შევიდა წინაშე მეტისა თვისისა.

ქართ ტ.

მისიგლა პარველის გეზირასა. კელმწაფის შვალის დამხსნელის სიტყვას მოახსენება კელმწიფის წანაშედ.

მივიდა ვეზირი, კელმწიფე დალოცა და მოაჯეთა წესითა.

კელ-მოჯდობით¹) დადგა. შემოხედნა კელმწიფემან და უბძანა, მოაჯესა გავხარ და, რაცა გინდოდეს, თქვიო. ვეზირმან ესრეთ მოახსენა: „დამბადებელისა ღვთისა სახელსა უტყუვრად ვფიცავ, კელმწიფეო, რომ არც ფერობით, არც სიყვარულით და არც ერთგულობით მე შენ ამას მოგახსენებო, მე ამის მნახველი კაცი ვარ და სხვანიცა მეფენი მრავალნი მინახავსო, მე შენისთანა ბრძენი და მოსამართლე ყოვლითურთ სრული, ყოვლითა სამეფოთა ზნითა შემკული მეფე არ მინახავსო და არცა მსმენიაო, აწე ღმერთმან მისისა უშურველისა მოწყალებითა შენისა ტახტისათვის ერთი შვილი მოგცაო, და აწერთისა დიაცის ქართულით ჯალადებისათვის სასიკვდილოდ მიგიციაო, არა ოდეს ქურდი და ავაზაკი, თუ შვიდ გზის არ გაგიკითხავს, არ მოგიკლავსო, უბრალოდ სისხლის საკრძალავად ღამით საქმეს აპირებო, გაუთენებლად საქმეს არ ღაინახავო და გაუკითხავად შვილსა ჰკლაო, ესე რა გვარი საქმე არისო?“ კელმწიფემ ვაზირს დიაცისა და მისის შვილის საჩივარი უბძანა. ვეზირმან მოახსენა: დიაცის ეშმაკობაზედ და სიმტყუნეზედ ერთსა თიმსარს მოგახსენებო.

თამსარი მეხუთიე.

გეზარშან შოასსენა თამსარი:

ერთსა ქალაქსა შიგან ერთი საბრალო ღოვლათიანი კაცი იყო, ერთი ცოლი ჰყვანდა და შვილებიც ჰყვანდა, ცოლი ერთობ ტურფა და ლამაზი ჰყვანდა, მორჭმა, სახლი, კარი და პატრონობა კარგი ჰქონდა, მაგრამ დედაკაცი ეშმაკი და არა წმინდა იყო და მოყვარე ჰყვანდა, ქმარმა არ იცოდა და ცოტად ეპვი კი ჰქონდა. ღლესა ერთსა ერთმან თავისმა მოყვარე კაცმან დაპატიჟა კაცი იგი, მოვიდა შინა და ცოლსა.

¹) ვარიანტით: კელმოჭდობილი.

უთხრა: „ერთმან ვინმე კაცმან დამპატიუა, როგორ მეტყვიო, წავიდე თუ არაო, და ან შენ როგორ გაგიშოო?“ ცოლმან უთხრა, დიახ წაბძანდიო. ადგა კაცი იგი და წავიდა, გამოვიდა, და კართან ერთი თუთი ჰყვანდა და იქ ევიდა, აღამიანსავით ლაპარაკზედ გაწვრთნილი ჰყვანდა, მუდამ შაქარსა და ქიშმიშსა აჭმევდა, და ოქროს ყაფაზაში უჯდა. ადგა კაცი იგი და მასთან მივიდა, ასე უთხრა: „ამას ლამესა თვალსა ნუ მოხუჭავ და რაცა სახლსა ჩემსა ნახოო, ყველა წვრილად მიამბეო“. მან ეგრე უთხრა: „დია ღმერთო¹⁾ შენი ბძანება გავათავოო“. და კაცი იგი საწვეველსა ადგილსა წარვიდა. ოდეს დიაცმან ქმარი გაისტუმრა, იმავ წამს მისანდოსა კაცსა წიგნი გაატანა და მოყვარესა თვისსა მისწერა ესრეთ: „რა შენსა შეყრასა მოვშორებულვარ, სისხლისა ცრემლთა შინა შევლებილვარო, ოდესცა ჩემი კელი შენთა კალთასა მოშორვებიაო, მუნითგან აქამომდე ეგზომი მიცია ორისავ კელითა თავსაო, რომ თვალთა სინათლე სრულიად მოქკლებიაო, აწე პატრონი ჩემი ამას ლამესა საწვეველსა ალაგსა წავიდა და ამას ლამესა არ მოვაო, მოდი იმას თვალთ ნაცარი ვაყაროთ და ჩვენ ერთმანერთისა სიახლოვითა გავიხაროთ“. რა ესე წიგნი ნახა, კაცსა მას გაეხარა, წიგნსა აკოცა, უბეში ჩაიდვა და, როდისცა შელამდა, წავიდა კაცი იგი: ვითა აშიყ-მაშიყთა წესი იყო, ლამაზად მორთული მივიდა და დიაციც ისე დახვდა, სახლი, დასაჯდომელი, ჯამ-ტაბაკი განშვენებული დაახვედრა, ლვინო ყირმიზი, მათთა ბაგეთა შესაფერი. შუალამის უამაღმდი სმაღ და სიხარულად სხდეს და შუა ლამეს უკან დაწვნენ, და თუთი ყაფაზით გამოიმზერდა. რა გათქნდა, დედაკაცსა პირს-ზედ თვალ მარგალიტი გაუცივდა, ყმასა მას გამოელვიდა და უკანის კარით გავიდა²⁾). სახლის პატრონიც მოვიდა და ცოლსა

¹⁾ ვარიანტით: ღვთის ნებით.

²⁾ ვარიანტით: რა გათქნდა, დიაცმან გააღვიძა და მაშინვე წამო-ხლტა და უკანით კარი იყო იყო და შიგან გახლტა.

სიცილით და სიხარულით სალამი მისცა. დიაცმან უაზრობის გულისათვის ნაზობა დაიწო და წყრომის გვარად ასე უთხრა: „შენ სალხინოდ დახვალ და მე მარტო დამაგდებო, წუხელის გვარავის შიშით არც მისომს და არც არა მიჭამიაო, და არცა თვალი მომიხუჭავსო“. ქმარმან ბოლიში მოიხადა და ეგრე უთხრა: „არცა მე მინდოდა შენი გაყრა და მოშორვება, მაგრამ ისევ შენის დასტურით წაველო“. მერე დედაკაცმან სიტკბო და სიხარული დაუწყო, კელი მოჰკიდა, გვერდსა დაისვა და ეგრე უთხრა, ნალვინევი ხარო, მეავიანი საჭმელი გაუკეთა და მიართვა. მცირესა ხანსა იალერსეს და, რა ალერსი გაათავა, კაცი გარეთ გავიდა, თუთის ყაფაზას მიუდგა და ლაპარაკი დაუწყო და ჰყითხა, ან რა ნახეო და ან რა გაიგონეო? თუთიმ ესრეთ უთხრა: „ნეტამც ორი თვალი დამდგომოდა და შენს სახლში მე ამ გვარი სირცხვილი არ მენახაო, რასაც¹⁾ წამ შენ წახველ, იმავ წამს წიგნი მისწერა, თავისი მიჯნური მოაუყანინაო, ნეტამც ისეთი კარგი არ ყოფილიყო ის მოსაკლავი კაცი, ჩემს თვალს იმისთანა ყრმა კაცი არ უნახავსო, ჯერეთ წვერ გაუშლელი, ახალ ულვაშ აშლილი, მზისა მგზავსი იყო, ბაგე იაგუნდი, ტანად ახალ ნორჩი, ალვისა ხესა ჰვავსო, მისის ქოჩრისა სურნელებამან აქ ყაფაზაში დამარჩოო, კელები კალთაში რომ ეწყო, ასე ეგონებოდა კაცსა, ვარსკვლავები უსხედსო; მე აგრე ვეჭობ, რა ისი დაბადებულა, იოსების სილამაზე ორმოში იმას ჩაუგდიაო და მას გამოჰკოლიაო; შუა ღამეშინ ლალის ფერის ყირმიზის ღვინით იმავ ძოწეულის ბაგით კოცნა ჰქონდათო, და შაქარი და რძე რომ გა(ა)ერთო, ისე ტკბილად იუბნესო; შუა ღამეს უკან დაწვნენ და ასე შეიხვივნენო, რომ წებოთი შეწებილსა გვანდნენო, და მათ უსაყვარლესი მიჯნური არა ნახულანო, რომ იმათ ეს ღამე ისიამოვნესო“. რა თუთისაგან ესე ამბავი მას კაცსა ესმა, თოვის წამალი რომ ცეცხლმა ააჩქაროს, ისე აჩქარდა,

¹⁾ დედანში სწერია: რასას.

აიღო ერთი ნიჩბის ნატეხი და მიუხდა ცოლსა თვისსა და დაუწყო ცემა. დედაკაცი ჰქითხავს, რა დანაშაული მაქვს, რის-თვის მკლაო? მან არა პასუხი გასცა, ეგეოდენი სცა, რომ სულის ამოსვლას გარეთ არა დაკლო რა. კაცი რა კარზედ გამოვიდა, დედაკაცმან ასე თქვა: „ვინ გაამჟღავნა ჩემი ხვა-შიადიო და ჩემს ქმარს ჩემი თავი ასრე უწყალოდ ვინ მოა-კვლევინაო“. ერთი თავისი გაზღილი ყული ჰყვანდა, იმას დასწამა; ეგების იმან მიაზრა და ჩემის ქრმის ყურში იმან ჩა-აგდოო, მოიყვანა ყული იგი და ჰქითხა: „ვინღაც ჩემს ქმარს უთხრა და ასე მამაკვლევინა, რომ ოღონდ სული არ ამომ-სვლია, თვარემ სხვა ასო მთელი აღარა მაქვსო“. მან ყულმან ასე შეფიცა და გული დაჯერებინა: „მე არც არა შენი მე-ნახოს, არცა რა შემეტყოსო და არც შენის ქრმისათვის მე მეთქვას რამეო, და კიდეც რომ შემეტყოო, მე შენს ხვა-შიადს სხვას კაცს როგორ ვეტყოდიო“. რა დიაცი ამაზედ შესჯერდა, მასუკან უთხრა: „გუშინ ვნახე თუთი და მისი ბა-ტონიო, რომ ყური ყურზედ დაედვა და ლაპარაკობდენო“. მე-რე დიაცმან თქვა, უსაცილოდ ესე საქმე თუთის მეტს არა-ვის უქნიაო, აწე თუ მეც ამისი პასუხი არ უყო, თურმე დე-დაკაცი არა ვყოფილვარო¹). არცალა ხმა გასცეს და არც არა კაცმან ახსენა თავისისა ცოლისა ავ-ნაქმარი. გამოვიდა ამაში არა მცირედნი ხანი, და კაცი იგი ქორწილსა დაპატიჟეს, გულითა საწვეველსა აღგილსა. წავიდა კაცი იგი და თუთის ესრეთ დააბარა: „თუ კიდევ სახლსა ჩემსა ნახო რამეო, ნურას დამიმალავ, მიამბეო და, თუ კიდევ ნახავ რასმე, უსაცილოდ მოვკლავ ცოლსა ჩემსაო და, თუ აღარას ნახავ, ამ ცემას და-ვაჯერებო, შენ კარგად უფრთხილეო და ნუ დამიმალავ, რა-ცა ნახოო“. თუთი დაპირდა, თუ ვნახავ რასმე, როგორც აქამდინ არ დამიმალავს, ისე ახლა არ დაგიმალაო. აღგა ის კაცი, წავიდა. რასაც წამ დედაკაცმან ქმარი გაიცალა საწვე(ვე)ლ-

¹⁾ მეორე ვარიანტი უმატებს: არცარა შემძლებიაო.

სა, მიჯნურთან ფიცხლავ კაცი გაგზავნა, მოიყვანა და უკანით ასეთსა სახლსა შემოაპარა, რომ ის სახლი თუთის არ ენახა, რასაც დროს დალამდა, ყმაწვილები შეყარა და ესრეთ უთხრა: „თუთის ყაფაზის თავზედ ასე რიგათ მომართე, რომ კელსა-ფქვავი ბრუნვედესო და თუთის თვალსა და პირსა ნაცარი და მტვერი ეყრებოდესო, და წყალსაც ასხამდეთ, რომ ველარა გაიგოს რაო“. წვიმის მაგიერად წყალი ასხეს, ქუხილისა და გრგვინვის მაგიერად, კელსაფქველი აბრუნეს, თუთის კელსა-ფქვის ბრუნვა ცისა გრგვინვა ეგონა, წყალი წვიმა ეგონა, ნაცარი და მტვერი ქარისაგან ეგონა, ვერც თვალი აახილა და ვერცარა მათი საქმე გაიგო. ამისთანა ილთითა მას ღა-მესა მან მოყვარესთან განისვენა. რა გათენდა, მოვიდა კაცი იგი, ცოლისა ალერსი გაათავა, მას უკან თუთის ყაფაზას მი-უდგა და ჰკითხა, თუ ჩემსა სახლსა შინა კიდევ ნახე რამე თუ არაო? თუთიმ ეგრე უთხრა: „საღაცა თქვენ იყავით, იქ არ იყო ეგეოდენი ქუხილი, გრგვინვა და ავი დარიო?“ მან ეგრე უთხრა: „ჩენ არც ქუხილი გვინახავს, არც გვრგვინვა და არცა დარიო“. მობრუნდა და ცოლისა ჰკითხა, თუთი ასე მეუბნების, აქ ასეთი არეულობა, ქუხილი და ავი დარი იყოო, ჩენ ასე გვეგონა, ქვეყანა დაიქცაო, დასტურად ეს ასრე იყოო თუ არაო? საცა ჩენ ვიყავით, იქ კი არა ყოფილარაო“. ცოლმან ეგრე უპასუხა: „შენი თუთი ასეთსა ამბავსა დაგა-ხვედრებს შენისა სახლისაო, რომ ყველა მართალი იქნებაო, აწ გრგვინვა ან ქუხილი და ან სეტყვა აქ საღა ყოფილაო“. დედაკაცმან ამაზედ ქმარი შეიჯერია და მოწმებიც მოასხა, რომ არც ერთი არა ყოფილიყო. კაცი კარზე გამოვიდა და თქვა, თუთიმ ცოლი უბრალოდ მომაკვლევინაო, და ასეთი გული ჩაიდვა ჩემა ცოლმანო, რომ თავის დღეში არ მოი-ბრუნებსო, თურმე თუთი ასეთი მტყუანი ყოფილაო და უვე-ლას ტყუილად მეუბნებოდაო. ადგა, ყაფაზიდამ გამოიყვანა, დააწყვიტა მიწაზედ, და უბრალო სული თუთი კი მოკლა. იმ ადგილს მას კაცს ერთი მუსაიბი კაცი ჰყვანდა, კარზე გა-

მოვიდა და თუთი მკვდარი ნახა, გაუკვირდა და თითსა იქნინა, ჰერთხა, ეს თუთი ვისი არისო? ეწყინა და ასე თქვა, ეს როგორ მოკლაო, ქვეყანაზე ამას უკეთესი თუთი არა იყოო. ამას მეტი არა თქვა რა და შინ შევიდა. დღესა ერთსა მან კაცმან იგი თუთის მკვლელი თავის მუსაიბი კაცი ნახა და ჰერთხა, თუ რისათვის მოჰკალო. მან ეგრე უთხრა: „ცუდ მოუბარი და მტყუანი იყოო, ერთხელ ასეთი ტყუილი მიამბო, რომ ცოლი მომაკვლევინაო“. მან კაცმან ეგრე უპასუხა: „დამცდარხარ, უბრალო სული მოგიკლავსო, ამისთანა უსწორო ფრინველიო, თუ უბრალო სული არ მოგიკლავსო, აბა ერთი შენი სახლისა ყმაწვილი მოიყვანე და ჰერთხეო“. მასვე წამსა წავიდა და ერთი თავისი შვილი მოიყვანა და ჰერთხა, წუხელის რას იქმოდით და ან რას შეექცეოდითო? მან ყმაწვილმან ეგრე უთხრა: „წუხელის არც მე და არცა ჩემ ტოლს ყმაწვილებს არა გვძინებიაო, თუთის ყაფაზის თავზედ დედა ჩემმან კელსაფქველი გვაბრუნებიაო, თვალში მტვერი ვაყარეთ და წყალი ვასხითო“. მან კაცმან უთხრა, არ კი გითხარ, უბრალოდ მოგიკლავსო და შენი ერთგულობისათვის მოკვდაო. მერე მან კაცმან შეიტყო, რომ ტყუილად ცოლმა ილათით მომაკვლევინაო, დაიწყო სამძიმარი და ტირილი, მაგრამ თუთის რაღა ეშველობოდა. რა ვეზირმან ეს არაკი მოახსენა და გაათავა, კელმწიფესა ასე მოახსენა: „კელმწიფეო, დედაკაცი, რომელიც ავი გამოვაო, ასეთის ტყუილის მოგონება ეცოდინებაო, რად გირწმუნებია დიაცის ქართულიო“. რა ვეზირმა ასე მოახსენა, კელმწიფესა გულში ჩაეწვეთა ესეთისა მოხსენება. მერე კიდევ მოახსენა ჯაზირმან: „მეფეო, შენი შვილი ტყვეთ შეინახეო და მისანდოთა კაცთა მიაბარეო, მერე გასინჯეთ შეცოდება მისიო და რომელიც კამდეს, იგი უყავო, და თუ ფარვანსა მიბოძებო, ავის დედაკაცისაგან ტყუილის მოგონებაზე ერთსა თიმსარს მოგახსენებო“. მეფეს გულშიგან ვეზირისა სიტყვა ეჭეშმარიტებოდა და და ვეზირმან მოახსენა კიდევ.

თიმსარი მემჭველი.

აგსა და ანტიკედ მოახსენა ქიდევ თიმსარი:

Uრთსა ქალაქსა შიგან იყო ერთი დიდი ვაჭარი და ჰყვან-და ერთი ლამაზი ცოლი, კეკლუცი და მწყაზარი, და მას ქა-ლაქსა შინა იყო მის მეფისა ერთი კარგი მიჩნეული კაცი, და ცოლი არა ჰყვანდა, და მის მოქალაქისა ცოლსა გაეწყო. დღესა ერთსა წავიდა კაცი იგი სხვაგან სავაჭროდ, და რა მის ვაჭრის ცოლის კურომან სცნა, რომ მისი¹⁾ მოყვრის ქმა-რი სხვაგან წასულიყო, გაუგზავნა ყული ერთი მას დიაცსა და ესრეთ შეუთვალი: „თვალთა ჩემთა ორთა სინათლეო და გულისა ჩემისა სიხარულოო, ქმარი შენი ხომ სხვაგან წავი-დაო და მოდიო აქა, ხალვათათ ვარო, სახლი, ბალი და ბახ-ჩა მზათ მაქვსო, სუფრისა შესამკობელი ყირმიზი ლვინო, ხი-ლი, ყველა დამიმზადებიაო, მოდი გავიხარნეთ ერთად ყოფნი-თა და ლხინითა ვიხაროთო, მე მანდ მოვდიოდიო, მაგრამ ბევრი სახლის ჯალაბი და ახლო მეზობლები გყვანანო“. მი-ვიდა ყული იგი და კარი დაურაკუნა, დიაცი გამოვიდა და მან ყრმამან უამბო ყოველივე შეთვლილობა პატრონისა თვი-სისა. დიაცმან რა ყრმა იგი ნახა, უსაზომოდ მოეწონა და გაიხარა, და მოუნდა დიაცსა მას იგი ყული და ასე თქვა: „ბოზობა და ავი დედაკაცობა ხომ ერთი არისო, მოდი, ჯე-რა მასთან განვისვენებო და მასუკან იმისს ალერსსაც დავეს-წრობიო“.

შეიყვანა შინა, დაუწყო ლალობა და აცთუნა ყრმა იგი, და ამა საქმეზედ დაუგვიანდა, გაგულისდა იგი მოყვარე მის დიაცისა და ასე თქვა, რა დაემართა აქამდინ იმ ყრმასაო.

ადგა, ქმალი შემოირტყა, ლახტი წელში ჩაირწო, მის დია-ცის ქმარი შინ არ ეგულებოდა, მივიდა და კარი დაკეტილი დახვდა, დაუძახა, კარი გამიღეო! მან ყულმან თავის პატრო-

¹⁾ დედანში სწერია: ჩემის.

ნის კმა იცნა და მას დიაცსა ასე უთხრა: „ხომ არ დამეხსენ და ჩემს ცოდვაში ჩასდექო, აბა რავჭნა, მეც ხომ მამკლავს და შენცაო“. მან დიაცმან ეგრე უთხრა: „ნუ გეშინიან, ადექ შეხტი და ქვეშაგებში ჩაწექო, და მე მასუკან მშვიდობით გაგზავნიო“. ყული იქ დამალა და თვით მხიარულისა პირითა წინ მიეგება, და კარი გაულო, მან უთხრა: „რამდენი ხანია ყული გამოგიგზავნე, დაგპატიუეო, არცა ყული მომივიდა და არცარა შენი ამბავიო, ეს რატომ ასე მიყავიო?“ მან დიაცმაც ეგრე უპასუხა: „ეგრეთი ტყუილი რატომ მიამბეო, შენი დამაპატიუებელი კაცი მომსლოდა, როგორ დავიგვიანებდიო, არც შენი კაცი მინახავს და არცარა ამბავი მომსვლიაო, თორებ შენის შეყრის უკეთესი რა დამემართებაო“. დიაცმან მოატყუა, შინ შეიყვანა და დასხდენ სახლსა შინა, და რაცა სწალდა კაცსა მას, გულისა თვისისა ნება ალასრულა. ამასობაში ქმარი მოესწრო მას დიაცსა, რაღაც რამ საქმე დარჩომოდა, კარი დაურაკუნა და იძახოდა, კარი გამიღევითო, საქმე მაქვსო. დედაკაცსა უთხრა მან კაცმან: „მე აწე რას მიზამო, იმისი არ მეშინიან, მაგრამ ჩემის კელმწიფისა მრცხვენიანო, და თუ მეტყვი, აქ რომ ბარგი აწყვია, იქ დავიმალებიო“. დიაცსა ყული რომ იქ ეგულებოდა, ასე უთხრა: „შენ მაგას როდისა გყადრებო, რომ მაგ გვარად დაგმალოო, შენ კმალი გამოიწოდეო, მუქარით გადი და ასე თქვი, ყველას დაგხოცთქო, ერთი კლმის ყუა ჩემ ქმარსაც გადაჰკარ, შენ წალი და მერე პასუხი ჩემზედ მოაგდეო“. იმ კაცმა დიაცის ნათქვამი ყველა დაიჯერა, კარი გაიარა, ქმარი წინ შემოეყარა, ერთი კლმის ყუა იმას ჩაარტყა და მუქარით გაიარა. კაცი შეშინებული შინ შევიდა, დიაცს ჰკითხა: „იგი კაცი ვინ იყოო და აქ რა ესაქმებოდაო, რომ კინალამ მეც მომკლაო და მუქარით გავიდაო“. დედაკაცმან ეგრე უთხრა: „დღეს რაც მე სამადლო საქმე ვქენო, ერთს სხვას არავის უქნიაო“. ქმარმან ჰკითხა, რა ჰქენო? მან დიაცმან ეგრე უთხრა: „იგი კაცი ერთს უსუარს ყმაწვილს სასიკვდილოდ მოსდევდაო და შემო-

შეხვეწა, შენის ღმრთის გულისთვის მიშველე რამეო, შემებრა-
ლა, ავიყვანე და ქვეშაგებში დავმალეო და უწყალოდ სიკვ-
დილს მოვარჩინეო, რა შინ შემოვარდა იგი კაციო, მიიხედ
მოიხედა, რომ ველარსად იპოვა, გაგულისებული კარში გა-
მოვარდაო და მუქარით იმიტომ მივიდოდაო“. ქმარმან ეგრე
უთხრა: „კარგი საქმე გიქნიაო, რომ ერთი სული სიკვდილისა-
გან დაგიხსნიაო, ადეგ და გარდამოიყვანეო იგი ყრმაო“. დია-
ცი აღგა და გაღმოიყვანა. უთხრა მან კაცმან ყრმასა მას:
„იგი კაცი სასიკვდილოდ რას საქმეზედ გდევდაო?“ ცოლმან
ეგრე უთხრა, ეგ შეშინებული არისო და მე გიამბობო. იგი
ყრმა კარსა გამოისტუმრა და ქმარსა ასე უთხრა: „საავკაცოდ
მოქნდომებინაო!“ და მაგას არ ექნაო, და ამისთვის ჰკლავდაო“.
კელმწიფეო, ამ გვარი ტყუილით სამივ მოატყუვა და გაის-
ტუმრა. დიაცთა ურცხვინოება და უპირობა ეს არის. კელ-
მწიფე ვაზირისა სიტყვაზე დატკბა და დიდათაც მოიწონა, შვი-
ლი ალარ მოაკვლევინა, საპყრობილესა მიაბარა, მისანდონი
მცველნი დააყენა თავსა. ვეზირი მხიარულად კარზე გამოვი-
და და ესე ყველა ამბავი მას ეშმაკსა დიაცსა მოესმა, დაჭმუნ-
და და ვითა მკვდარი ეგრე შეიქნა, აღგა და კელმწიფესთან
წავიდა.

გარდ ო.

აქა დედაქაცისაგან მეორედ შისგლა კეღმწიფესთან მისი შვი-
ლის სიკვდილისათვის მეორე ღღესა.

ტივიდა მტირალი და საყელო გარდახეული წინაშე მეფი-
სა, პირი მიწასა დასდვა და ესრეთ მოახსენა: „ყოველთათვის
მოსამართლეო კელმწიფეო, რად ჩემზედა უსამართლოსა იქ?
ყოველი ქვეყანა ისე ზავთსა და ყაზაბს არ მოურჩენია, რომ
მართალსა სამართალსა დაუმორჩილებიაო, შენი მართლ-მსა-
ჯულობა დამბადებელისა მართლ-მსაჯულობასა მიემსგზავსე-
ბაო, გუშინ შენ ვაზირი მოსულაო, ტყუილი შეწმასნილი

ბადე მოუქმისოვიაო, თქვენი სამართლის სადგური გული გაუბრუნებიაო, შენი ვეზირები შენს საქმეს¹⁾ უკან არიანო და შენის შვილის საქმეს გამოჰკიდებიანო, შენის ბედნიერის დროშისაგან უსამართლოს ვერ იკადრებენო და თავის გასაძლომსა ქრთამსა ვერ მიინიჭებენო; ეს უნდათო, რომ შენი საქმე შენს შვილს გაათავებინონო და შენი საბატონო თავის ნებასა და კელში ჩაიგდონო, უსამართლოს ქონებითა აივსნენო და შენის შერცხვენილისა სახლისა შერცხვენამ²⁾ ჩაიაროსო, ანუ მომკალ და ანუ შენი სიკვდილი მოიკითხეო, ხვალ და ზეგ დიდნი კელმწიფენი ამას იტყვიანო, რომ შვილი ვერ გამოიმეტაო და სახლის შერცხვენა ჩაუყლაპავსო, უკუნისამდე ეს საყვედურად დაგრჩებაო, და შენი შვილიც შენ ცოცხალს არ გაგიშვებსო, და იმ ერთის მრეცხლის საქმე დაგემართებაო, მრეცხელი გზირსა ჰქვიანო, იმის არაკა მოგახსენებო, თუ კელმწიფე მიბძანებსო“. კელმწიფემ თქმა უბძანა და მან ესრეთ მოახსენა.

თიმსარი მეშვიდე.

კელმწიფესთან მრეცხლის ამბის მოხსენება დედაკაცისაგან.

¶ყო ქვეყანასა ერთსა ერთი მრეცხელიო და ერთი ბედოვლათი შვილი ჰყვანდაო, ასეთი ბედოვლათი იყო, რომ არასფერად არ გამოიყენებოდაო, და არცარას ბერს მამას გაუგონებდაო, იმას არსით კელს მოუმართავდაო, სრულიად ტალახში იწვის და გორევდისო, და ის კაცი თავისის მუშაკობით რჩებოდისო. დღესა ერთსა გზირი წყლის პირს ტანისამოს რეცხდაო, შვილმან ვირი ტალახსა და წყალში ჩააგ-

¹⁾ დედანში აქ მიმატებულია: არს(?)

²⁾ ვარიანტი უმატებს: განუკითხველად.

დოო, ვირი საფლობში ჩაეფლაო და ყმაწვილი წყალმან წაილოო, დაუძახა მამას, მიშველეო! მამას გული დაეწვა, შვილს მიეშველაო და კელი მოჰკიდაო; წყალმან გაზიდა და ბერი კაციც შიგ ჩავარდაო, იგი ყმაწვილი კაცი იყო, კელი და ფეხი იხმარა და მორჩაო, და მამა კი წყალს დაარჩობინაო. აწე კელმწიფეო, თუ ეს საქმე შენც მოგსლოდესო, მე თურმე ჭივა მქონია და დედაკაციც ვყოფილვარო, და თუ არა, და მაშინ შეიტყობო. ამაზე კელმწიფე შეწუხდა და ასე ბძანა: „ჩემს სიკვდილს და ჩემის სახლის შერცხვენას ჩემი შვილის სიკვდილი მირჩევნიაო“. და ბძანა, თავი მოჰკვეთეთო! აცნობეს მეორესა ვეზირსა, და ჯალადებს შეუთვალა, მაცალეთ შეცა, ნუ სჩეარობთ და სრულიად ინდოეთის ქვეყანას ნუ დააქცევთო, ჩემს საქმეს უყურეთ და მოიცავდეთო.

გარდ ၈.

შეორეს ვეზირისაგან გეღმწიფესთან მისგლა და გეღმწიფის
შვილის სიკვდილისაგან დახსნა იმ დღესა.

¶ ევიდა მეორე ვეზირი კელმწიფე დალოცა და ეგრე მოაშენა: „ცე, მაღალო კელმწიფეო და საშიშო მტერთა მძლეველო, მოწყალებისა და მოსამართლეობის თვალნი რად დაგიხუჭავსო, თუ მართალსა მოგახსენებთო, გვეშინიანო, და თუ დავიდუმებთ შენი ეგზომი პური და მარილი რომ გვიპამია, იგი თვალსა დაგვიყენებსო, რასა იქ და ან რას აპირებო! ჯერეთ რძის სული პირსა ამოსდისო, ამისთანა უსუარს ყმაწვილს რისთვის ჰკლავო ეშმაკისა და ჯადოს დიაცის სიტყვითაო, ანუ თემსა და ქვეყანასა რას ეტყვიო, ანუ ლვთისა არ გეშინიან და ანუ საუკუნოდ რად დაგივიწყებიაო? თუ შენ ეგ საქმე არ დაიშალე, კაკაბსავით არ დაგემართოსო, ეს თეთრი წვერი მომპარსე და ისე გამიშვიო“. კელმწიფემ მის არაკის თქმა უბრძანა და ვეზირმან მოახსენა.

თამსარი ტ.

გენერალისაგან პრაგეს მოხსენება პედმწიდუესიან.

ერთსა ადგილსა ერთი ჯუფთი დედალ-მამალი კაკბები იყვნენო და არა ოდეს მონადირისაგან მოსვენება არა ჰქონდათ. თქვეს მათ კაკაბთა დღესა ერთსა: „მუდამ რომ მონადირეთაგან მოსვენება არა გვაქსო, რომ წუთსაცა ერთსა ერთს ალაგსა ვერ განვისვენებთ ფრინველისაგანაო, მოდი, ასეთსა ალაგსა წავიდეთო, რომ ასეთსა შეჭირვებასა და შიშა დავეხწიოთო“. წავიდნენ და ერთსა კარგსა საკაკბოსა განსასვენებელსა მივიდნენ, კლდიანსა და წყლიანსა ადგილსა, ასეთი კარგი ალაგი იყო, რომ რაც ღმერთს კაკბისათვის საზრდო გაუჩენია, სულ იქ იშოებოდა. დაჰყვეს ხანი არა მცირენი და შეჭირვება არა ჰქონდათ რა და ალარც მონადირისაგან შეწუხდებოდნენ. მოვიდა წელიწადი ერთი და ასეთი თოვლი მოვიდა, რომ საჭმელი დაუთარათ და უარესსა მწუხარებაში ჩაცვიდნენ. თქვეს: „თუ აქედამ წავიდეთ, ვაი თუ ამისთანა ალაგს ვერ მივხვდეთო, თუ არა და მშეირთ როგორ გავსძლოთო“. მერე უთხრა მამალმან დედალს კაკაბსა: „მე წავალო და შენ აქ იყავო, ანუ ასეთსა ალაგსა ვიპოვნიო, რომ თოვლი არ იყოსო, და ან საზრდოს მოგიტანო“. წავიდა და დედალი კაკაბი იქ დააგდო. მამალმან დაიგვიანა, დედალს მოშივდა და ველარ გასძლო, მონახა დღესა ერთსა და ერთს ალაგს ერთი ბალახი იპოვა, დაუწყო მას ბალახსა ჭამა და ასე გახადა, რომ მუცელიც დააშვებინა და დაკვერცხილს დაემსგზავსა. მოვიდა მამალი კაკაბი და დედალი ასე მყოფი ნახა, ეწყინა და ასე უთხრა: „რატომ აგრე მუცელი დაგიშვიაო, რომელმან კაკაბმან დაგპელაო?“ დაუწყო ცემა და დედალი კაკაბი მოკლა. სხვათა კაკაბთა ნახეს მოვიდნენ და მას კაკაბს გმობა დაუწყეს, რატომ მოგიყლავსო. მან ყოველი თავისი გარდასავალი წარმოთქო. მათ უთხრეს: „აბა სხვა დედალი კაკბები ნახეო, რომელსაც

რომ ეგ ბალახი უჭამიაო, როგორ დაუსნეულებია და მუცელი დაუშვიათო". რა მან კაკაბმან შეიტყო, რომ უბრალოდ მოეკლა, დიღი ინალვლა, ტირილი და თავში ცემა გარდაიხდა, მაგრამ იმ დედალ კაკაბს რაღა ეშველებოდა. აწე ხვალ ძე შენი რომ გაიყვანო და კაკაბსავით მოჰკლა, მასუკან უსაზომოსა შეჭირვებასა ჩავარდე, რაღას უშველიო? ეს არაკი დანანებისა იყო და ერთს კიდევ მოგახსენებო.

თიმსარი თ.

ბო'ხის დიაცის საქმეები მოახსენა თიმსარი.

Qრთსა ქალაქსა შიგან ერთი კაცი იყო და ერთი ეშმაკი და ბოზი ცოლი ჰყვანდა, და ქმარმან კი არა იცოდა რა. დღესა ერთსა კაცი ავად გახდა, დედაკაცს უთხრა: „დედაკაცო, თეთრი წაიღეო, ბაზარში წადი, ბრინჯი და მისი მასალა მიყიდეო, მაგრამ პირს კი ნურავის უჩვენებო¹⁾), მალე მომიტანე, საფარეზო საჭმელი მინდა გავიკეთო და ვჭამოო“. დედაკაცმან ჩადრი წამოისხა და ბაზარში წავიდა, ერთს ბაყალთან მივიდა, პირი ჩამოიხსნა, ლიზლობით და ნაზობით ვაჭრობა დაუწყო, ბაყალი გუნებაზედ შედგა და ასე უთხრა: „თუ ერთსა შაქრის სიტკბოსა მაკოცნინებო, ბრინჯსაც მუქთათ მოგართმევო და შაქარსაც ზედ დაგიდებო“. მან ბაყალმა ბრინჯი და შაქარი მისცა, დიაცმან ბრინჯი, შაქარი და ფული ჩარჩამში გამოჰკრა და იქ დადო, ბაყალმან დიაცსა კელი მოჰკიდა და ერთს ხალვათსა სახლსა შეიყვანა, და თავიანთი ნება სრულ ყვეს. ქმარი ამას აბარებდა, პირს ნურავის აჩვენებო და მან უფრო დასამალავი ალაგი უჩვენა კაცთა. მანამ დიაცი გამოვიდოდა, ბაყალს ერთი ეშმაკი შაგირდი ჰყვანდა, იმან ის ბრინჯი, თეთრი და შაქარი გამოხსნა და მათ წილ მიწითა აავსო და იქავ დადო, დიაცი ჩქარა გამოვიდა, მას

¹⁾ დედანში სწერია: უჩვენეფო.

გამოკრულსა ჩარჩამს. კელი მოავლო და საჩქაროდ წავიდა. შინ მივიდა და ქმარს მიუტანა. ქმარმა უთხრა, აბა შედი შინ, ქვაბი, წყალი, მარილი და ქაფქირი მომიტანეო! დიაცი შინ შევიდა. მანამ მან გახსნა იგი ჩარჩამი და ნახა, მიწა ეყარა, დაუძახა: დედაკაცო, მიწა რათ გიყიღნიაო? ქვაბს და ქაფქირს რაღას აქნევო? დიაცმა წამსვე ეს ქართული მოასწრა, ქვაბი როდის მომაქვ(ს)ო, ცხრილს დაავლო კელი და გამოიტანა, განა არ ვიციო, რომ მიწა არისო. ქმარს ასე უთხრა: „რაც მე განსაცდელს მოვრჩიო, თუ ჩემი რამ შეგჭირდების, უნდა საღმთო გარდაიხადო და საგლახაო გასცეო, როს აქედამ წაველო და ბაზარს მივახლოვდიო, თურმე ნარ აქლემებს აჭიდავებდენ, ერთმა ნარმა აქლემმა გაჯავრებულმა აწყვიტაო, მომიხდა და მკლავზე პირი დამცაო, თეთრიც იქ დავაბნივეო და მეც ძლივ სიკვდილს მოვრჩივო, და სამადლოდ გამაგდებინესო, მე შენი დავედრული ბძანება ვერ გავტეხეო და პირის დანახვას ვერიდებოდიო, და თეთრის დაკარგვაც არ მინდოდაო, იმ ადგილის მიწა ავკრიფე და წამოვიდე, ამ ცხრილში გავავლებ, ეგების თეთრი ვიპოვნოო“. ქმარმან აგრე უთხრა: „რადგან შენ მაგისტანა ფათერაკს მორჩიმილხარ, თეთრს ნუ ნაღლობო, შენის ჭირის სანაცლო იყოსო“. აწე კელმწიფეო, დიაცის საქმე ეს არის, და ტყუილს მალე მოიგონებს. კელმწიფესა ვეზირის ნათქვამი, ჭკვა და სიბრძნე მოეწონა და თავისის შვილის სიკვდილი მას დღეს მას აპატივა. დიაცმან შეიტყო, რომ მეორე ვეზირი შესულაო და კელმწიფისა შვილი სიკვდილისაგან მას დღეს იმას მოურჩენიაო, იმავ წამს გახელებული აიჭრა და კელმწიფესთან შემოვიდა.

კარი ია.

დედაქაცისაგან მესამედ მისვლა.

კელმწიფესთან შევიდა გაგლეჯილი და თმა გაშლილი, და ტირილით ესრეთ მოახსენა: „კელმწიფეო, ორჯელვე შენი სა-

მართალი ჩემზედ დაიკარგაო, აღარც შენი სახლის შერტხვენა ინალვლეო და შენი სიკვდილიც შენს ვაზირებს დაანებეო, შენ მაგათის სიტყვით ბალეში გაებმიო, და ბარემ შენი ვეზირები შენ მოგკლავდნენ, შენს შვილს ტახტზე დასვამდნენ, და მე მათის ყაზაბით მომკლავდნენ, მანამ შენის ხელით მომკლაო და შენს სიკვდილს ნუ მიჩვენებო, და შენის ვეზირების საქმეზედ ერთსა თიმსარსა მოგახსენებო“.

თამსარი ი.

აქა გე'ცირებ'ცე დედაგაცმა, არავი მოახსენა.

 აურისა ქვეყანასა ერთი დიდი კელმწიფე იყო და ერთი შვილი ჰყვანდა. დღესა ერთსა მამასა თვისსა მოახსენა, ნადირობას წასვლა მინდაო. კელმწიფემან ნება დართო, ვეზირი გაატანა და ასე უბძანა: „წაიყვანე, კარგა შეაქციეო, ანადირე და ამას კი ეცადე, ფათერაკი არსად რა წაეკიდოს რაო“. და წავიდნენ სანადიროდ, ვეზირი ყმაწვილის სიფრთხილეს არ გამოეკიდა, სმასა და ლხინსა შეექცა, ყმაწვილმან მინდორთა შინა ნადირთა დევნა დაუწყო და ერთსა ოქრორქიანსა ჯერანს გარდაეკიდა, და დევნა დაუწყო, დიდხანსა სდივა და, რა თავისს ლაშქართა მოსწყდა, იგი ჯერანი ერთს ლამაზ ქალად გარდაიქცა, ვაჟმან რა ნახა ქალი იგი, დიდად მოეწონა და საარშიყოდ მოინდომა. ქალმან ეგრე უთხრა: „მინდორთა შიგან საავკაცოდ ვერ მიშოებო, ჩემთა სახლთა წამოდი და შენი გლოლისა ნება ჰქენო“. ყმაწვილი მას ქალს გაჰყვა და, რა სიახლოვესა მიეწურნენ, ქალი წინ წავიდა, შინ შევიდა და ყმაწვილი კარზე დადგა. მას სასახლეში თურმე ერთი ჯადოს მქნელი დევი იყო, იგი ქალი შევიდა და ასე უთხრა: „ამხანაგო, ერთი ასეთი საჭმელი მოგვარეო, რომ მის დღეში იმისთანა არა გინახავს რაო, და ერთი ლუკმა იმისი შეჭმა ცხონებას შეედარებისო, თეთრი, მსუქანი და ზარი-

ფი არისო, მას გაუკვირდა და ასე უთხრა: ადექ, შინ შემო-
იყვანეო! ვაუსა ესე ყოველივე ესმოდა კარზე მდგომა. ქალი
გამოვიდა და შინ შეიპატიუა. ყრმამან ეგრე უთხრა: ბასრის
რკინის არითო, მიჯნურს შეჭმა უნდაო? და ცხენი მოიბრუ-
ნა და ქარივითა იარა მსწრაფლად. ქალი წამსვე უკან გამო-
უდგა და შემოსძახა: რასათვის გამექეც, შენთვის მკვდარსაო?
ეს უთხრა და ცხენის გავას შემოუხტა. ვაუმან სირბილსა ძა-
ლი მისცა და ქალმან ცხენის სადავე შეუტაცა, ყრმამან შე-
იტყო, რომ ეშმაკთა ბადე იყო, კელმწიფე მამა მოაგონდა,
თვალთა ცრემლი მოედინა და დამბადებელისა ღვთისა სახე-
ლი ახსენა, იმისგან უფრო მწე ვერავინ ჰპოვა, სავედრებელი
და სალოცავი სიტყვანი წარმოოქვნა. რა ეშმაკმან მან ქალ-
მან ღვთისა სახელი მას ყრმისაგან გაიგონა, ათრთოლდა და
ცხენისაგან გარდამოვარდა, და ვაუი მორჩა და წავიდა მშვი-
დობით. მანამ ყმაწვილი მივიდოდა, სანამ ვეზირს თავისის შვი-
ლის დაკარგვა და სიკვდილი გაემულან ებინა, იყო საშინელი
გლოვნა და ვაება. ამა საქმესა ზედა კელმწიფის შვილი მო-
ვიდა, კელმწიფის შვილის მისვლა აკონობეს, გამოვარდა, მო-
ეხვია, თვალპირი გარდაუკოცნა და ჰქითხა: „შვილო, რა გარ-
გეკიდაო?“ შვილმან თავისი გარდასავალი ყველა მოახსენა და
ვეზირისაგან შესჩივლა, მე არც თვალით მინახავსო, არც მი-
ყურა და არცარა დამდივაო, სულ სოფელში იჯდა მოსვენე-
ბით, ლხინობდა და შეექცეოდაო. კელმწიფე ვეზირს გაუწყრა
და სულ ცოლშვილით და სახლკარით აიკლოო. აწე კელ-
მწიფეო, შენი ვეზირები იმ ვეზირსავით არას ინალვლიანო,
შენსა პურმარილსა სკამენ და შენ კი არას დაგდევენო“. კელ-
მწიფეს დიაცისა სიტყვამან კიდეც გულში მჭმუნვა შეაქნევი-
ნა და დაიჯერა და შვილის სიკვდილი ბძანა. მიესმა ესე ამ-
ბავი მესამეს ვეზირს, რომ კელმწიფის შვილი კიდევ სასიკვ-
დილოდ წაიყვანესო, მსწრაფლად წამოხტა და ჯალადებს კა-
მისცა, რას ირჯებითო, ინდოეთისა ქვეყანასა რატომ აქცევ-
თო და ან ჩვენ რატომ არ დაგვაცლითო!

კარა ას.

მესამე ვაჲიდასაგან პელმწაფესთან მასშდა.

ქესამე ვეზირი შევიდა წინაშე მეფისა თვისისა, დალოცა და ეგრეთ მოახსენა: „ამას წინათ ჩემმა უფროსმა ვეზირებმა ცოტა რამე სიტყვა გკადრესო და აწე მეტა ფარმანსა ვითხოვ, რათა მეტა მცირე სიტყვა მოგახსენო“. კელმწიფემან თქმა უბძანა და ვეზირმან ასე მოახსენა: „დღეს აქამდინ შენისთანა გამკითხველი კელმწიფე ტახტსა და გვირგვინსა არა უნახავსო, გაუსინჯავათ ქურდი და ავაზაკი არ მოგიკლავსო, და ახლა რა არის, ლმერთმან ერთი ნაყოფი მოგცაო და ყოველ დღე სასიკვდილოდ წააყვანინებ ხოლმეო, და თუ მიბრძანებ, ავის დიაცის ეშმაკობაზე ერთსა არაკა მოგახსენებო.

თამსარი აა.

პელმწაფემ თქმა უბძანა და გეზიარდან მოახსენა.

ერთსა ქალაქსა (შინა) ერთი კარგი და მართალი კაცი იყო, ყოვლის ფერად შემკობილი. დღესა ერთსა ერთს ქუჩაში ჩაიარა, ნახა, რომ ერთის მაღალის კოშკიდამ ერთი ლამაზი ქალი იყურებოდა. რა მან კაცმან შეხედა, მან ქალმან გაუცინა და მან კაცმან¹⁾ გული და გონება ფრცხლავ მას ქალსა შესწირა, და დაუტყვევდა, მრავალჯერ მას ადგილსა მიეიღა, საცა იგი პირმზე ენახა, მაგრამ მასუკან ველარ იხილა, ჩავარდა ამას საგონებელსა შინა და იკითხა, თუ იგი ქალი ვინ არიო და ან ვისი არისო? გამოიკითხა კარგად და და მისი სამყოფი ადგილი იპოვა, დასწერა წიგნი სამიჯნურო და გაუგზავნა და სახვეწარი სიტყვა მისწერა, რომელიცა გასაწყლებულს მიჯნურსა ფერობდა, და ეგეოდენი მისი ქება, რომელ სხვას არა-

¹⁾ დედანში სწერია: მას კაცსა.

ვის ასმოდა. მიუვიდა ქალსა მას, დიდად გაწყრა, არც ჩამო-
ართო და არცარათ მიიჩნივა და ასე შეუთვალა: „მე მაგის-
თანა დიაცი არა ვარო, რომ ამგვარი საქმე კაცმან მე მკად-
როსო, ამას ნუღარ გაახსენებს ჩემთანაო, თვარემ ასეთსა სა-
ქმესა ვიქო, რომ ყოველი კაცი გაჰყვირდესო“. მიუვიდა კაც-
სა მას თვისისა სულთა მდგმელისა უიმედო ამბავი, ესეოდენ
შეჭირვებით აივსო, რომ სული პირთამდინ აუვიდა და სისხ-
ლის ცრემლითა ატირდა, მოიღო მერე საწერელი, დასწერა
ყოველივე, რაცა აქვნდა, ანუ თუ პატიოსანი თვალი და მარ-
გალიტი, ანუ თუ ოქრო და ვერცხლი და ანუ ნაქსოვარი,
რაცა ებადებოდა, ნუსხა ჰქნა და გაუგზავნა, ეგების საქო-
ნელმა მოაღოროსო და გულისა ჩემისა ნება იქნასო, და ესე-
ცა მისწერა: „დამბადებელისა ღვთისა სახელსა ვფიცავ, თუ
შენგან შებრალება არ მეღირსაო,“ ჩემთა თავთა შენთა კალთა-
ში მოვიჰკლავო და ჩემსა ცოდვასა და ბრალსა ზედ შემოგა-
ყრიო, და საიქიოს დიდსა განკითხვაში ჩემის გულისათვის
დიდს სასჯელს მიიღებო“. რა მას ქალსა წიგნი მიუვიდა,
უმეტესად იწყინა და ასე თქვა: „ბაზარში მჯდომს ვაჭარს
ბოზად გაუხდივარო და ესე რატომ არ იცისო, ქვეყნისა სა-
ქონელი და საჭურჭლე ჩემ თვალში დანგის უმსუბუქესად ჩან-
სო, ჩემი მოწონებული თავი და ჩემი წმინდა ნამუსი რაზედ
უნდა გავსცვალოო“. და ასე შეუთვალა: „კაცო, შენ რას
ჩამომკიდებიხარო, მე არცა საქონელი მაკლიაო და ქმარიც
კარგი მყავსო და იმას დავჯერებულვარო, თუ ოქრო და ვერ-
ცხლი კარგი იყოსო, ჭავს ჯორსა და ცხენსა ნაჩი არ გაუ-
ყრიანო, ჩამომესხენ, თვარემ ჩემსა ქმარს ვეტყვიო და ორნი-
ვე საყელო გარდახეულნი კელმწიფესთან მივალთო, და ამ
ჩვენსა საქმესა მოვახსენებთო, და ამ მოედანსა ჩამოგარჩობი-
ნებო“. რა ესე მწარე შეთვლილობა მას კაცსა მიუვიდა, უი-
მედობისა კელნი გულზე დაიკრიფა და დაიდუმა, მიჯნურო-
ბისა ფერი დაედვა და ასე საწყლად გახდა, რომ მნახველთა-
თვინაც აღარ ინახოდა. დღესა ერთსა ერთი ბერი დიაცი შე-

მოეყარა და უთხრა: „შვილო, რა წაგკიდებიაო, მე კვლავაც მინახავხარ და ახლა ძლივ გიცანო, რა წაგკიდებიაო და ან რა სენი გჭირსო?“ კაცმან მან ეგრე უთხრა: „დედა ჩემო, ჩემი სენი ჩემს გულით მესისხლესაც აშოროსო, მე სხვა სენი არა მჭირს რა, შავთა წამწათვეგან გული დაჭრილი მაქვსო“. და ყველა თავისი გარდასავალი უამბო. დიაცმან ეგრე უთხრა: „თუ შენი მკვლელი მიჯნურობა კი იყოო, რატომ აქამდინ არ შემატყობინეო, მე ეგ სენი კარგა ვიციო და მაგისი კურნება ასე შემიძლიაო, რომ ქვეყანაზე ჩემისთანად ეგე საქმე არავის ძალუცსო, რა არის რომ ეგრეთ შენებრი ყრმა კაცი აგრე იყოსო, დამბადებელისა ღვთისა სახელსა ვფიცავო, მე. შენ არად გაგრჯი და არცა იმასთან მისვლას გეადრებო, ასე-თი საქმე უყო, თვითან სირბილით შენთან მოვიდესო“. რა ესე სიტყვა მან ყრმამან გაიგონა, ასე თქვა: „აბა მოულოდნელი ღვთის წყალობა ამასა ჰქვიანო“. და მას დიაცსა ასე უთხრა: „მკვდარსა გაცოცხლებას მიპირობო, რა უნდა გმსახურო მაგისი მუქაფაო? ბოლოდ თუ მე ეგე მიყო და იმ მნათობსა შემყაროო, ეგეოდენი მოგცეო, რომ შვილი შვილამდინ გეყოსო, და მართლად შენდა შვილად ვიქმნაო, და შენ ჩემი საყვარელი დედა გამყოფოო“. დიაცმან ეგრე უთხრა: „აბა ცოტა მაცალეო და ახლა გამომიჩნდებაო საქმიანობა და კელ-გამომავლობაო“. წავიდა დიაცი, თავი მოისაბრალოვა და აჯს ნამყოფს მლოცავს დაემგზავსა, მხარ-იღლივ მუსაფი და ავგაროზი დაიკიდა, თეთრი ნარმა და შალი ჩაიცეა, ზიარად ნამაზ კრიანოსალი დაიჭირა, მამაღის საფლავის მიწა და იქაური ევლოგიაები, რაც მაქას სალოცავები არის, ყველა წაიღო და მას ქალთან შევიდა, და სალამი მისცა. ქალმან შემოხედნა და შეატყო, რომ მაქას ნამყოფს გვანდა, ფეხზე წამოუდგა და მოიკითხა: დედაო ჩემოო, გეტყობის პატიოსანი ხარო და წმინდით ალაგით მოსული ბძანდებიო, აწე მიბძანე, ვინა ხარ, თქვენი უცხო და უცნობი ვარო. მან დიაცმან ეგრე უთხრა: „შვილო, შენ ვერ მიცნობ, თორემ აგ-

რე არა მკითხევდიო, მე შენთვის ორი წელიწადი ძუძუ მიწოვებიაო, მასუკან შენ სხვა ძირა მოგვარესო და მე მაქას წაველო, ეს თხუთმეტი წელიწადია იქა ვარო, და მე ასე მწაღდაო, რომ ჩემი დღე იქ დამელივაო, მაგრამ შენი სიცვარული ასეთი მომაგონდებოდა ხოლმეო, რომ გავგიუდებოდიო და აწე შენის ნახვის გულისათვის გამოვიჲერიო, და ნეტარძი ჩემთა თვალთა რომ აგრე ტურფა შექნილხარო, ორისა წლისა დაგაგდეო და ახლა ერთი უებრო მნათობი ხარო, ქრმისა და შვილის პატრონი და სახლისა და კარისა პატრონი ხარო“. მოეხვია, თვალი, პირი, ხელი და ფეხი გარდაუკოცნა, და მან ქალმან ესე ყველა დაიჯერა, და იწვია, დასო, სუფრა გაუშალა და მალაზირი მიართვა, შარბათები და შაქარი დაუდგა და უთხრა: „დედაო ჩემო, ჭამე რამე, ნამგზავრი ხარ და მოისვენეო“. ბებერმა ასე უთხრა: „შვილო, ოცდა ათი წელიწადია ესეები არც ერთი არ მიჰამიაო, მე ცოტა ძმარი და ქერის პური მომიტანე, იმის მეტს არასა ვჭამო“. გაუკვირდა მას ქალსა მის ღიაცის მოღვაწება და ღიღად უქო. პური რომ ჭამა, ბებერმა უთხრა: „შვილო, შენი სახლის სიახლოვეს ერთი ქოხი გამიკეთებინეო, რომ იქ დავდგეო და ჩემთვინ ვილოცვიდეო“. ქალმან გაუკეთებინა და დააყენა, და პატივი უსაზომო მიაპყრა, ქმარსა თვისსაც უამბო ყველა ესე ამბავი და მანცა პატივსცა. მას ბებერსა ერთი პატარა გოშია ჰყვანდა, არასფერს არას აჭმევდა, ქერის პურში მიხაკი და დარიჩი გამოუცხვის და იმას აჭმევდა, გოშია არა სჭამდა, მაგრამ შიმშილი ძალას უზამდა და სჭამდა, მეტი ღონე არა ჰქონდა, როდესაც აჭამის, ასეთსა ცრემლის დენასა მოჰყვის, ეკუკის და ცრემლის ღვარში შეცურდის. დღესა ერთსა მან ქალმან ჰკითხა: „დედაო ჩემო, ეს შენი გოშია რასათვის მუდამ ასე მწარეთ ტირისო?“ ბებერმან უთხრა: „შვილო, ღვთის საჭმე აგრე აღვილად სათქმელი არ არისო და ვერც გეტყვიო, ნუ მკითხავო“. ქალმან რა ესე გაიგონა, უფრო შესატყობრად მოუნდა. ბებერსა რა ქალთან წასვლა მოუნდის, გოშიას

უფრო ცხარ-ცხარი გამოუცხვის და ასე რიგად აჭმევდა, რომ
ცრემლად დაიღვარის. რა მას ქალთან გოშიას ნამტირალევს
ნახევდა, ჯოხი ჰკრის და გამოაგდის, და ასე უთხრის: „შენი
თვალის დადგომას, რაზე გაიჭირე საქმე, თუ ეგ არ გინდო-
დაო?“ რა ქალმან ესეც გაიგონა, უფრო ეცადა იმ ამბის შე-
ტყობასა და ქალმან ასე უთხრა: „დედაო ჩემო, თუ ან ჩემი
თავი გინდა და ან ჩემი სახლიო, ეგ ამბავი ბიამბე, ეგ შენი
გოშია რისთვის ტირისო?“ ბებერმან ასე უთხრა: „შვილო,
რათ მკითხავ, სათქმელი არ არისო“. ქალმან აჯა არ გამო-
ართო, ბებერმა უთხრა: „რადგან არ დაიშალეო, ახლა გიაშ-
ბობო: ეს ჩემი გოშია ერთის დიდი კაცის ქალი იყო და ერ-
თი კარგი კაცი გაუარშიყდაო, მას კაცს საიდლამაც დაენახა
და ამას არა ენალვლარაო, არც მიჯნურობა ჩამოერთმევინა
და არც არა პასუხი მიეცაო, და იგი კაცი ამისითა სიყვარუ-
ლითა და მიჯნურობითა მოკვდაო, და ღმერთმან მისი ეგრე
უსამართლობა და უბრალოდ სიკვდილი ჰკითხაო, და აწე ხომ
ხედავ, მისთანა უებრო ქალი ეხლა გოშიად გარდაქცეული
არისო, და აწ რამდენჯერ შენ დაგინახავს და ან სხვათა ტურ-
ფათა ქალთა, თავისი თავი მოაგონდების და ატირდებისო“.
ქალმან რა გაიგონა, მწვეთ ეწყინა და თითზედ იკბინა, და
მას დიაცსა ასე უთხრა: „დედა ჩემო, მეცა ერთი კარგი კაცი
გამიაშიყდაო, კოშკით ნაყურები დამინახაო და მწვედ მომინ-
დომაო, საკვირველი ჭირი და მიჯნურობა გარდაიხადაო, მე
არცა მივყევ და არცა ვინდომეო, და აწ ფათერაკად ჩემმა ნა-
ლველმა ის კაცი მოკლასო, მეც ისე დამემართებაო“. ბებერ-
მა ასე უთხრა: „თუ იგი კაცი მართლად შენისა მიზეზითა
მოკვდება, უსაცილოდ აგრე დაგემართებისო“. რა ასე მას ქალ-
სა ესმა, მწვედ შეშინდა და ასე უთხრა: „აბა ერთი თავი და-
იმდაბლე და მას კაცსა შემყარეო, ფათერაკად არ მოკლას
ჩემმა სიყვარულმაო, და მეც გოშიად არ გარდავიქცეო, ყო-
ველი ავი ზე სჯობს ძალლობასაო“. ბებერმა ნაზი ქნა და
ასე უთხრა: „შვილო, რა ჩემი საქმე არი მაგისთანა საქმეო,

და არც ვიცი იგი კაცი ვინ არისოდა ან სამყოფი ალაგი სა-
და აქვსო, ესე არ ვიციო“. მან ქალმა ვეღრებით უთხრა: „ოღონდ შენ წამომყე და მე ვიცი მისი სამყოფი ალაგიო“. წაიყვანა მან ეშმაკმან დიაცმან ესე ქალი. რა ახლოს მიერდა
მის სასახლეზედ, წინა-წინ მივიდა მას კაცთან და უთხრა: „აწე კარსა მოგვარეო და ოღვასრულე შენი ნებაო“. შეუ-
ძლვა ბებერი შინა და თვით კარსა გამოეცალა, და მან კაც-
მან ყოველივე თავისი ნება სრულჰყო; მას ბებერს მრავალი
სამაჭანკლო მისცა კაცმან მან, რომ თავის დღეში ეყო, და
ის კაცი მორჩი იმ შეჭირვებასა. კელმწიფეო, ავის დიაცის
ეშმაკობა და ტყუილის მოგონება ეს არი, მომიხსენებია და-
ერთს კიდევ მოგახსენებო ავის დიაცის არა წმინდებაზედ.
კელმწიფემ თქმა უბძანა და ვეზირმან მოახსენა თიმსარი.

თიმსარი იბ.

დედაკაცის არა წმინდებაზედ მოახსენა კიდევ.

Qრთსა ქალაქსა შიგან ერთი მლოცავი შიხი აყო, რომ
ყოველი მლოცაობა და ამ სოფლისა საქმე მისგან მოგონილი
იყო. წლითი წლამდინ დღისით არასა სჭამდა და ლამე ქერის
პურსა სჭამდა, და მით იზრდებოდა, და ერთი სამოთხისა ქა-
ლი მსახურად, მუსაიბად და სახლის მცველად მისცემოდა.
დღესა ერთსა მოვიდა იგი ანგელოზი ქალი და ასე უთხრა:
„მე მინდა სხვაგან წავიდეო, ღვთისგან ბრძანება მაქვსო, მო-
დი და გამოგეხსალმებიო“. დაჭმუნდა იგი შიხი და ასე უთხ-
რა: „აწე მე რალა მეშვეოლებისო, ან ჩემი მცველი და მფარ-
ველი ვინდა იქნებისო, და ან მე რალა ვიქმნებიო, ამდენის
ჩემის მოღვაწებისა საპასუხოდ ღმერთმან შენი თავი მიბოძაო
და ახლა, შენ რომ წახვალ, ჩემი ცხოვრება რალა იქნებისო?“
მან ანგელოზმა ქალმა ასე უთხრა: „ნუ გეშინიან და ნურც
შესწუხდებიო, მე სამსა ლოცვასა გასწავლიო და თითოს იმას

ილოცვიდეო და ღმერთს ასეთსა არას სთხოვ, იმ სამის ლოცვით სამჯერვე არ მოგცესო, ამ ერთსა წელიწადსა ეგ გეყოფისო და წელიწადს უკან მეც მოვალო“. ასწავლა ლოცვა იგი და თვით წავიდა იგი ანგელოზი და შიხი შინ შევიდა ნამტირალევი და მოწყენილი. ცოლმან შემოხედა და ასე უთხრა: „რა წაგიდებიაო, რომ აგრე ჯავრიანი და თვალურემლიანი შემოხველო?“ შიხმა ესრეთ უთხრა: „ის ჩემი მცველი ქალი ანგელოზი გამეყარაო და მისთვის ვარ ასეო, და სამი ლოცვა მასწავლაო, და ასე მითხრა, ამ ერთსა წელიწადსა ესე გეყოფაო, და წელიწადს უკან მეც მოვალო, და ამ სამის ლოცვით ღმერთს ასეთსა არასა სთხოვ, რომ არ მოგცესო“. ცოლსა გაეხარა და ასე უთხრა: „დიახ კარგი სასწავლებელი უსწავლებიაო, და აწე ერთი ლოცვა ამაზედ დავხარჯოთო, ჩვენ რჯულიანი ვართო, განა საბოზ-კურონი ვართო? ავრე დაბერდიო და ეგ დაფარული ასო აგრე დაგისუსტდა და წაგიხდაო, აწე ერთი ილოცვე, რომ გავიმაგროს და ბევრის ქნის ძალი მოგცესო, და ორი ლოცვა ისევ შეინახეო, და მით სხვა სათხოვარი ვითხოვოთო“. შიხმა ასე უთხრა: „ეგ რა სათხოვარი არისო, და ღმერთს ეგ როგორ ვსთხოოთო“. დიაცი არ მოეშო, აცდინა იგი შიხი და ილოცა .ერთი მისთვინ და ასე კი არა თქო, თუ ეს გამიკეთდესო, და სთხოვა სხვა, რათა სხვა უმჯობესი მომეცეს ამაზედაო. რა ლოცვა სრულ ჰყო, შიხმან ნახა, რომ ის ასო ყოველს ასოზე გამოესხა: თავზედ, პირზედ, ცხვირზედ, მკლავებზე, მკრებზე, ზურგზე, ბეჭებზედ, თეძოებზედ, ბარკლებზედ და, ან რაც ყოველი ასო ჰქონდა პირისა თუ ტანისა, ყველაზე უშველებელი და დიდრონი დაეკიდა, ასეთი რომ კაცისაგან საზარო სანახავი იყო. რა შიხმან ასე თავისი თავი ნახა, თავსა ცეცხლი მოედვა და შექნა ტირილი და ჩივილი და ასე უთხრა ცოლსა: „ეს რა მიყაო და ან რა მაქნევინეო? ეს ლოცვა რომ სხვისათვინ მელოცვაო, ხომ ღმერთი ასე მრავლად მომცემდაო და გავკეთ-

დებოდითო, აბა რა ვქნა, ასე ამ გვარად მოკიცხული ვის ვეჩვენოო? აწე შენც მოგვლავ და ჩემს თავსაც მოვკლაო“. ცოლმან ეგრე უთხრა: „მაგაზე რას შესწუხებულხარო, ორი ლოცვა ხომ კიდევაც გაქსო, ერთი კიდევ ილოცეო, რომ ეზ კი გაგცივდესო და შენი პირველი ასო ისევ მოგეცესო“. ილოცა მეორეცა და ეს კი ვერ დაატანა, რომ ისევ თავისი პირველი ასო დარჩომოდა და სირცხვილით შეწუხებულმან ყველას განქარვება ილოცა, და ის თავისი პირველი ასოც გაუქრა. რა დიაცმან ესე შეიტყო, რომ თავისიც გაქრობიაო, თავსა ცეცხლი მოიდვა და ქმარსა ასე უთხრა: „მე იმასაც ვწუნობდიო, რომელიც გქონდაო, და ახლა ისიც გაქრობიაო, აწვე ილოცეო, რომ ეგ შენი ასო მოგეცესო, თორემ მე და შენი ცოლქრმობა აღარ იქნებაო, და აწვე თავსა მოვიკლაო“. შიხმან ასე უთხრა: „დიაცო, ეს რა მიყაო? ჩემა მცველმან ანგელოზმა სამი ლოცვა მასწავლაო ჩემად მცველად და შემნახავადო და სამივ ლოცვა ვაგლახზე და ეშმაკურს საქმეზე დამახარჯვინეო, აწ რაღა ვქნა, რომ დამეჭიროს რაზედმე, მაშინ რაღა ვქნაო, რაღათ მინდაო, ერთი ბერი კაცი მლოცავი ვარო, ეს ერთი *ლოცვა შევინახოთო, რომ დაგვეჭიროს, იშით დავრჩეთო“. დიაცმა ეგრე უთხრა: „მაშ მე შენი ცოლი რაღათ ვიქნებიო და ან შენსა სახლსა რაღათ დავდგებიო, თუ აწვე ჩემსა ასოსა არ გამოიბამო, ახლავ წავალ ჩემს სამშობლოში და სხვას ქმარს შევირთაო“. შიხი შეშინდა და ასე თქვა: „ეს დედაკაცი რომ წავიდესო, მე რაღა დამარჩენსო, ერთი ბერი კაცი ვარო“. ილოცა მესამეცა და ისევ თავისი პირველი ასო გამოება. აწ კელმწიფეო, ავის და არა წმინდა დიაცის სიცრუე ტყუილი და უნამუსოება ამისთანა არისო! აწ როგორ გეკაღრება იმისის ენით ერთი რამ ცუდი საქმე ქნაო, არამც თუ მაგისთანა საკელმწიფო შვილი მოჰკლაო და აწ ნება გაქსო. კელმწიფემ შვილის სიკვდილი მას აპატივა მას დღესა და მის რჩევა დიდად მოეწონა.

გარდ იგ.

დედაქაცისაგან მეოთხედ ძისგლა, შეიღის საჩივარი და
დაბეჭდება.

ო შეიტყო იმ დედაკაცმან, რომ მესამე ვეზირი მისუ-
ლია და იმ დღეს კელმწიფის შვილი მას უბატივებიაო, სამ-
კაული შემოიხსნა და მაქას წამსვლელს მოჰკავს დაემზგავსა,
და შევიდა კელმწიფის წინაშე მტირალი და პირ სისხლიანი,
ტახტისა ფერხთა მოეხვია და ესრეთ მოახსენა: „კელმწიფეო,
ჩემი ბრჭობა და სამართალი განკითხვის დღეზედ მივარდა,
როდესაც ღმერთი სამართალში დაჯდების, მაშინ დიდი და
მცირე გასწორდების, მე კალთასა მოგეკიდები, წაგზიდავ მის
წინაშე და სამართალს იქ დავიმართებო, მე ახლა მაქას წა-
ვალ, სახლსა ღმრთისასა ვმსახურებ, მანამ ცოცხალი ვარო,
მაგრამ შენის ვეზირებისა და შენს საქმეზედ და ამდენს სას-
ჯელზედ ერთსა არაკა მოგახსენებო“. კელმწიფემ თქმა უბ-
ძანა.

თაშვარი იგ.

დედაქაცისაგან არავის მოხსენება.

ქაიმუნის ალაგს და ყრილობაში ერთი უფროსი და სუ-
ლის კერძი მაიმუნი იყო. წავიდა, უფროსობა და ეს სოფელი
გაუშო, ცოლშვილი, სახლი, კარი და მამული ყველა გააგდო
და ერთს ზღვის პირსა ერთი ნაოხარი ალაგი იპოვა, რაც
ღმერთსა ქვეყანაზე ხილი დაებადებინა, სულ იქ იშოებოდა,
და იქ დადგა. ზაფხულის ახალი ხილით იზრდებოდა და ზამ-
თარ ამდონს შეიტანდა, რომ ახლამდინ გაჰყოლოდა, და ასე
რჩებოდა. დღესა ერთსა ერთი ღორი მონაღირეთაგან გარდ-
მოხვეწილი ზღვაში შევარდა და უკან ძალლები მისტევდნენ,
ზღვაში ძალლები აღარ შეეყვნენ, ღორს ცურვა მოეწყინა,

გამოვიდა და მაიმუნის სამყრელს ალაგს გამოვიდა, თავად მორჩენა უხაროდა და მერე ის ალაგი მოეწონა ჩალიანი, ტყიანი. და ბევრი კილიანი, მიიხედ მოიხედა და ვერა ნახა რა, მაღლა. აიხედა და ნახა ერთს კეზედ ერთი მაიმუნი იჯდა. ღორმა ჰკითხა: „შენ ვინა ხარო, ან ეს ალაგი შენია თუ არაო“! მაიმუნმა უთხრა: „მე ერთი ღვთისაგან დაყენებული ვარო და ეს. ალაგი ღმერთს ჩემთვინ მოუციაო, და ბძანებითა ღვთისათა ანგელოზი მომიძლვა და მან მომცაო, აწ შენ რათ მოსულხარო და ან აქ რა გინდაო?“ ღორმა ეგრე უთხრა: „ მე მონადირეთა გარდმოვეხვეწეო და ახლა შენი სტუმარი ვარო, და რა რიგათაც გეფერებოდეს, ისე დამხვდი და მიმასპინძლეო“. მაიმუნმა მალლიდამ ხილს ჰკრა დაუწყო, რაც შეეძლებოდა, და ღორი ფიცხლავ შესჭამდის და რა გააძლებდა, ისე მალე, და კიდევ მალ მალ სთხოვდის ღორი ქვეშედამ. მაიმუნმა რა ნახა, დალონდა და ასე თქვა: „ეს ჩემი სარჩო ხილი სულ შენ მოგინდაო, აწ მე რიღათი უნდა დავრჩეო, პატარა გამოზოგვით ჭამეო, რომ მეც დამრჩეს რამეო“. ღორმა ეგრე უთხრა: „ მე ეგ შენი ნაბოძები ულუფა და ჯამაგირი არ მეყოფაო“. ადგა და თვით ხეზე გავიდა და დაუწყო ჭამა, მაიმუნს ძალიან პანლურები ჰკრა და ზღვაში გარდააგდო, და თვით დაიმკვიდრა ის ალაგი. აწ კელმწიფეო, შენს საჭმეს შენი ვეზირები მაიმუნსავით აპირებენო და უნდათ შენი შვილი აბატონონო, და ქვეყანა ესე თავის ნებაზე მოიხმარონო, და შენ კი მოგკლანო“. კელმწიფეს კიდევ გუნებაში ენიშნა იმდიაცის ქართული და შვილის სიკვდილი ბძანა.

ქართი იდ.

მეოთხე გეზირისაგან პელმწიფესთან მისგლა და პელმწიფეს შვილის მორჩენა.

ზოგადად მეოთხესა ვეზირსა ესე ამბავი მიუვიდა, გამოიჭრა ვითა შემცდარი და ჯავრით გალომებული, მივიდა კელმწიფეს-

თანა, არღა მონურად მოეპყრა, არამედ შუღლით ეუბნა და ესრეთ მოახსენა: „კელმწიფეო, რა არის და ან რა მოხდა ასეთი, რომ ერთი უსუარის ყმაწვილის სასიკვდილოდ სიტყვა გაგიხშირებიაო და ერთი უგვაროს ჯადოს დიაცის სიტყვით ჰკლაო, თუ შენ ერთის კაცის და მისის კატის საქმე არ დაგემართოს, მე თურმე ბრძენი არა ვყოფილვარო“. და კელმწიფემ თქმა უბდანა.

თამსარი იდ.

მეოთხე გეზარისაგან არავის მოხსენება.

ტრთი კარგი დოვლათიანი კაცი იყო იყო და ერთი სწორ უპოვარი და ღვთის მოყვარე ცოლი ჰყვანდა, დაორსულდა იგი ტურფა ქალი და ვაჟი ეყოლა მისი საკადრისი, და მის მშობიარობაზედ მოკვდა იგი ქალი. რა კაცმან ცოლი მკვდარი ნახა, ცა და ქვეყანა თავსა დაეჭცა, და ეგზომი ავი უყო თავსა თვისისა, რომ სხვასა არავის ექნა; დაუწყო მას ყმაწვილს ზრდა და ამ სოფლისა არა ინალვლა რა; ნამეტნავისა სიყვარულითა ძიდა არ მოგვარა და თავისის კელით რძესა აჭმევდა, აკვანსაც თითონ არწებდა და მისი სიცოცხლე სულ იგი ყმაწვილი იყო. ერთსა უამსა კარში გავიდა და ყმაწვილი რძით მაძლარი დააგდო მან კაცმან. იგი უამი ზაფხული იყო და მიწიდამ გველი ამოძვრა, აკვანს მაატანა და ყმაწვილს შეჭმას უპირებდა. მას კაცსა ერთი ხატაური კატა ჰყვანდა, რა გველი დაინახა, შეეფრინდა და გველი შუა გაწყვიტა, ყმაწვილს მიეშველა და სიკვდილს მოარჩინა, ამაზედ კაციც მოვიდა და იგი კატა წინ მიეგება პირ სისხლიანი თავისისა პატრონსა და სამსახურზე და ვალდებულებაზე თავი მოსწონდა. კაცი შინ შევიდა, ყმაწვილის კმა არ ესმა და კატა პირ სისხლიანი დახვდა. ასე ეგონა, ამ კატას მოუკლავსო, და მისთვის გაშფოთებულმან კატას წიხლი დაპსურა და მოჰკლა. მივიდა ყმაწვილის სიახლოვეს, გველი გაწყვეტილი ეგდო და ყმაწვილსა არა

სკირდა რა. შეიტყო, რომ ყმაწვილი იმას მოერჩინა და გველის სისხლი ეცხო. შემოიკრა თავსა და დაიწყო ტირილი, მაგრამ კატას რა ეშველებოდა. კელმწიფეო, ისე შენ დაგვართების, როგა მაგ შეიღს მოპელაო დიაცის ენითა, და სინანული აღარას გარგებსო. დიაცის ავს ეშმაკობას და ავს საქმეს ერთსაც მოგახსენებო.

თავსაც აე.

კაცები მოახესენა დააწიას არაწმანდებაზე.

ერთი დიდი მორკმული კელმწიფე იყო და ერთი მოსწრებული სასახელო შეიღლი ჰყვანდა, კარგი და კელმწიფეთა შესაფერი, და ერთი დიდი კელმწიფის ქალი უიხოვა (და) დაუნიშნა. კელმწიფის სასახლის სიახლოესა ერთი კარგი მარმარილოს აბანო იყო, რომ მის უკეთესი არ იქნებოდა, კელმწიფე და მისი შეიღლი ებანებოდნენ; და ერთი მეაბანოვე იყო და მის ახლო ქახლი, და დალაქობაც კარგად იცოდა. დღესა ერთსა კელმწიფის შეიღლი აბანოში შევიდა, მეაბანოვე იახლა, აბანა და ქისა წაუსო; ფათერაკად კელმწიფის შეიღლს ფუტა მოეხსნა, და მეაბანოვემ ნახა კელმწიფის შეიღლის სასირცხო, ასო სულ აღარსად ეტყობოდა, სიმსუქნით იყო თუ აგებულებით, გარეთ სულ არ უჩნდა, რა მეაბანოვემ ნახა, მწვეთ ეწყინა და ტირიღი იწყო. კელმწიფის შეიღლმან ჰყითხა, რა გატირებს, რა დაგვართაო? მეაბანოვემ მოახსენა: „ნეტამც მომკვდარვიყაო და მე ეს არ მენახაო, შენ მაგისთანა კაცი ხარო, დღეს საკელმწიფო შენს ნაყოფს მოელისო, კელმწიფე მამა შენი ქორწილს გიპირებსო, ერთი დიდი კელმწიფის შეიღლი მოპყავს შენთვინაო, და აწ შენ არა კაცობა გეტყობისო, რას იტყვი, როდესაც ამომავალს მზეს ჩამოგიწვენენო, შენ ერთი ბეწვის ასოს მეტი არა გეტყობისო, ბრალი არ არის რომ შენ აწლა შეგრცხვესო, და შენი ნაყოფი არა გამოვიდეს რაო, რატომ ახლავ არას შეიტყობო და შენს თავსა არასა სცდიო?“ კელ-

მწიფის შეიღმან ასე უთხრა: „რავქნა, დედისა და მამი ჩემი-
სათვინ სირცხვილით ვერა მითქვამს რაო, აწ რადგან შემატ-
ყე და ერთგულობის საქმით მეუბნებიო, აბა ასს ფლურსა
მოგცემ, წაიღე და ერთი კარგი ქალი მომგვარეო, და ამავ
აბანოში შევიტყო, თუ ჩემს თავს რა არისო“. მეაბანოვებ
ფლურები გამოართო და მწრაფლად წავიდა, ის ფლურები
მოუნდა და სხვაგან გასაცემათ ვერ გამოიმეტა, გულში თქვა,
ამ ფლურებს მე დავიჭირ და ჩემს ცოლს მივგვრიო, ის ხომ
ვერას უზამსო და ეს მუქთათ დამრჩებაო. მივიდა შინ, ცოლს
უთხრა: „ადევ, აელმწიფის შეიღთან წაგიყვან საცდელათაო,
მე რომ იმისი იარაღი ვნახეო, სულ ვერას გიზამსო და ეს ასი
ფლური ჩვენ მოვისმართო“. დიაუმან ასე თქვა: „რა მენა-
ლულებაო, თვითან ქმარს მივყევარო, და რომელიც უნდა, ისი
ქნასო“. ქალი კარგა მოეკაზმა და წავიდა, მიიყვანა მეაბანო-
ებ, შეგვარა და თვით კარზე გამოეცალა. ქალი კარგა ნაზო-
ბით და უსულით მოიქა. რა კელმწიფის შეიღმან ნახა, მწვედ
მოეწონა და მოუნდა. თურმე არა სპირდარა მას ყმაწვილსა
მის მეტი, (რომ) ის დაფარული ასო შიგნით ჰქონდა და, რო-
ცა გულის თქმა მოუვიდის, მაშინ ჩამოუშეის. იგი ყმაწვილი
მოეხეია, აკოცა და კარგად დაუწვა. მეაბანოვე გარედამ უკუ-
რეტდა და თავში იცემდა, ეს რა ვქენიო? რა ალერსი გაათა-
ვეს, მეაბანოვებ ქალს ძახილი დაუწყო, გამოდიო. დიაუმან
დაიგვიანა, მეაბანოვე აჩქარდა, ძახილს ძალი მისცა გულ დამ-
წვარმან, ადევ, გამოდიო! დედაქაცი კელმწიფის შეიღს მო-
ეხეია და აღარ გაეყარა, ქმარს ასე დაუძახა: „რა გაჩქარებ-
სო, ევ ფლურები ხომ მანდა გაქვსო, რისთვის მომიყვანეო,
თუ აგრე წალე წამიყვანდიო, ეგების კელმწიფის შეიღს ჩემ-
თან კიდევ უნდოდეს ალერსიო“. მეაბანოვეს ცეცხლი მოედვა
და ასე თქვა: „ეს რა ვქენო! და ან ჩემს თავს რა უყაო!
არც ცოლთანა მაქვს სიტყვაო და კელმწიფის შეიღსა ჩემგან
რა ეკადრებისო, მე რა მენალულებოდა, კელმწიფის შეიღს
თუნდა დიდი ჰქონდა და თუნდა პატარაო“. ესე თქვა, სა-

ბელი გარდაიცვა და თავი დაირჩო. კელმწიფეო, თუმცა მან კაცმან დააშავა, ქმარი ხომ იმ დრაცმა მოკლა, მან კაცმან ამის იშედით მიგვარა, კაცობა არა აქვსო, დედაკაცმა ესე ქნა ურიგო, რომ აღარ გამოეცალა, ქმარი მოკლა და თვით გაავ-დედაკაცდა ერთი წაში სიაშონისათვის, ამგვარი დიაცი ამის-თანა ნამუსისა არის, და ერთსა არაესა კიდევ მოგახსენებ ავის დიაცის ეშმაკობაზე და ტყუილის მოგონებაზედ.

თამსარი აფ.

გადმი მოახსენა დაძრის, ცეულის, მოგონებაზედ.

ერთსა ქალაქსა შინა ერთი დიდი ვაჭარი იყო და ცოლი ერთობ ტურფა ჰყვანდა, თვითან კარგი და ვარგისი კაცი იყო და საქონელიც მრავალი ჰქონდა. წავიდა იგი კაცი სავაჭროდ და ცოლსა სახელი უთხრა მის ქვეყნისა, იქ მივალ და სამი თვე დამიგვიანდებისო, ამ სამ თვეს იქ მინდა ვივაჭროო. წა-ვიდა იგი კაცი და მივიდა მას ქალაქში, გაერთო სავაჭროსა და სარგებელი ბევრი მოიგო. დიახ ბოზი კაცი იყო და საცა მივიდის, საქონლის ძალით, რომელიც თვალად ტურფა ქალი იყო, მიიყვანის და მასთან ლხინობდის. ამასობაში გარდახდა ხუთი ექვსი თვე, რომ შინ აღარ მოვიდა. ცოლმან იცოდა მის კაცის გული და ზნეობა, გაგულისდა და ასე თქვა: „რი-სათვის ვზივარ მე ასე მარტო საბრალოდ გაუხარელი, ჩემი ქმარი ხომ იმ საქმეში არისო და ათასი უფრო ჩემს ალაგს შეუყვარებიაო, ამ ჩემსა კარგსა დედაკაცობას ვინ მაღრიე-ლიაო, ამ ჩემის ფარშამანგის შზგავსსა სიყმესა ცუდად რის-თვის დავაბერებო; არღვენისა შზგავსსა ლაწვსა, მანამ ქარავად გამიხდებოდესო, მანამ ამოთა კოცნითა რაღ არა გავახარებო, ლალის შგზავსსა ბაგესა და მარგალიტსა კბილსა რაღ მოვ-შლიო, თეთრის ბროლის კუტალსა და სტანბოსა ძუძუებსა

რად არ მოვაწევო და აწ კელუყრელად რად დავალეშებო, უებროსა მნათობსა ვარდის ფერსა ბროლ ნარევსა პირსა რად არ ავაყვავებო? რადგან ჩემს ქმარს ათასი ჩემს ალაგსა ჰყავსო, შეც რატომ ჩემს შესაფერს მოყვარეს არ მოვძებნიო; სანამ ესე უწყალო და უხანო სოფელი სიკვდილს ჸწარესა ჩემის ღვიძლისაგან სავსესა სისხლის თასსა შემასმევდესო, მანამ მე რატომ ტკბილსა შაქარსა არა ვსვამო?“ ესე თქვა და საავკაცოდ გაემართა. მისი მტერი ეშმაკიც ამავ საქმეს უდასტურებდა. მოჰყვა და დაიწყო ავ-ქცევა. წლამდინ ქვარიც ამ საქმეში იყო და ცოლიც უარეს შვრებოდა. ამასობაში კაცი იგი მოუინიანდა და გაძლა ავ-კაცობით, ვაჭრობაც გაათავა და შინ წამოვიდა; მოვიდა და მის ქალაქის სიახლოვეს ერთი ქარვასლა იყო, იმაში ჩამოხდა და იმ ღამეს თავის ამხანაგებთან ეწადა ლხინი და შინ ალარ შევიდა. სალამოსა დროს მოუვიდა მისივე ჩვეულება, აივსო ორივ მუქა თეთრითა და ერთსა ასასსა შისცა და უთხრა: „აბა, შედი ქალაქად და ერთი კარგი ქალი მომგვარეო!“ ასასსი წაევიდა და ბაზარში სიარული დაიწყო; ნახა, რომ იმავ ვაჭრის ცოლი აბანოში ყოფილა, ათას ფერად მოკაზმულა და შინითკენ მივა; ასასმა ნახა და მოიწონა, უცხო ფერად ბედაური ქცევა და მორთულობა შეატყო და გულში ასე თქვა: „თუ ამ დიაცს მოვატუებ და მას კაცს მივგვრიო, უთუოდ სამსახურში ჩამიგდებს და პირთამდინ ამავსებსო“. აჰყვა მას დიაცსა და დაუწყო მუსაიბობა, სამაჭანკლო სიტყვები, და ასე უთხრა: „ბრალი არ არის, შენ ამას ღამე შენი შესაფერი მიჯნური არ შეგეყაროსო და უჯუფთოთ დასწვეო!“ მიიტანა ის ორი მუქა თეთრი და ჩადრში ჩაუყარა და ასე უთხრა: „ერთი დიდი ვაჭარი მოვიდა უცხო ვინზე, ამაღამ არითისათვის გამომგზავნაო, ღმერთმან უწყის იმის უფრო შშვენიერი კაცისა თვალსა არა უნახავს რაო, მორჭმული, უხეი და ლაშაზიო; ესე ფული ფეხთა და შრომისათვის მომირთმევიაო და, თუ ამაღამ შენი შეყრა

აღირებულ, შეკრიია, თავისი საბადებულობა სრულობით შენს ერთს კოცხის ანაცვალოსო". ქალი იგი ამ რიგი ქართულით მოაზურა და წაიყვანა და, საცა იგი ვაჭარი სმად იჯდა, იქ შეგვარა. შოთავები ჩაღრი და ტურფა უებრო მნათობი ნახეს და დიდად განკვირდნენ. რა ქალშან შივეცდა და თავისი ქმარი იცნა, უკურე თუ რა ხერხი მოიგონა, და წამსავე შეხერა, ქმარსა საყველო შეტეაცა და ტირილის კმა აღმოუტევე, თა შაო კრებულო ესე უთხრა: „ეს ჩემი ქმარია, ერთი შელიშადი არის დამაგდო და ბოზობას გაჰყვაო, ღმერთის შაღლისა აბა შემომხედეთ, ამისგან საშმელვარო და გასაგდები რა უწირსო, აწე თქვენ ღმერთს ქვეშ შევაგდებო, თქვენ უნდა პქნათ მე და ამისი საშართალით, მე ცოცხალს ამის ქრისტა აღირ შინდაო, აწ ჩემი ქებინი მოცემინეთო, საქონელი აქ უძესო, მე ჩემსა სამშობლოსა წაფაღლ და ასეთსა ქმარსა შევირთავ, მაგის ბატონობასაც ლირს იყოსო". უყურეთ ამისთანა ავს საქმეზე ეს გვარი ტყუილი მოიგონა, რომ ვერა კაცმან კმა ვეღარ გასცა, ქმარიც ასე უუუაწბილი, თავის მაღლა აღებისაგან რცხვენოდა. ყოველმა იქ მსხლობითი იგი ქალი ამართლეს და ასე თქვეს: „ღმერთშინ იცის, უსაშაროსო არის ეს ტურფა ქალიო, ერთი კაცისათვის ლირსიაო". აღვნენ ყოველთა, პატივით დაიწვიეს შეხელსა და კელთა აკაცეს, და უთხრეს ესრეთ: „ჩვენო დედავ, დაო და შვილო, ამ შენის ქრისტოვაცობა, შენაცოდარი და შენზედ დანაშაული ჩვენ გვაპატივეო და ჩვენ ასეთსა პირობას დავადებინებთ ამ შენსა ქმარსა, რომ თავის დღეში არა შევცოდოს რაო, ახლა ჩვენი ამხანავი არის და ჩვენი გულისათვის აპატივე, შერიგდი და ნულარ გაიყრებითო". კელი გამოულეს, ერთმანეთს მისცეს და პირს აკაცნინეს და ისე შეარიგეს ძლივ. აწ კელმწიფეო, რა დაეჯერება ავს დიაცხა, რომ მისი ქართული გირშმუნებით, რომ შენს სანთელსა მისის სიტყვით დავსებას უპირობო? კელმწიფესა ვეზირისა სიტყვა შწვედ მოეწონა, შვილი აღარ მოკლა და მას დღეს მას აპატივა.

ქართი აკ.

დედაქანისაგან შემცირდა, რომ მეოთხე კეშირი მისურება და პალმშიფის ძვირი სიკედისაგან მისამასხვი, წაფიდა მეხელე.

უამბეს მას ეშინა დიაცესა, რომ შევიდა მეოთხე კეშირი და კელმშიფის შვილი სიკედილისგან მოარჩინა, გაიპო პირის სახე და ესეთი პირისხლისგან მივიდა კელმშიფის წინა-შე და მოახხეցა ესრული: „კელმშიფერ, მოსული შენი კეშირით და შენი ბასეგბა კიდევ მოუშლიათ, შენად წასახდენად უნდათ შენი მესისხლე შვილით, შენშა ბატონობას და შერ-ცხენაშ ჩაიარათ და შენის სახლის ამაო და ას ჩემი სიკედი-ლი იმ ერთის კატის სიკედილსავით იქნებისო“.

თამსარი აჭ.

დედაქანისაგან არავის მოსიუნება.

ტრთსა ალაგსა ერთი კაცი იყო და ერთი ძალლი ჰყეან-დაო. ზამთარ გავიდის ოოფლში კვერნა და შელა ინადირის და დაიჭირისო, იმის ტყავს მოიქმოდის, გაჭყიდდის და ცოლ-შვილს იშითი არჩენდაო. ერთსა დღესა ტყეული წავიდა იგი კა-ციო და ნახა, რომ ერთსა ალაგსა მრავალი ფუტკარი და-გროვებულიყო და უცხო ფერად და კარგად თავლი სდიო-დათო. რა ნახა შან კაცმან, ასე თქვაო: „ამ კვერნას და შე-ლას რომ ვსდეო, ამისი ნადირობა ან კარგა მოვა და ან ავა-თო და ეს უფრო დაუცადი იქნებაო, ერთი ჯაში თავლი ორ შაურად გამივაო“. გამოუდგა თავლისა და ფუტკარს დევნა დაუწყოო. იშოვის თავლი, მოიტანის და გაჭყიდისო. ერთი ბაყალი აიჩემა, ყოველ დღე მივიცოდის და თითო ბადია თა-ფლი მიყიდვისო. ერთსა დღესა მივიდა კაცი იგი ბაყალთან და იგი მონადირე ძალლი თან მიჭყვაო. მას ბაყალს ერთი კა-

ტა ჰყვანდა და დუქანს მწვედ უფრთხილებდა თაგვისაგანაო. ძალლმან რა კატა ნახა, ულრინა და კატა ზედ წამოფრინდაო, ძალლი ამაზე მწვედ გაგულისდა, დასცა პირი და იგი კატა მოკლაო. რა ბაყალმან კატა მოკლული ნახა, ცეცხლი მოედვა, ხმალს კელი მოივლო და იგი ძალლი მოკლაო. მასუკან ძალლის პატრონმა ბაყალი მოკლაო, და ამაზედ ბაზარი აიშალაო. ბაყლის მოყვარემ იგი მონადირე კაცი მოკლა, და მის კაცის მოყვარემ იგი ბაყლის მოყვარე მოკლაო. შეიქნა კლმის ქნევა და შუა-მავლობაშიც მრავალი მოკვდაო. შეიქნა შულლი და სისხლის ღვრა, მოვიდა ლაშქარი და შეიქნა ომი საშინელიო, დაიხოცა მრავალი, ასე რომ ხალხი და ბაზარი განახევრდაო. აწე თუ შენი შვილი არ მოკალ, ან მოგკვლენ და ან ტახტიდამ გარდაგაგდებენო, თორემ ჩემი სიკვდილი იმ კატის ოდენიაო; თუ საქმე ამ გვარი მოხდეს, დედაკაცი ვყოფილვარო, თუ არა და დედაკაცად ნუ მახსენებ და ნურც შენთან გამატარებო. კელმწიფეს კიდევ გულში დაუჯდა მის დიაცის სიტყვა, შეშინდა და შვილის სიკვდილი ბძანა.

კარი ივ.

მეცნობე გეჩარისაგან შეტყობის და კელმწიფესთან მასგლა.

3 ეზირს უამბეს, რომ კელმწიფე თავის შვილს სიკვდილს უპირობსო, ადგა შევიდა კელმწიფეს წინაშე, დალოცა და ესრეთ მოახსენა: „კელმწიფეო, ყოველი სული გავკვირვებულვართ, თუ ეგ შენი ყოვლის სიბრძნით აღვესილი შენი გონება რამ დაგიფანტაო! რასა იქ და რაზე დაგიჯერებია ერთი ჯადოს დიაცის ქართულიო? დამბადებელსა ლმერთსა ყოველი სული ამისთვის უძრწის მონებასა ლვთისასა, რომ დასასრული არა აქვს, დაულევნელი და უთვალავი კელმწიფე არისო, თუ გათავდებოდეს და წარმავალი იყოს, ისე არავინ დაემონებისო, ჩვენ კაცნი მოკვდავნი ვართ და კელმწიფენიცა მოკვდავ-

ნი ხართო, ხორციელი კაცი თუ უკან შენად შედეგად არ მოგდევს, ყოველი სული ისე დაგემონებაო; ერთის მოურავის საქმე დაგემართებისო, ცოტას ხანსა მოგეფერებიან და მერე სხვას დაუწყებენ მოლოდინსაო; როგორი ტახტოსნობა იქნება, შენი თესლი და ნათესაობა შენი კელით დასრულოო! აწ ავის დიაცის ეშმაკობაზე ერთს თიმსარს მოგახსენებო“.

თამსარი იტ.

გეზირმა მოახსენა არაკე აგს დააც ჩედ.

ერთსა ალაგსა ერთი მორჭმული კაცი იყო და ერთი შვილი ჰყვანდა, და ერთის კარგის კაცის ქალი უთხოვა, ლამაზი და მშვენიერი, ქორწილი უყო და დაასახლა. გამოვიდა ხანი არა მცირენი და იგი ქალი სახლის ბანზე ავიდა, მცირეს ხანს ისეირნეს, მერე დაიგო ქვეშ და ბანზე დაჯდა და დაიწყო კელსაქმობა. ქუჩაში ერთმან ვაუმან გაიარა, იგი ქალი დაინახა და მან ქალმან იგი ყმაწვილი ნახა, შორიდამ ერთმანეთის სიყვარული შეუვიდათ გულში და დაუწყეს მიჯნურობა ერთმანეთსა. დღესა ერთსა კიდევ ნახეს ერთმანერთი. ქალმან ბალისაკენ ხელი შემოავლო, წუმწუმით წყალი გარდალვარა და ნახშირი გარდაუგდო; ესეები ანიშნა და შინ შევიდა. ვაუმან ვერა გაიგო რა და შინათკენ წავიდა და დაღონებული მივიღოდა. გზაზე ერთი ბერი დიაცი შემოეყარა და უთხრა: „ყმაწვილო, რატომ აგრე მოწყენითა ხარო?“ ყმაწვილმან უთხრა: „ერთი უებრო მნათობი ქალი ვნახეო და მან ასე მანიშნაო, და მე ვერა გავიგერაო“. ბებერმა ასე უთხრა: „მე ეგე ყველა შევიტყეო და რაცა უნიშნებია ყველას აწვე მოგახსენებო, მას ქალსა მწვედ მოუნდომებიხარო და დაუბარებიხარო, მგრგვლად რომ კელი შემოუვლია, ბალი უნიშნებია და ბალისა მოზღუდვაო, წუმწუმით რომ წყალი გაღმოუღრია, ბალის რუს შესაღინარი შესაძრომი უნიშნებიაო, და ნახშირი რომ გარდოუგდია, ღამე მისვლა უნიშნე-

პიაო". ვაჟმან დიდათ გაიხარა და, როდისაც შეღამდა, წავიდა, ბალის რუს შესაღინარში შეძვრა, ქალი იქ დახვდა და ორნივ ტურფანი ერთად შეიყარნენ. იყვნენ ამ ყოფასა და ლხინში. გაზაფხულისა უამი იყო, რამდენჯერ მოუნდებოდათ, იმდენჯერ შეიყრებოდნენ. დღესა ერთსა იმ ქალის მამამთილი ბალში სასეირნოდ დავიდოდა, ნახა, რომ თავისს რძალთან ერთი მოყმე ქაბუკი იყო და შეექცეოდა, წავიდა ჩუმათ და შვილს უთრა, ეგების დაუშალოს და აღარა ქნასო ამგვარი საქმეო. მის შვილს იგი ცოლი მწვედ უყვარდა, არ დაუჯერა მამასა თვისისა და გულში ესე თქვა: „ეგების მამა ჩემს ამ ჩემა ცოლმა აწყენინა რამეო და მისთვის მეუბნებაო, რომ ეგების შემაძულოს ამაზედაო“. მან ბერმა კაცმა ასე თქვა: „თუ ჩემს შვილს თავის ცოლის კუროს ნიშანს არ მოუტანო, მანამ არ დამიჯერებსო“. დაზვერა ერთს ლამესა, მას კაცს კი ვერა მოპარა რა და თავისს რძალს ფეხზე სალტე წააყარა. ქალმან მას უამსა ვერა გაიგო რა და მასუკან ნახა, რომ ცალს ფეხზე სალტე აღარ ეცო, თქვა გულში, ეს სწორეთ ჩემა მამამთილმა მიყოო. წავიდა მსწრაფლად ქალი იგი. ქმარი მისი შინ შემოვიდა. ქალი სიხარულით წინ მიეგება. სანამ¹⁾ მამა ნახევდა, მანამ²⁾ ქალი მივიდა, კელი მოჰკიდა და ეგრე უთხრა: „ამ მტკრიანს სახლში რას მოხვალო, წავიდეთ, ბალში დავსხდეთო, ქვეშ დამიფენიაო, სასმელ საჭმელები მომიმზადებიაო, ყირმიზი ლვინო ჭიქებით დამიდგამსო, ათას ფერად ვარდი გაშლილიაო და სურნელება გამოუშვიაო, მისი გახელებული მიჯნური ბულბული ზედ ათას ფერად დამლერისო, ზამბახსა მისი პირი გაუშლია და სანდომად თავი ჩამოუგდიაო, იასამანი მწვანე ტანისამოსში თეთრად გამოსჭვრისო, და ზამბახი და ისი ერთმანერთისა სურნელებასა ცდილობენო, შადრევნისა ჩხრიალი და ვარდის წყლისა გარდმონალვარი ბალსა რწყავსო, მთვარესა თხუთმეტი დღე წამოუვლიან და ღამე

¹⁾ დედანში სწერია: მანამ.

²⁾ დედანში სწერია: სანამ.

დღისათვინ დაუდარებიაო, აწ რასა იქ ბნელს სახლშიაო? შენ ყმაწვილი კაცი ხარ და მეცა ასეთი ტურფა ლამაზი და ყმაწვილი ქალი ვარო, სანამდისინ დრო და გაზაფხული¹⁾ წავიდოდეს, გავიხაროთო, ვახშამიც იქა ვჭამოთ, ღვინო და ძოწის ფერი ბაგები ერთმანერთსა შევაჭიდოთო და ვახშამი ვჭამოთ, იქავ მოვისვენოთო“. ქმარი ამგვარისა ქართულით მოიმადლა, მამას აღარ აჩვენა და აღარცა რა ათქმევინა, ამისთანა ეშმაკობით მოაღორა, სარტყელში კელი ჩაუგდო და ბალისაკენ წაიყვანა. უყურეთ, თუ თავისი ტყუილი რა გვარად გაამართლა და დააჯერებინა, და თავისი აუგი როგორ დაფარა. როდესაც ჭამა გაათავეს, დაწენენ, თავისი ალერსი გაათავეს და თითო პირი ეძინათ. მერე დედაკაცმან ქმარი გააღვიძა და ასე უთხრა: „ამას უსაკვირველესი რა იქნებისო, თურმე მამა შენი ავს საქმესა მწამობსო, და უნდა საკვირველი რამ მომიგრნოს და შენს თავს გამყაროსო, ეხლა მამებარა, განა ვერ შევიტყე, მაგრამ არა უთხარ რაო, და ფეხიდან სალტე წამყარაო“. როდესაც გათენდა, მამამ შვილი გაიხმო და ეგრე უთხრა: „ამისთანა საქმე ვნახე შენს სახლშიაო, აილო სალტე და მისცა, დაუშალე შენს ცოლსა, რომ მოიკვეთოსო“. შვილმან მამას პირში ჩააფურთხა და ეგრე უთხრა: „რატომ არა გრუხვენიანო, რომ აგრე ტყუილად ამბობ, და ცოლი გინდა შემირცხვინო, და უბრალოდ მამაკვლევინოო, წუხელის ჩემთან მწოლს მოპარე ეგ სალტეო“. მამამან აგრე უთხრა: „ღმერთი იყოს მოწამეო, წუხელის არ მომიპარავს, სამი ლამე არი მოყვარესთან მწოლს მოვპარეო“. შვილი გაგულისდა, მამა კარზე გააგდო და ასე უთხრა: „ცოლი შემირცხვინე, მე თავი მომკვეთეო, მე და შენი მამა-შვილობა აღარ იქნებისო“. ბერი კაცი უკუწილებული უბრალოდ გავარდა, მივიდა ყადთან და ესე თავისი გარდასავალი ყველა მოახსენა. იმან სამართალი უბძანა და საჩივარი მწვედ გაიგონა. ბერი კაცი ყოველთ შეიბრალეს, მისი შვილი იხმეს, მიიყვანეს და ასე

¹⁾ დედანში სწერია: დაფასილი.

უთხრეს: „ბერი მამა თავისის სახლიდამ რატომ გაგიგდია?“ იმან თავისი საქმე, ცოლის სიმართლე და უბრალოება და შერ-ცხვენა იჩივლა. მათ ესე უთხრეს: „აბა ის დიაცი მოვიყეა-ნოთ და გავიკითხოთო“. იმ ქალაქში ერთი წყარო იყო, რო-მელიც უბრალოდ დაიფიცავდა და იმას დალევდა, შაშინვე გასქდებოდა. რა იმ წყაროზე დასაფიცებლად იგი ქალი იხმეს, მაშინვე შეიტყო, რომ უფიცრად არა მეშველება რაო, თავის მოყვარეს კაცი გაუგზავნა და ასე შეუთვალა: „ჩემი საქმე ასე არის, სამართალში მივყევართ და შენის გულისათვინ მკვლე-ნო, თუ ჩემი სიყვარული გაქცეს და ან ჩემი თავი გინდაო, აბდლის ტანისამოსი ჩაიცვი, თავი მოიგიუეო, გზაში დამხედი, როცა ისაულებს მივყვანდეო, და უბრალოდ წამომეჭიდე და მაკოცეო, მე იმას ფიციში ჩავიტან და ეგების მოვრჩეო ამის-თანა საქმითაო“. ეს კაცი რომ იქით გაისტუმრა, თვითან ჩა-დრი წამოისხა და ისაულებს გაჰყვა. მისი კურო მისგან და-რიგებული გზაზე დახვდა, წაეჭიდა, მოეხვია და აკოცა. მან დიაცმან დიღლად იწყინა, ისაულებმა მას კაცია ბევრი სცეს და გააგდეს. რა ესე საქმე მოხდა, დიაცი მასუკან თამაძად შევიდა ყართან, წააყენეს წყალზე, დაიფიცა ასე და ოქა: „ჩემს ქმარს გარეითათ, რაცა ეხლა იგი კაცი არ წამომეჭი-და, თუ იმის მეტის კაცის კელი მომხლებოდესო, ღმერთმან და ამა წყალმან აწვე გამხეთქოსო“. დალია იგი წყალი და მშვიდობით მორჩა. ისაულებიცა დაემოწმნენ, ახლა გზაში ერთი შემცარი კაცი წამოეჭიდა და აკოცა. ამაზე შეიჯე-რეს იგი ყადი და წავიდა მშვიდობით იგი დიაცი, მამამთილი გაწბილებული თავისის სახლით გააგდო და თვით, როგორც ეწადა, ისე ქნა. აწ კელმწიფეო, დიაცმან ამისთანა ეშმაკობა და ილათი იცის, ამ დიაცის ქართულით ან ერთი ძალლის ლეკვი როგორ მოიკვლისო, არამც თუ ამისთანა საკელმწიფო შვილი მოიკვლისო. კელმწიფესა ვეზირის ნათქვამი ქართული მოეწონა და მას დღეს შვილის სიკვდილი მას აპატივა და მორჩა.

ქართ აჭ.

კაცებ შეტყობინ, რომ მეხუთე გეზითი მისულათ და გემწიფი,
შეიდი მოურჩენიათ. ადგა და მემგხედ წაგიდა.

როდეს იმ ეშმაქმან დიაცმან „შეიტყო, რომ მეხუთე ვეზი-
რი მოსულა და კემწიფის შვილი სიკვდილისაგან მოურჩენიათ,
ასე თქვა: „უყურეთ, თუ ჩემს თავსა რა საქმე გარდაეკიდაო;
ეს ორი დღე კიდევ გარდავა, კემწიფის შვილი ენას ამოიდ-
გამსო, მაშინვე ჩემს ხვაშიალს მამასთან გამოაცხადებსო, სირ-
ცხვილი და მწარე სიკვდილი ორივ ერთად დამემართებისო,
რაღა დროს ჩემი თავაზობის¹⁾ დრო არი, ტკბილის სულის
და ხორცის გაყრას მივახლოვებივარო, დიდს მოედანში ცხენი
ჩავაგდევ და ვეღარ გამიწევიაო, ასე უნდა მეტისა მოკირვე-
ბითა და დეზის ცემითა თავს გავიღე, გავირბინო და მოვრჩეო“.
ასე თქვა, ზე ადგა და გულ სისხლიანი კემწიფისა ტახტს წინ
წადგა, თავს მიწა და ტალახი გადაიყარა, ასეთი სულთქნა
და კვნესა დაიწყო, რომ ქვა გასქდებოდა მისის ბრალითა,
ესრეთ მოახსენა: „მაღალო კემწიფეო, რამდენჯერ გამტყუნ-
დი ამ შენის მესისხლე შვილის სიკვდილსაო, აქამდინ როგორც
ბძანება ღვთისა არ შეიქცეოდა, ისე შენი ქართული არ და-
ბრუნდებოდაო, ახლა რა არის, რომ შენ კი სამართალს
ბრძანება და შენი ვაზირნი კი მოშლიანო; მე ერთი ლუკმა
შენს სახლში გავიზარდე, ჩემი ურიგობა და შენის სახლის შე-
უფერლობა არა შემჩნევიაო, მე შეურცხვენელი ვიყავ და აწ
თავი შემირცხვაო, და შენ სახლ-შერცხვენილი ტახტიდამ
ვარდებიო, აწ რაცა მაიმუნის ვეზირობით ლომსა სარგებელი
დაემართაო, თუ შენ შენის ვეზირების რჩევით ისე არ დაგე-
მართოს, დედაკაცი თურმე არა ვყოფილვარო და არცა რა მცო-
დნიაო“. კემწიფემ თქმა უბრძანა და დიაცმა მოახსენა ესრეთ:

¹⁾ ჩვენს დედანში: თაღაფულის.

თამსარი ით.

დააცმან მოახსენა ფომის და მაიმუნისა თამსარი.

ერთს ალაგსა ერთი დიდი ქარავანი წავიდა დიდისა და სა-შინელის მოკაზმულობითა, მისრეთის ქვეყანას სასარგებლოდ გაემართნეს, გზაზე ერთსა ქარვასლაში დადგნენ, მას ქარვას-ლას გარე ტყე ეხვია და ქეშიკნი და ყარაულნი დაიყენეს, კარგა და მაგრა დადგნენ. თურმე მას ქარვასლაში ერთი ქურ-დი ავაზაკი შემოსჩევევია და, როდესაც იქ მგზავრი დადგის, მიეპარის და მრავალი საქონელი დაპირის. ეცადა მრავალსა იმ ღამეს და ვერას ღონით ვერ შეეპარა, კარგა ფრთხილად დახვდნენ, თქვა მან კაცმან: „ამით ვერას ვიშოვიო, წავიდე, ეგების თავლას მაინც შევეპარო და ერთი კარგი ბედაური ცხენი მოვიპაროო“. წავიდა იგი ქურდი, აღვირი კელში ეჭი-რა და გარს უარი მას თავლასა, მაგრამ ვერ შეუვიდა, დიახ ბნელოდა და ამა სიარულში ერთს მწოლარეს ლომს წააღგა. თურე ლომიც ამისთვის იყო, ეგების ერთი ცხენი გამოვიდესო და შევჭამოო, რომ დიახ მომშეოდა. რა იგი კაცი ცხე-ნების მიპარვაში ლომსა უეცრად შეხვდა, კელი გადაუსო და ემსუქნა, ლომი ამაზედ შეშინდა და ვერა გააწყო რა, კაცმან აღვირი ამოსდო, შეჯდა, დეზსა და მათრახსა ცემა დაუწყო, და არა იცოდა, თუ ცხენი იყო, თუ ლომი. რა დიდი ალაგი გაირბინა, გაუთენდა, ნახა, რომ ლომზე იჯდა, შემოიკრა თა-ვში და თქვა: „უცხო ფერი ქურდობა არ მომსვლია, ეს ლო-მი ხომ აწვე შემჭამსო!“ იგი კაცი ერთობ შეშინდა და გამა-გრდა ზედა, შიშით კმალი ამოილო და იარა. რა ლომმან კმალ-მოწვდილი იგი კაცი ნახა, რა გინდ თამამი და შეუპო-ვარი ნადირი არის, მაგრამ მას კაცზე უარესად შეშინდა, და იწყეს ორთავ უნებურად სიარული, კაცი მაგრა მოეკიდა და ასე თქვა: „თუ გარდავხდები, უსაცილოდ იგი ლომი შემჭამ-სო“. ლომი გაჯავრებული და შეშინებული მირბოდა, არცა

ტყე, არც ლრე, არც კლდე არა გააჩნდა-რა; ერთსა ხის ძირ-სა გაირბინა, მას ხესა ერთი შტო ძირსა დაშვებული ჰქონდა, იგი კაცი მას მოეკიდა, ზედ შეახტა და ლომი გაიქცა, ორ-თავე მწვედ გაიხარეს ამაზე და შიშს დაეხსნენ. გზაზე ლომს ერთი მაიმუნი შემოეყარა, შეატყო, რომ დაფრთხალი და შე-შინებული მივიღოდა, უსალამა, მდაბლად ქება შეასხა და ეგ-რე მოახსენა: „ყოველთა ნაღირთა კემწიფეო, მშვენიერო სა-შიშო და ჩვენო პატრონო, რა წაგეიდებია, რად გაგული-სებული მორბილი? ვინ იყო ეგეთი, რომ შენ თავი შეგაწყი-ნაო?“ ლომმან თავისი ამბავი ყველა წვრილად უაშბო. მაი-მუნმა თავსა და პირსა მრავალი იცა და ესე მოახსენა: „ვაგ-ლახ მე და ჩემს გაგონებასაო, ყოველი სული შენის სახელის გაგონებაზე შიშით დასქდებიანო და ახლა ეგ როგორ გეკა-დრება, რომ ერთის ცულის კაცისაგან აგრე გამხდარხარო, ჩვენ ვინდა გაგვიშვებს ქვეყანაზე ცოცხალსა და ან პურს ვინ-და შეგვაჭმევსო? აწე დაბრუნდი, წავიდეთ, საცა იგი არის, იქ მიმიძელუ, თქვენ არას გაგრჯიო, თქვენ ხის ძირსა დაბძანდით, მე აუხდები და იმის საქმეს მოგახსენებო, ასე ლუკმა-ლუკმა დავხევ და მოვკლავ, მაგვარი საქმე კაცმა ველარ იყადროსო; შერცხვა ლომსა, გამობრუნდა, წაუძღვა წინა და წავიდნენ; რა მივიღნენ, იგი კაცი ისევ ხეზე იჯდა, შიშით ვერ ჩამოსუ-ლიყო; რა შემოხედა და მაიმუნიც დაინახა, შეშინდა, მაღლა წვერში ავიდა, იქ ფულურო იყო და იმაში ჩაჯდა. მაიმუნმა რა ნახა იგი კაცი, ლომი ძირს დააყენა და თვით ხეზე მას კაცს გაუხდა, შიგვე შეუვიდა და თავსა წამოაჯდა, სხვა ვე-რაფერი ვერა დააკლო-რა მაიმუნმა მას კაცსა. კაცი იგი შე-ჰ(ა)ფრინდა და ორივ ყურები დაუჭირა მაიმუნს, ძალიან გადა-უგრიხა და ყვირილი დააწყებინა. რა ლომმან მაიმუნის ჩხავი-ლი გაიგონა, თავათ შეშინებული იყო, კიდევ უფრო შეშინ-და და გარდაიხვეწა. მაიმუნი იმ კაცმა მოკლა, ძირს ჩამოაგ-დო და თვითანაც მშვიდობით წავიდა თავისსა გზასა იგი კა-ცი. კემწიფეო, როგორც მაიმუნის ვეზირობით მეორედ გაქ-

ცევისა და შერტვენის მეტი ლომს სარგებელი არა მიხვდა რაო, ისე შენს ვეზირებს შენი ორგულად რჩევა და შენის პურ-მარილის დალახვა მოუვათო, ბოლოს უამსა შენც ისე გა-გაქცევენო და შენის ტახტიდამ გარდაგაგდებენო. კემწიფესა დიაცის ქართული კიდევ გულში ენიშნა, და თავისი შვილის სიკვდილი ბძანა. მოვიდნენ ჯალათები, კემწიფეს შვილი გაა-შიშვლეს სასიკვდილოდ, და კიდევ ვეზირთა სცნეს.

კარი იტ.

მემკვე გეზისაგან შეცემა, რომ დიაცის ქართულით კა-
დეგ შეიღსა ჰქონდა გემწიფე.

ქიქრა ვითა შემცთარი მეექვსე ვეზირი, კემწიფის ტახტის წინ გაჯავრებული წადგა და ეგრე მოახსენა: „კემწიფეო, ტახტისა შენსა დიდის წინასწარმეტყველისა სოლომანის უსრუ-ლესის სიბრძნის მქონედ გიტყოდნენო, ახლა ასეთი რა დაგე-მართა და ან რა დაგეუფლაო, სიბერისა დროსა ღმერთმან ერთი შვილი მოგცა და ერთის ჯადოს დიაცის სიტყვით ჰკლაო, დამბადებელსა და ყოველთა შემოქმედსა ღმერთსა ვი-მოწმებო, მას არა წმიდა დიაცისა შენი შვილი საბოზოდ მო-უნდომებიაო, შენს შვილს არ უქნიაო და მის ჯავრზედ გა-კვლევინებსო, თვარემ ბოლოს უამს გამოჩნდებისო ჩემი ქარ-თულიო. დიაცის ეშმაკობაზე, თუ ბრძანებ, ერთს თიმსარს მოგახსენებო“. კემწიფემ თქმა უბძანა და ვეზირმან მოახსენა ესრეთ:

თიმსარი ჭ.

გეზირმა მოახსენა დიაცის ეშმაკობაზედ თიმსარი.

ხაულისატანის ქვეყანას ერთი ვაჟი კაცი იყო, რომ კა-ცის თვალით მას უკეთესი ყმა კაცი არ ინახოდა, ტანალ გრძელსა საროსა გვანდა, თვალნი შავსა მელნის ტბას უგვან-

და, წარბი გოზა გაზიღულს არყის მშვილდსა, პირი გავსილსა მთვარესა, ახლის შავისა სუმბულისა ფერი წვერი აშლოდა, ულვაში ლამაზად იისფრად აშლოდა, ბაგე-კბილი ასეთი ტურფა ჰქონდა, რომ რა გაიცინებდის, კბილიდაღმე ახლის სადაფისაგან გამოღებულსა მარგალიტის ფერი გამოჰკრთის და ბაგისაგინ უსინჯოსა ბადახჩანისა ლალისა ფერი გააცუდის, და ყოვლისფრით სრული იყო. ჯერეთ ცოლი არა ჰყანდა, თავისსა შესაფერსა ეძებდა და ვერ ეშოვნა, და ასე თქვა: „ცოლი ხომ ჯერეთ შორს მიჩანს, ბარემ სანამდინ ცოლს შევირთავდეთ, ერთი შესაფერი მიჯნური მაინც ვიშოვნოთ“. ამ საგონებელში იყო და სევდიანი სეირნობდა, ერთი მენაქსოვის დიდ ვაჭრის კარზედ გაიარა, და იმაზე მენაქსოვის ცოლი კარზე იდგა, მან კაცმან შეხედა, და რა ქალმან ნახა, წამსვე გაბრუნდა და შინ შევიდა, ასე ტურფა ქალი იყო, რომ იმ შეფერებულებაზედ მეტობდა, უებრო მნათობი იყო, აღვა¹⁾ ნაკვეთი, წელის სიწვრილით გაწყვეტას ლამოდა, სინაზით თითქმის კვდებოდა, თვალ-წარბი დახატული ჰქონდა, თმა კოჭამდინ ჩასდიოდა, მნათობსა პირსა ზედა შავი ხალი ესრეთ გასწყობოდა, როგორც ქორწილში ახალ პატარძალსა, თავით ფერხამდინ სილამაზით სრულ იყო, ყოვლის სიტკბოებით შემკობილი იყო, თეთრ-წითელი ბაგენი კრთებოდის კბილისაგან, სურნელისა სული ყრჩოდის და ყოველივე სამშვენიარო ზე შვენდა. რა კაცმან ერთისა შეხედვითა ასე შემკობილად დაინახა, გული და გონება საკუთრად მისკენ დარჩა, საწყლად გაუტიჯნურდა, ვარდისა და არლავნის ფერი ყვითელსა ქარვას დაემსგავსა, მწარე სისხლისა ცრემლი შავთა წამწამთა-გან შეხამებით ცვარ-ცვარად ჩამორეცხდა და გულ-კელ და-კრეფილი შინ მივიდა. მის ახლო ერთი ბერი და მონახული დიაცი იყო, ესეოდენი გრძნეულობა და კერკიანობა იცოდა, რომ დევსა შელოცვით კელსა შეუკრავდა, ჯადობა და და თვალთ-მაქცობა ასე იცოდა, რომ უფრო არ იქნებოდა.

¹⁾ დედანში სწერია: ეღვა.

მივიღა მას დიაცთან, თავი კალთაში ჩაუდვა და დედობით
ტკბილად დაუწყო ლაპარაკი და ესრეთ უთხრა: „დედაო, თუ
შენ არას მიშველი, უთუოდ ჩემმა საქმემ ჩაიარაო, მე ასეთი
მიჯნურობისა ისარი მეცაო, რომ დიდი დოსტაქანნი უნ-
და და მკურნალნი მის გამოლებასაო, სიყრმის სიცოცხლე
კერავიანობაზედ ჰკიდიაო, და ჩემი სულის დგმა შენ უნდა
იყო, და თუ მარგე რამეო და ამ გაჭირვებისაგან დამიხსენო“,
მაგიერი პასუხი ზოგი ჩემმა დამბადებელმა ღმერთმან შემოგ-
ზლოსო და ზოგი მეო, ჩემი მორჭმულის სახლის პატრონი
შენ იქნებიო“. დიაცმან ყველა უთქმელად შეიტყო და ასე
უთხრა: „შვილო, იმ მენაქსოვის ცოლის პირი გინახავს თუ
არაო.—„როგორ არა, ერთხელ კარსა მდგომი დავინახეო.
დიაცმან ეგრე უთხრა: „აბა იმას გაუხდიხარ აგრე მწარეთაო,
მის მეტი შენი გამხელებელი არავინ არისო, რა ვქნა, მე იმას
მაგ რიგ დედაკაცობას ვერ ვატყობო, ერთობ პირისწყლიანი
და ნამუსიანი არიო, იმას მაგ გვარი საქმე და პირსშედება
არ გაეწყობაო, სხვა რიგი კერქი უნდა მოვიგონოთო“. ყმაწვილ-
ბან უთხრა: „აბა, რა ვქნაო?“ დიაცმან ეგრე უთხრა: „აბა,
ხვალ წადი იმ მენაქსოვის ქულბაჭედ დაჯექ და ვაჭრობა
დაიწყეო, ერთი კარგი ნაქსოვი იყიდე, რაცა გთხოვოს ფასი
მიეციო, მე ჩამოვივლი, დამიძახე და ის ნაქსოვი აიღე და მო-
მეც, ასე მითხარ: იმ ჩემს მკვლელს მიჯნურს ხომ იცნობ-თქო,
ეს წაიღე და ჩემ მაგიერ მიართვი-თქო. ამით თუ მოუგვარებთ,
თორებ სხვა ღონე არა არის რაო“. რა გათენდა, წავიდა იგი
ყმაწვილი და დაჯდა მის მენაქსოვის დუქანზე, ერთი ძვირფა-
სი ფარჩა იყიდა, მას უამს მან დიაცმან გამოიარა, დაუძახა:
„დედავ, აქ ჩემთან მოდიო!“ ბებერი მოვიდა, მან ყმაწვილმა
აიღო იგი ნაქსოვი ფარჩა და მას დიაცსა მისცა, ეგრე უთხ-
რა: „იმ ჩემს სულის წამლებს მიჯნურს ხომ იცნობ, წაიღე და
ეს ჩემ მაგიერ მიართვიო“. იგი ბეზირგანი ვერას მიხვდა, თუ
ვინ იყო მისი მიჯნური. ბებერი წავიდა, თავი ერთობ მოისა-
ბატიურა, მასალა წვრილმანი ძლვენი გააკეთა, წაიღო და მას

მენაქსოვის ცოლთან შევიდა, მძიმედ სალამი ჰკადრა და ფეშ-კაში მიართო. ქალსა თვალში ესაბატიურა, ადგა და დედობრივად მოიკითხა. ბებერმა ესეოდენი ლაყაფი შეჰკრა, რომ კაცისა არა სმენია. მისად მაწვევრად თავი გამოიჩინა და ესრეთ უთხრა: „შვილო, არ იცი, რომ მე შენთვის ბევრი მიმსახურია და ძუძუ მიწოვებიაო? და აწ შენად სანახავად და საალერსოდ მოველო“. ქალი კარგა დახდომის ცდაში შევიდა, და მოსამსახურეთ საჭმლის დამზადება უბძანა. კარგა დახდომა უნდოდა, ტკბილად და საყვარლად მიეჟყრა. მინამ ქალი საჭმელს დაამზადებდა, მანამ მან გრძნეულმან დიაცმა იგი ნაქსოვი ქვეშსაგებელში ჩაუდვა. რა ქალმან მისი გულკეთილობით დახდომა გაათავა, სუფრა აიღეს, ბერმა დიაცმან მისი ჩხუბი და ფათერაკი იქ დააგდო, თვით ადგა და კარსა გამოვიდა. რა დაღამდა მენაქსოვე თავისს სახლში მივიდა, ვახშამი ჭამეს და, რა წოლა მოინდომეს, ქვეშსაგებელი გახსნეს. მასვე წამისა ნაქსოვი გამოვარდა. რა კაცმან იგი ნაქსოვი ნახა, მაშინვე იცნა, თავისაგან გასყიდული ნაქსოვი იყო, თავის გულში ასე იფიქრა: რასაც დროს მან მშვენიერმან ყმამან ჩემგან ეს ნაქსოვი იყიდა, მაშინვე ერთს დიაცს მისცა და თავის მიჯნურს გაუგზავნაო, თურმე მისი მოყვარე ეს ჩემი ცოლი ყოფილაო, და მე კი არ ვიცოდიო. გაჯავრებული, ვითა კაჭაჭის ცეცხლი, იგი კაცი ეგრე აენთო, და ცოლსა ეგრე უთხრა: მე კარგის მომქმედსა და კარგსა ვეჭობდიო, და შენ კი ავი და ეშმაკის საჭმის მიმყოლი ჰყოფილხარო, ეს ნაქსოვი ვინ გამოგიგზავნა და ან ვინ არი შენი მიჯნურიო? გაჯავრებულმა აღარ გაიკითხა, მიჰყო კელი, ამდენი სპუა, რომ არა ასო მთელი აღარ შეარჩინა. მას ქალსა გულში არა ჩააჩნდარა და ქმარსა ასე უთხრა: რა დავაშავეო, თუ რამ დამეშავებინოს, სიკვდილსაც მემართლებიო, თუ არა და დაუნაშავებლად რატომ მომკლაო? რა ქმარსა ასე უთხრა, მაშინვე სამშობლოს კაცი გაგზავნა, მეგბი მოაყვანინა. (ძმებმა) მოაბა შეუკრეს, ზედ დააწვინეს და წაიყვანეს. მენაქსოვეს ასე უთხრეს: თუ

ჩვენმა დამ დაშავა რამე, შენ არც კი გაგრჯით, ჩვენ მოვ-
კლავთო და, თუ არა დაუშავებია რა და უბრალოს მიზეზედ
ასე მოგიკლავს, იცოდე ჩვენ ამას არ შეგარჩენთო. ოდესუა
წაიყვანეს იგი ქალი, გამოვიდა ხანი არა მცირენი, და წავიდა
იგი ბერი დიაცი ამბის შესატყობრად, თუ რა უქნიათ ჩემის
მიტანილის ნაქსოვის ნახვაშიო. მან ყველა წვრილად შეიტ-
ყო, ქმრისაგან ავათ მოპყრობა და სამშობლოს წაყვანა. რა
გაიგონა მან გრძნეულმა ბებერმა, მასვე წამსა სალორებელი
ქართული შეამზადა, და მრავალ გვარი ტკბილი და საფერებე-
ლი სიტყვები შეაწყო, და მას ქალთან წავიდა, პირ მოგული-
სებული და მოწყენით უცხო ფერად წყენა და სამძიმარი შე-
იფერა, მას ქალსა ასე უთხრა: „ვაგლახ მე, შეილო საყვარე-
ლო, სულისაგანაც უფრო უტკბესო, შენ ვინა და მაგ გვარი
საქმე ვინაო, ვინ გიყო და ვინ შეგახოცათ შენ და შენი სა-
ყვარელი ქმარიო? ქალმან მას ბებრის ეგზომი ხელოვნება და
ოსტატობით საქმიანობა არცა ერთი რამ იცოდა, თუ მისგან
იყო იგი საქმე, გაუტკბილდა და საყვარლად ახედა, რაერთი-
ცა გაეწყობოდა და მის ნახვაზე უკუიყრიდა, მართლის გუ-
ლით უამბო, რაცა ქმრისაგან გარდახდომიდა. რა მას ეშმაქა
დიაცია ესე ესმა, დაიწყო ტირილი და ნამეტანი კი წყენა იჩე-
მა და ესრეთ უთხრა: „შვილო ჩემო, ნეტამც სული ამომხდო-
მოდაო და შენი მაგ გვარი საქმე ჩემს ყურს არა სმენოდაო,
მე ვიცი ჯადოს ვინმე გიზემდაო, ამ ქალაქში ბევრი ეშმაკო-
ბის და ჯადოს მცოდნელნი და მოქმედნი არიანო, და უთუ-
ოდ შენი და შენის ქრმის ერთმანერთის შეძულება ნდომია-
თო, და მტერობით ჯადო ექნიათო, ახლა მაგაზე ნუ შეი-
ჭირვებო, მე ასეთსა ჯადოს მლოცველსა და განმაქარვებელსა
კაცია გასწავლიო, რასაც დროს იჩან შეგილოცოს, მაშინვე
ეგ ჯადოც განქარდეს და სხვაც შენა უამში არა წაგეკიდოსო
რაო“. მან ქალმან ჰქითხა: ვინ არი და ან სად სადგურობს
იგი კაციო? დიაციმან ეგრე უთხრა: აგერ ახლო დგასო, რა-
სასწამ მიხვალ, შენსა ამბავსა უამბობ და შეეხვეწებიო, მაშინ-

ვე წიგნს წაგიკითხავს და შეგილოცავსო, ასე რომ მაშინვე შენი ქმარი შენთან მოვა, კელსა და ფეხსა გაკოცებს და შე-ცოდების სირცხვილს მოიხდისო. ქალმან რა ესე გაიგონა, თავისს გულში ასე თქვა: ქმარმან რომ ასე გამხადა და ძმებ-თანაც პირ სირცხვილეული ვარო, ახლა ისი რომ მოვიდეს ფეხთა და კელთა მაკოცოს, თავის დანაშაულის პატივება მთხოვოს, ამას უკეთესი რა დამემართებაო, რომ კაცმა ლო-ცვით ასე მიყოსო, და ძმებთან მართალი გამომიყვანოსო, და ქვეყანაში პირ-წმინდათ ვიყოთ. მას დიაცსა ძუძუებსა აკოცა და ეგრე უთხრა: აბა, წამიყვანე მას კაცთანაო. მან დიაცმან ასე უთხრა: აბა, შენ მოემზადე, მე წავალ და იმ კაცსა ვნა-ხაო, შინ არის თუ არაო. წავიდა ბებერი, ყმაწვილი შინ და-ხვდა, ასე უთხრა: ადეგ, მოლური ტანისამოსი ჩაიცვიო, გარ-შემო წიგნები შემოიწყო, და ისე მძიმედ დაჯექო, იგი ქა-ლი აწვე მოვაო და შენ იცი, რასაც უზამ და გამოიყენებო. რა მან ვაჟმან მას ბებრისაგან ესეები მოისმინა, მიჯნურობა მოემატა, და სიხარული შექნა, მოლური ტანისამოსი ჩაიცო, წიგნები გარს შემოიწყო და ერთსა ხალვათსა სახლსა დაჯდა. იგი ბერი დიაცი წავიდა, მას ქალსა წინ წამოუძლვა და მას ყმაწვილთან შეიყვანა. რა შინ შევიდა და დაჯდა, ბერი დია-ცი ადგა, კარსა გამოვიდა და კარები გარედამ დაუკეტა. მას ქალსა ასე ეგონა, ეს კაცი შემილოცავს და განმიქარვებს ამ საქმესაო, მაგრამ მან ყმაწვილმან იგი ქალი როს ასე იხელ-თა, რაცა ეწადა, თავისის გუნების საქმე ყველა აღასრულა. ადგა და კარსა გამოვიდა იგი ქალი გაწბილებული და თავის ძმების სახლში წავიდა. რა იგი ქალი წავიდა, ბერი დიაცი მას ყმაწვილთან შევიდა და ასე უთხრა: შენი გუნების საქმე ხომ აღვასრულე და ახლა რაღა გინდაო. მან ყმაწვილმან მაღლი უთხრა, ბევრი აჩუქა და ასე უთხრა: თუ შენ არა პყოფილი-ყავო, მე ეს არ მეღირსებოდა და უთუოდ სიკვდილს მივეცე-მოდიო, შენ რომ მაგისთანა კერკიანობა არ გექნა, სრულად ქვეყანა რომ მომევლო, იმ ჩემსა სულის წამლებს ვერ შევე-

ყრებოდიო და აწ მეცა ვეცლები, მაგისი მუქაფა მეც უმეტესი შემოგზლოო, და აწ კიდევ შენებურად ერთი რამ კერკიანობა და ოსტატობა მოიგონე რამეო, რომ იგი ქალი და მისი ქმარი ერთმანერთს შევარიგოთო, და ქალი მართალი გამოვიყვანოთო. მან ბერმა დიაცმა ასე უთხრა: აბა, შენ წადი კიდევ, იმ მენაქსოვის დუქანზე დაჯექ, მე ჩამოვივლი, დამიძახე და ასე მითხარო: მე რომ გაგატანე, იმ ჩემს მკვლელს არ მიუტანეო, და მე სხვას კარგსა პასუხს მოგცემ ასეთსაო, რომ მენაქსოვემ ცოლისა იმ გვარი მოპყრობა დაინანოს და მაშინვე შეირიგოსო. მას ყმაწვილს ერთობ მოეწონა და დაუმადლა, წავიდა და მის მენაქსოვის დუქანზე დაჯდა, მან ბებერმა ჩაიარა, ვაჟმან დაინახა, დაუძახა და ასე უთხრა: მე რომ გაგატანე იგი ნაქსოვი არ მიართვიო? დიაცმან ასე უთხრა: მივდიოდი, რომ მინდოდა მიმეტანა, შევიტყე გზაზე ქმარი შინა ჰყავსო და ველარ მიუტანეო, იქიდამ წამოველ, მომქონდაო, მაგრამ გზაზე ასე ვთქვიო: ეს გზაზე არავინ წამართოსო და იმ ყმაწვილის სირცხვილში არ ჩავარდეო, წავიღე იმ მენაქსოვის სახლში მინდოდა მიმებარებინაო, შინ არავინ დამხვდა და ქვეშსაგებელს ქვეშ ამოვდეო, და იქ შევინახეო. რა მას მენაქსოვეს ესე ესმა, ასე თქვა და ბევრი იცა თავსა: იმისთანა სასახელო ცოლი კინაღამ არ მოვკალო, უბრალო საქმეზედაო, იმის მოყვარე სხვა ჰყოფილაო, და მე ის მეგონაო, და ან ჩემს გასყიდულს ნაქსოვს ჩემს ცოლს როგორ გაუგზავნიდაო, ეს რატომ არ ვითიქრეო, აწე ან ცოლი რის პირით ვნახოო? მასვე წამსა ადგა იგი მენაქსოვე და ცოლთან წავიდა. შევიდა, კელსა და ფეხსა მოეხვია და შეცლდების ფარმანი სთხოვა, თავის სახლში წაიყვანა და დიდი პატივი მიაპყრა.

კერკიანობა, ენა ჯადოობა ამ გვარი შეუძლიან დედაკაცსაო, ჩემო კემწიფევ, რა ქნა, ჯერ მოაკვლევინა, შეაძულაო და ახლა შეარიგა და შეაყვარაო, და ამისთანა საქმეც უყოო, და შენ აწცა სახემწიფოსა შვილსა მას სიტყვით ჰკლაო, ჩემი მოხსენება ეს არის და ახლა ნება გაქვსო. კემწიფესა ვეზირის

სიტყვა კიდევ დაუჯდა, იამა და ლილალაც დაუმაღლა, მას დღეს შვილის სიკვდილი მას აპატივა და მაში გაიარა ექვსმა დღემა. მან გრძნეულმა დიაცმაც შეიტყო იგი ამბავი და მწარედ გაგულისდა.

კარი ით.

მეშვიდეთ მისგლა დედაკაცისაგან გემწიფესთან გააფთრებული და სიბლიანი.

როგორ მან დიაცმან შეიტყო, რომ მეექვსე ვეზირი მისულა და კემწიფის შვილი კიდევ სიკვდილისაგან მოურჩენიაო, აჩქარდა და ასე თქვა: ერთი დღის მეტი სიცოცხლე ხომ აღარ მიძევსო, თუ კიდევ არას ვეცდები და არას გამოვარჩევო, ჩემი საქმე ავად მოდისო. ადგა და კემწიფის წინაშე შევიდა. პირ-სისხლიანი და გულ-ჯავრიანი, თავს მიწა და მტვერი გადაიყარა, სამკაული სულ მოიშალა, ტახტისა ფეხი სულ მიწიანის პირით, ცრემლით და სისხლით შესვარა და ესრეთ მოახსენა: „ამდენი რა დავაშავე, თორმეტის წლისა შენს უბეში გავიზარდეო, და მე იმ შენის ულირსის ძისათვის დედობაც მიქნიაო, ძიძობაც და გამდლობაცა, აწე ესე გვიყოო და ლამს, შენი სიკვდილი და ჩემი შერცხვენა ორივ დაივიწყოო, (ვითარცა) ფოლადსა მაღნინტისა ქვა მიიტაცებს და მიჰიკრავსო, ეგრეთვე შენი ბრძენი და ყოველთაგან საქებარი ჭკუა შენის ვეზირების სიმრუდით რჩევამ მიიკრაო და, თუ მიბრძანებ, მათსა სიტყვაზედ ერთსა თიმსარს მოგახსენებო“. კემწიფემ თქმა უბრძანა და მან მოახსენა ესრეთ არაკი:

თიმსარი ქა.

დედაკაცისაგან არავას მოხსენება.

რინასა უამსა ერთი თქვენებრ დიდი კემწიფე იყო, და ერთი შვილის მეტი არა ჰყვანდა. კემწიფესა შვილმან დასტური

სთხოვა, ნადირობას წასელა მინდაო. მან დასტური უბოძა, ვეზირნი ბრძენი გაატანა და ასე დააბარა: სითაც ჩემი შვილი მივა, იმ მხარეს ერთი ასეთი წყარო გაშოდისო, რომ ვინც იქას დალევს, ქალსა ვაუად შესცვლისო და ვაუსა ქალადო, და აწ თუ არ მომკლავთო, ან ჩემი შვილის სიკვდილი არ გინდათო და ან ჩემის სახემწიფოს ამოწყვეტა, იგი ყმაწვილი მას მხარეს არ მიაკაროთო და იგი წყალი არ ასოთო. როდეს წავიდნენ, ის ვეზირნი თან ახლდნენ, ნადირობდნენ და შეექცეოდნენ. რა მას წყაროსა მიახლოვდნენ, ვეზირები ჩამოხდნენ, კემწიფის შვილს სადავე შესტაცეს და ასე მოახსენეს: „აქეთ ნუღარ წამოხვალ და არც გაგიშვებთო“. მან ყმაწვილმან ეგრე უთხრა: „რა არის მიზეზი მაინთ წაუსვლელობისაო?“ ვეზირთ ასე მოახსენეს: „აქეთ ამიტომ არ გაგიშვებთო, აქ ერთი წყარო არი, ვინც ვაუი სვამს, ქალად გარდაიქცევაო, და ვინც ქალი სვამს, ვაუად გარდაიქცევაო. აწ მამა შენმა ასე დაგვარიგა, თუ ჩემი სიკვდილი არ გინდათ, იგი წყარო არ დაალევინოთო, აწე რომ დაგვხოცო, შენ იმ წყაროზე არ მიგიშვებთო“. მას ყმაწვილსა სიყმაწვილის ქარი თავში ჰქონდა, ვეზირნი მილახ-მოლახა, სადავე წაართო და თქვა: „მამი ჩემის მზემან, მაგას არ დავიჯერებო, და არც იმ წყაროს უსმელი დავდგებიო“. საჩქაროდ წავიდა, ჩამოხდა და იგი წყარო დალივა. რა დალივა, მასვე წამსა ქალად გარდაიქცა. რა მან ყმაწვილმან თავისი თავი ისე მყოფი ნახა, თავს მიწა გარდაიყარა, შავი გიშრის მზგავსი ქოჩორი დაიგლიჯა, ახალი აშლილი ულვაში ფრჩხალით გარდიწიწვნა, ბროლის და ვარდის მგზავსი პირი სისხლით შეიღება, საყელონი გარდიხია, ლხინი და შექცევა ზრუნვად გარდაიქცია, შვენიერის შავის თვალით ცრემლი გაღმოყარა და ასე თქვა: „მამის ურჩისა და დედისას და ჰკვიანის კაცის ურჩისა ესემც ნუ დააკლდებისო, კემწიფე მამა და ქვეყანა სატახტოსნოდ გამოშელოდნენო, და ახლა რაღა პირით მივიდეო, ან ლაშქარშიგან როგორ გავიაროო, და ანუ კემწიფენი მამა და დედა ჩემა რილას პირით ვნახოო,

თუ ათასიცა სული მედგას, მე დიაცად გარდაქცეულსა, კაცს
რაღა მიჩვენებსო?“ თვისთა ვეზირთა ასე უთხრეს: „აკი დაგი-
შალეთ და არა ჰქენო, აბა, ახლა რა ვყოთო?“ შან ასე უპა-
სუხა: „თქვენ წადით, მე ეს ჩემი ჭკვით დაშემართაო, და შა-
მასა ჩემსა ასე მოახსენეთ: მე შენის ბრძანების გარდასვლაშან
ასეთი საქმე მიყოო, რომ ათასი ზღვისა ოდენი წყალი ვეღარ
გარეცხს ჩემს აუგსაო, ჩემი საქმე გათავდა და შენს საბატონოს
მოუარეო, მე ალარ მოვალ და ალარც ჩემის თვალით კაცს
ვიხილაო“. ვეზირნი თავ თავისად გადგნენ და რჩევა შექნეს,
არც კემწიფეს დასდივეს და არც მის შვილსა, ორისავ სათნა-
ება გაუშვეს და ასე თქვეს: თუ კემწიფეს ამის ასე ყოფას მო-
ვახსენებთ, ამას არ გვეცყვის, არ კი დაგარიგეთ და რატომ-და
ასვითო, არ გაგვიკითხავს და მაშინვე დაგვხოცსო, აწე რამე
სხვა მოვიგონოთო, და ასეთისა ტყუილით შევიჯერიოთ კემ-
წიფე, რომ სიკვდილისაგან თავი ვიხსნათო. არჩივეს ესრეთ,
ყმაწვილი იქ გაუშვეს და თვით წავიდნენ, შევიღნენ კემწი-
ფესთანა თავ-პირ სისხლიანი, საყელო გარდასეული და ასრუ-
მოახსენეს: „ნაღირობაში ლომი გამოვარდა, თქვენი შვილი
სასროლად წაეწია, ლომი მობრუნდა და შთანთქაო. როგორც
იოსების ორმოში ჩამგდებთა ძმათა იაკობ მოატყუეს, მის
მგზავსად მათვე ვეზირთა იგი კემიწფე მოატყუეს. რა გაიგონა
კემწიფემან შვილის სიკვდილი, ვითა ერთი შვილის პატრონსა-
მართებდა, ისრე მან იგლოვა, ტახტიდამ ჩამოვარდა, თეთრი
წვერი და ულვაში გარდიგლიჯა, საყელო გარდაიხია რა უმ-
კვიდროოებით იტირა, თვითონაც შავი ჩაიცვა და სახემწიფო-
საც შავი ჩაცვა, ასეთი გლოვა გარდიხადა, რომ ეგზომი არა-
ვის ასმოდა, და გასცა მრავალი გლახაკთა და ულონოთა ზე-
დან. და ამა ამბავში კემწიფის შვილი ხალხში გაერია და გა-
აბადლდა. რასაც ალაგს ან წმინდა ალაგი იყო, ან სალოცა-
ვი იყო და ან წმინდა კაცი, ყველგან ილოცა და ღმერთსა
მხურვალისა გულითა შესტიროდა. უსმინა ღმერთმან და იგი
კემწიფის შვილი ისევ ვაჟად გარდაქცია, დაიწყო სიარული.

და მამასთან მივიღა. რა კემწიფემან შეიტყო და ან ხალხმა, ასეთი სიხარული შეიქნა, რომ მართლა მკვდარი გასცოცხლებოდათ, იმდენად მიიჩნივეს. რა სიხარულისაგან მოიცალეს, მერმე თავისი ამბავი ჰქითხეს, და მან ყველა თავისი გარდა-სავალი მოახსენა მამასა თვისსა. რა კემწიფემან ესე სცნა, ჯა-ლადები იხმო და ვეზირნი დაახოცინა. აწე კემწიფეო, რო-გორც ის კემწიფე მოატყუეს მისმან ვეზირებმან, თავისის შვი-ლის საქმეზედ, აწ ისე შენ გიპირებენ და მოგახსენებენო, არც პურ-მარილი სწამთ და არც შენის ქვეყნის შერცხვენის რამ ენალვლებათო“. რა ესე დიაცისაგან გაიგონა და მოისმი-ნა, კიდევ ბძანა კემწიფემ თავისი შვილის სიკვდილი, და აც-ნობეს მეშვიდეს უმცროსსა ვეზირსა, ადგა და წავიდა.

გარი ჭ.

შეგიდა მეშვიდე უმცროსი გაზირი კემწიფესთან უშიშრად და ურადლებდ.

ქევიდა კემწიფესთან, ლმობიერი და ტკბილი სიტყვანი მოიმარჯვა, წადგა ტახტისა პირსა, პირი მიწასა დასდვა და ესრეთ მოახსენა: „კემწიფეო, სხვათა ჩემთა უფროსთა ვეზირთა მცირე რამე სიტყვა იკადრეს და აწცა მეც მოგახსენებო. ეს თქვენ უკეთ უწყით და გსმენიათ, რომ დამბადებელმან ლმერ-თმან მეფენი ქვეყანასა ზედა თავისს სახელ დასახნა, თავის კემწიფობის ნაწილიც მათ მისცა, საუკუნოსა განკითხვისა მა-გიერად, მოსამართლეობა და მოწყალება მოსცა, ესოდენ სულ-გრძელობს შეცოდებულთა ზედან, რომ ნებროთ ექვსასსა წელ-სა ლმერთობას შეეცილა, გოდოლი აღაშენა, არ გაუწყრა მა-ლე, არც აჩქარდა და ეგზომი კაცისა არა უცოცხლია, რომ იმან იცოცხლა. მასუკან რა უყო, თქვენც გასმიათ და უწ-ყით, და ჩვენცა ვიცით დღეს რამდენსა სულრგძელობს და მოწყალეობითა თვისითა არა მსწრაფლ მოგვაგებს შეცოდება-თა პასუხსა, და რისხვასა გვიანობს. აწ თქვენის გვარისა ხი-

საგან ერთი შუვენიერი ახალი შტო ამოსულა, ლამის, რომ უდროოდ და უწყალოდ მოჰკვეთოთ, რასა სჩქარობ მისს სიკვდილსა, დღეს მოიცადე და ხვალ იგი ყრმა ენას ამოიდგამს, მოიყვანე შენი შვილი და იგი ეშმაკი დიაცი, შენს წინ ალაპარაკე და მაშინ შეეტყობის, თუ რომელის თავს არის შეცოდებისა ნიშანი. თუ შენს შვილს უბრალო რამ უქნია შენს საწოლსა და არამშია, მაშინ მოკალ და ყოველ კაცსაც შეატყობინე მისი დანაშაული და არც ვინმე დაგზრახავს მაშინა, უბრალოს შვილის მოკვლის სიბრალულს ნუ დაიდებ, და თუ შენი შვილი უბრალო იყოს, დიაცსა მის უბრალოების პასუხი უყავი“. კემწიფეს ვეზირის სიტყვა მოეწონა და სახვალიოდ ბძანა შენახვა, ბჭობა და სამართლის ქნა. ვეზირმან მოახსენა: ერთსა არავსა სულგრძელობის შეცოდებისა გამშინჯაობაზე მოგახსენებო, და მეორეს არა წმინდას დედაკაცზედ, რომ ემაკობა და ურცხობა ექნას. კემწიფემ თქმა უბძანა და ვეზირმან მოახსენა ესრეთ:

თიმსარი: ჭბ.

უმცროსმა გეზირმა სურგმელებაზე მოახსენა თიმსარი.

ერთსა ქვეყანასა ერთი ჩინებული დიდებული და მდიდარი კემწიფე იყო; უცხო ფერად დედათა გამღევარი და მოყვარული იყო. მას ქალაქსა შიგან ერთი დიდ ვაჭარი ესახლა და ლამაზი ცოლი ჰყავანდა, და ერთი თვის სავაჭროლ წავიდა. კემწიფესა ერთი შინაუმა ყული ახლდა და იცოდა გონება თავისს პატრონისა. დღესა ერთსა იმ ვაჭრის ცოლი უქო და შინ უქრმოდ ყოფნა მოახსენა. კემწიფეს რა ესმა, მასვე წამისა წავიდა, იგი ქალი მარტო ერთს დაფენილსა სახლსა იყო და კემწიფე იქ შევიდა. რა მან ქალმან კემწიფე ნახა, დიდად გაუკვირდა, ადგა მუხლთა მოეხვია და ასე მოახსენა: კემწიფევ, ჩვენ მაგას როგორ ვღირსვართო, რომ შენებრ დიდი და მაღალი კემწიფე აქ ჩვენს სახლში მობძანება გიკაღრებიაო, თუ

სხვა არა გეპრიანება რა, ჩვენ კვლავ აქ მობძანებული არ გვინახობართო, აწ რა გინდა რომა არა ლირს ვიყვნეთ, სტუმარსა მაინც დახვედრა გვმართებსო, გავალ, სასმელ-საჭმელებსა და კარგსა ყირმიზსა ლვინოსა მოგართვამ და მას უკან თქვენი მკევალი და მოსამსახურე გახლავარო, და რომელიც შენი ნება იყოს, იგი ჰქენიო. ოდესცა გავიდა ქალი საჭლმის დასამზადებლად, კემწიფესა ერთი საფილასოფოსო წიგნი გაუშალა და მიართვა და ასე მოახსენა: კემწიფეო, მარტოს მოგეწყინებათ, სანამ საჭმელი გაკეთდებოდეს, მანამ ამაზედ შეექცითო. რა კემწიფემ დახედა და ჰკითხვა დაიწყო, ესრეგ ეწერა: ადამის მონათესავე მოკვდავი კაცი უსამართლოს და ავს საქმეს ერიდოს, და რომელიცა თქვენთვის გეაუგებოდეს-თო, ნურც თქვენ სხვას უზამთო, თუ კაცთა ვინმე სხვათა კართა თითი ჰკრათ, თქვენთა წიხლი ეცემისთო, და წიხლითა-ლა წერაქვითა უფრო დაიქცევისო. რა კემწიფემან ესე ნახა, გაუკვირდა, ზე ადგა და ქალსა მას ასე უბძანა: მე შენთან სხვა საქმე მქონდაო, და შენ ასეთი ბრძენთა და ფილასოფო-სთა ნათქვამი წიგნი მიჩვენეო, რომ ჭკვიანის კაცისაგან მისი გარდასვლა არ იქნებისო, აწე დღეს და დღეის იქით ჩემი დე-და და და იყავო, მის წიგნის ქართულსა არ გარდავალო, და ავსა და უსამართლოს საქმეს ყველას მოვიშლიო. რა ესე ბძა-ნა, ადგა კემწიფე და წავიდა და ზედ წამოსასხამი ტყავი იქ დარჩა. რა ცოტა ხანი გამოვიდა, დიდ ვაჭარიც მოვიდა, შინ შევიდა და კემწიფის ტყავი რასაც წამს ნახა, მაშინვე იცნა. ცოლს ეგრე უთხრა: აქ რას მოუყვანია კემწიფეო, შენთან მას რა უნდოდა თუ ერთი რამ ეშაკობა არ იციო, და ან კვლავ იგი აქ მოსული ვის უნახავსო, მე და შენს სიყვარულს ეგ როგორ უნდოდა და როგორ გაეწყობოდაო? აწ მე ნია-დაგ კემწიფის აქ სიარულს და მეზობლობას ვერ შევიძლებო, ძეგბი გყავს, სამშობლო გაქვს, იქ წალი და როვორც გეწ-დოს, ისე ქენო. ქალმან ბევრი თავი იმართლა, მაგრამ ქმარ-მან არ დააყენა თავის სახლშია. წავიდა იგი ქალი სამშობლო-

სა და ყველა თავისი გარდასავალი თავის ძმებს უამბო. ადგნენ მისი ძმები, ქალიც თან წაიყვანეს და კემწიფესთან საჩივლელად წავიდნენ. იგი დიდ ვაჭარიცა მივიღა. დაიჩოქეს პირველად ამ ქალის ძმებმა, და ასე მოახსენეს: კემწიფეო, ლმერთს ქვეყანაზე შენს უფრო სამართლიანი არავინ დაუბადებიაო, და ამას გეაჯებით, ჩვენი საჩივარი მოისმინოთ და სამართალი გვიყოთო. კემწიფემ თქმა უბძანა და მათ ასე მოახსენეს: კემწიფეო, ამ დიდ ვაჭარს ერთი კარგი და კარგის ნაყოფის გამომლები მიწა მივყიდეთო, აქამდინ ხელთ ჰქონდა, მოიხმარა და ახლა ისევ შემოგვიგდო და ფასს უკანვე გვთხოვსო. კემწიფემ მას ვაჭარს უბძანა: „ეს როგორი სამართალი არიო, მიწა მოუყიდნიათ, ამდენი ხანია გჭერია და ახლა კი ეშლებიო?“. დიდ ვაჭარმან ესრეთ მოახსენა: „კემწიფეო, მე არცა მიწა და-მიწუნებიაო და არც შეუგდებდიო, მაგრამ ლომის კვალი ვნახე, ჩემი და ლომის მეტობლობა და სიარული არ მოხდებოდა და მისოვის შეუგდევო“. კემწიფემ მაშინვე შეიტყო, რომ ეს ამბავი ყველა იმაზედ იქნაო, და ვაჭარს ასე უბძანა: „დასტურ ლომს გაუვლიაო, მაგრამ თუ კი არა ურჩოლია-რა, ვერ შეეშლები, ისევ შენი იყოსო“. რა დიდ ვაჭარმან გული და-აჯერა, რომ კემწიფეს მისის ცოლისათვის არ ერჩოლა-რა, მაშინვე ცოლიც შინ წაიყვანა და მას ძმებსაც შეურიგდა. აწე კემწიფეო, ფიცხლავ გაუჯავრებლობა, აუჩქარებლობა და ცუდის ქართულის აუყოლობა ასე კარგი არიო. ავის დედაკაცის ეშმაკობაზედ და სიმტყუნეზედ ერთსა არავსა მოგახსენებო. კემწიფემ თქმა უბძანა და ვეზირმან მოახსენა.

თამსარა გბ.

ვეზირმა მოახსენა ავის დააცის საქმეზედ თამსარი.

ირთსა ადგილსა ერთი კაცი იყო და ყოვლის ქვეყნის სანახავად წავიდა, და არა ადგილი და ქვეყანა უნახავი არ და-

აგდო, და რომელსაც ქვეყანასა მივიღის, ყოველის მის ქვეყნის დედაკაცისა აუგსა სწერდის. მრავალი ქვეყანა მოიარა და მრავალიცა აღწერა, და ასე თქვა: არას დედაკაცის აუგი არ დამრჩომია. გაათავა სიარული, ორი დიდი ზანდუკი წიგნებით აავსო, შეჰქრა და წამოვიდა, ერთსა ქვეყანასა მოვიდა, ერთს კაცს კარსა მიადგა, სახლის პატრონი კარსა სიხარულით გამოეგება და ჩამოახდინა, თვით სხვაგან საჭმეზე მივიდოდა და ცოლსა კარგა დახვედრა დავედრა. დედაკაცი კარგა დახდომას ეცადა, საჭმლები კარგი მიართვა, ღვინო მისი შესაფერი და თვითონაც გვერდით დაუჯდა. გამოვიდა კარგა ხანი, კაცი ღვინოს კარგა შეექცა, მან დიაცმან ჰკითხა: „ბატონო, მას ზანდუკებში საქონელი თუ რამ გიძევს, ქურდისაგან არა დაუმარცხდეს-რაო, ჩემი ქმარი შინ არ არი და ჩემი სირცხვილი იქნების, შინ შემოვიტანოთო“. მან კაცმან ეგრე უთხრა: „მე საქონელი არ მიძევსო, რაცა ქვეყანაზედ დედაკაცის აუგი არის, იგი დამიწერია და ის მიძეო“. დიაცმან ეგრე უთხრა: „კარგია თუ ყველა დაგიწერია და არა დაგრჩომია-რაო“. მალ-მალ ღვინო მიართვის და ეხუმრის, ამდენი უყო, კაცი იგი აცთუნა და რაც უნდოდა აქნევინა. როდესაც ამ საქმისაგან მოიცალა, ასეთი ხოჭა-გლეჯა დაიწყო, რომ ქვეყანა იქ შეჰყარა. კაცმან რა ესე იხილა, გუნებაში ასე თქვა: ეს დიაცი სხვას რასმე მოიგონებს და მამაკვლევინებსო. შიშით გადაბრუნდა და დაბნდა. რა მის დიაცის კივილზე იმ ქვეყნის ხალხი შეიყარა, ჰკითხეს, რა დაგმართებია და ან რაზედ ჰკივიო? მან ასე უთხრა: „ეს კაცი სტუმრად მოვიდა ჩვენთანა, ჩემი ქმარი სხვაგან წავიდაო და კარგა დახვედრა დამაბარაო, მე რაცა შევიძელ და ან რაცა მებადებოდა, კარგა დავხდიო, ამან მრავალი ჭამა, მჯილვის ოდენს ლუკმებს დაუწყო დებაო, ყელში დაეხირა და ვეღარ ჩანთქაო, და აწ ახლა ასე არიო, რომ მომკვდარიყოა, მას იტყოდნენო, ძალათ მოუკლავსთო“. რა დიაცისაგან ესე მოისმინეს, ყოველნი გაიყარნენ და თავ-თავისთვინ წავიდნენ, კაცი მობრუნ:

და, დიაცმან ეგრე უთხრა: „არკი დედაკაცის აუგი აღარა და-
გრჩომოდა-რა, აწ მე რომ ვხედავ ბევრი დაგრჩომიაო“. კაც-
მან რა ესე მოისმინა, მაშინვე იგი წიგნები დახია და ცეც-
ხლში დაწო, მე ასე მეგონაო, არა დამრჩომია-რაო და ბევრი
დამრჩომიაო, და აწ ეს რაღათ მინდაო. აწ კემწიფეო, ავის
დიაცის ეშმაკობა და მტყუვრობა ამისთანა არისო, როგორც
იმ დიაცმან მოატყუვაო, ისე შენ დიდი კემწიფე ერთს დიაცის
მიუყოლიებიხარ და გატყუებსო. აწ კემწიფესა მის ვეზირის
მონახსენები დიდად მოეწონა, ის დღეც გამოვიდა, რომ შვი-
ლი აღარ მოკლა. რა შვიდი დღე გარდახდა და კემწიფის
შვილის თავზედ ყრილობამ გარდაიარა, დამალული სუმბატ
აქიმიც გამოჩნდა, მივიდა კემწიფის შვილთან, კელსა და ფეხ-
სა მოეცვია, პირი მოუკოცნა და მორჩენა მიულოცა, და ეს-
რეთ მოახსენა: „აწე ამას იქით, რომელიც საქმე ავად მოგიხ-
დეს, და ან ჩემი სწავლა ავად გამოგადგესო, მე მწყევლეო“.

აქა კემწიფის შვილისაგან ხმის ამოდება და სუმბატის გა-
მოჩენა.

კემწიფის შვილმა ლაპარაკი დაიწყო და თავი ვეზირი ახ-
მობინა. რა ვეზირსა კაცი მიუვიდა, დიდად იამა, მაშინვე აღ-
გა და წავიდა. შევიდა, ნახა კემწიფის შვილი და სუმბატ ექი-
მი ერთად ისხდენ. კემწიფის შვილმან ვეზირი დაიწვია, ვე-
ზირმან კელსა აკოცა, ეშმაკის მანქანა და მშვიდობით მორჩე-
ნა მიულოცა. კემწიფიშვილმან ვეზირსა მაღლი უბძანა და
ესრეთ უთხრა: „ჩემის განსაცდელისა და ეშმაკის საფრთხისა-
გან თქვენმა სიბრძნემ მომარჩინაო, უწყალოსა და უსამართ-
ლოს სიკვდილსა ჯაჭვად და ფარად თქვენ გამომიჩნდითო,
კემწიფესა მამასა ჩემსა თქვენი სახამსო რიტორი სიტყვა წინა-
აღმდეგად შეჰქენითო, და თქვენგან ვარო დღეს ცოცხალიო,
და სულისა ჩემისა შერჩომისა მხსნელად თქვენ იქმნენითო“.

პეტწიფის შეიღვა მოციქულად გეზირი აახლო მამასა თვისსა.

ჭარვედ კემწიფისა წინაშედ, ჩემ მაგიერ ტახტისა ფერხთა აკოცეო, და ესრეთ მოახსენეო: „ბედისა და ეტლისაგან აქამდინ ჩემი ვერა მოგახსენე-რაო, ახლა შენი ვეზირები და ბრძენი კაცი შემოიყარეო, მოვალ და გამიკითხეო, და თუ შენს სახლში მე ერთის ბეჭვის შეცოდებისა რამ ვიცოდე და ან მიპოვოო, შვილობისათვის ნუ დამზოგავო, და როგორც ერთის ავაზაკისა, ჩემი სისხლიც ისე დაღვარეო, სუმბატ აქიმსა რომ მიმაბარე, ესეც მანდ გიახლებათ და ჩემს თავსაცა მოგაბარებსო, თუ რომელიცა შენი ბძანება იყო, ყოველივე სიბრძნე და სწავლა თუ არ მესწავლოსო, მას უკან მეც გამიწყერ და სუმბატ აქიმსაცაო, და თუ მართალი გამოვიდეთ, მისი სანუფქო წყალობა გვიყავითო და ჩემს ოსტატს ბარაქალა უბანეთო“. ვეზირი ადგა და წავიდა, შევიდა კემწიფესა, შვილის დავედრილი ყველა მოახსენა. რა ესმა კემწიფესა, გვირგვინი მოიხადა და დამბადებელსა ღმერთსა პირ დამხობით მრავალი მადლი ჰკადრა და დიდათაც გაიხარა, და ბრძანა: ყოველნი ფილასოფოსნი, ბრძენნი და ვეზირნი, თავაღნი, აზნაურნი და ყოველნი ჩვენნი ხალხნი უნდა შემოკრბენო. რა ბძანება ესმათ ყოველნი შემოკრბენ, შეიქნა სიხარული და ღმერთს მადლი მისცეს ხალხთა მის ყრმის მორჩენისათვის.

კართ ქა.

პეტწიფისაგან თავისის შეიღვა და სუმბატ აქიმის კმობა და მისგვა.

ჭემწიფემან შვილი იხმო, სუმბატ აქიმი და ვაზიანი წინ წაუმძღვნენ და შევიდნენ კემწიფესთანა. მათს წინ სუმბატ აქიმი შევიდა, კემწიფეს თაყვანი სცა, დალოცა და ესრეთ მოახსენა: „მაღალო და სვიანო კემწიფეო, ვირემდინ მაღალი საყ-

დარი ლვთისა არ მოიშლება, მანამ შენი ტახტოსნობა ნუ გან-
ქარდებაო, ვირემდინ ოთხთა ბორბალთა ცისათა და ჩარხისა
ბრუნვა და ორთა მათ დიღთა მნათობთა სიარული არ მოი-
შლებაო, მანამ თქვენი ბძანება (ნი) ნუ დასწყნარდესიანო, დღე-
ნიცა შენი მანამდისინ გაგრძელდების, სანამ ცეცხლისა ეტ-
ლითა აღტაცებული ელია ამოვიდეს და ენუქ მწარისა სიკვდი-
ლისა გემო არა იხილოსო, შენი შვილი მრავალთა ბრძენთა
და ფილასოფოსთა კაცთა მიაბარეთო, და თქვენვე უწყით,
რომ ვერა ასწავლეს რაო, მას უკან მე მიბძანეთ და ამისთა-
ნას ძნელს საქმეში ჩამაგდევითო, აწე თქვენცა შეიტყობთ და
გასინჯავთ, თუ რა გვარად გამიწროთვნიაო. არისტოტელმან
რაცა ალექსანდრე მაკედონელს ასწავლა, ნაკლები მე თქვე-
ნის ძისათვის არ მისწავლებია; ოდესცა სწავლა გავათავე და
თქვენსა წინაშე მომყვანდაო, ამის ვარსკვლავი დავნიშნეო,
საეტლოს ჩავხედეო, თუ როგორსა თვალზე ნახოს მამამანო;
ოდესცა გავსინჯე ეტლი და ფილაქანი ამისო, მასვე წამსა
თავს ზარი დამეცაო, შვიდსა დღესა ამ უსუარის ყმაწვილის
თავზედ კმალი დავინახეო, თუ ხმას ამოიღებდა, უფრო ვერ
მორჩებოდაო, მეც მომკლევდი განრისხებული და ვერცარას
ამას ვარგებდიო, მე დავიმალე და ამას ასე დავედრე, თუ ჩემს
მცნებასა დაიმარხავ, ამ შვიდს დღეს კმას ნუ ამოიღებო,
ამან ჩემი მცნება დაიმარხა და ამას კმა არ ამოულიაო; მაგ თქვე-
ნის სიბრძნისა და ლვთის მოყვარებისაგან დიდად მიკვირსო
და თქვენი ვეზირები რომ არა ყოფილიყვნენ, ამ უბრალოსა
ყმაწვილსა ხომ მოკლევდითო იმ ეშმაკის დიაცის სიტყვითაო;
აწ ამისი სიბრძნეც გამოსცადეთო, შაპ-მანუჩარი და ზაალ
ფალავანი ვერცა ერთი უდარებსო“. კემწიფემან რა სუმბატი-
საგან ესე მოისმინა, თავი ჩამოაგდო და ესრეთ უთხრა:
„ბრძენო აქიმო, სირცევილსა შინა ყოფა ძნელი არისო, ცვე-
ლანი წარმავალნი ვართ, აწ გარდასრულსა საქმესა ნულარ
ვახსენებთო“.

შვილსა კელი მოჰკიდა, თვალი და პირი გარ-
დაუკოცნა და ტახტზე დაისო. მამამან თავისი ამბავი ჰკითხა

და მან ყველა მოახსენა, რაც მასა და იმ ეშმაკს დიაცს გარდახედოდა. მერე თავისი სასტატია ასე უთხრა: „ბრძენო აქი-შო, ჩემსა საქმესა ზედა კემწიფესა ნურაზე შეაწყენ თავსაო, ღვთის მგზავსი საქმე და სურგძელება იხმარა ჩემზედანო, ამას რომ ჩემი საქმე მოეხსენა, შვილობისაგანაც რომ უფრო ახლო ვყოფილიყავო, მაშინაც ჩემი ცოცხლად გაშვება არა მართებდაო, აწ გარდასწყდა იგი ამბავიო, დამბადებელისა ღმერთისა ბრძანება იყოო, რომ ამ განსაცდელისა ცეცხლის ქურაში უნდა შევარდნილიყავ და გამოვცხადებულიყავო, ეს არც კემწიფისა ბრალიაო და არცა სხვისა ვისიმე ბრალი არისო, მე ხვანჯისა და განსაცდელისა ცეცხლსა მოთმინებით შეველ და გამოვხალისდიო, კემწიფის დაწყნარებული ჭკუა გამოჩნდა და სულგრძელობაო, და ვეზირთა სიბრძნე და მოხმარება გამომადგაო, ესე ჩემი საქმე იმ ერთის კაცის საქმესა ჰგავსო, ერთსა არაკასა მოგახსენებთო“.

თამსარი კდ.

შგაღმა მოახსენა გემწიფესა თამსარი.

ტრთი მდიდარი კაცი იყო და სამთა თვისთა მუსაიბთა და ამხანაგთა დაპეატიუაო, და თავისი სახლში მიასხა, ადგა იგი კაცი, ერთსა თავისი მუახლესა უბძანა: წადი ბაზარში, ბრინჯი და რძე მიყიდეო, ტკბილი საჭმელი მინდა გავაკეთო და ტკბილად დავხვდეო. წავიდა დიაცი იგი, რძე და ბრინჯი იყიდა, წამოილო, რომ მოაქვნდა, მალლა ერთმა ლაგლაგმა გამოიარა და გველი ჭანგში ეჭირა, იმის სწორედ რომ მოვიდა, გავარდა იგი გველი და მას დიაცს რძის ჭამში კი ჩაუვარდა. დიაცმან იგი გველი ამოილო და გარდააგდო, შიშით კი ვერ გაამულავნა. შინ მივიდა, საჭმელი დაამზადა და მიართო, ოდესუა ჭამეს, სამნივე იგი კაცნი დაიხოცნენ. ეწყინა მას კაცსა პირველად მათი დახოცა და მერმე მის სახლში მოწამლვით სიკვდილი. რა შეიტყეს, მის ალაგისა კაცნი სულ იქ შეიყარ-

ნენ და შეჰქნეს ჰკითხვა, თუ რას მიზეზით დახოცილან ესე
კაცნიო. რა ასე გამოიძიეს, ზედ მიწევნით სცნეს, როგორც
ყოფილიყო. ერთმა კაცმა თქვა, ეს მასპინძლის ბრალიაო,
რასათვის თავისი დამზადებული საჭმელი პირველად თვითან
არა ჭამა და მერმე იმათ არ მიართოო. მეორემ თქვა, მასპინ-
ძელს რასთვის აბრალებთო, მის დიაცის ბრალიაო, როდესაც
იყიდა, პირ-ლია რათ წამოილო და არა დააფარა-რაო. მესამემ
თქვა, არც ერთის ბრალია, იმ ლაგლაგის ბრალი არისო, რა-
ლა მისის რძის სყიდვაში გამოიარა და ჩამოაგდო გველიო.
მეოთხემ თქვა, ეგ გველის ბრალიაო, რათ არის მაგისთანა
გესლიანიო, რომ რასშიაც მიეკარების ცოცხალს აღარ გაუ-
შვებსო, კაცს მიხვდება თუ პირუტყვასო. მეხუთემან თქვა,
არც ერთის ბრალი არ არისო, ბრძანებითა ლვთისათა ყოფი-
ლაო, მას კაცსა ტკბილად დახდომა ნდომებია ამხანაგთა და
ტკბილი საჭმელი მიურთმევიაო, დედაკაცს რა ეფონებოდა
ლაგლაგი გამოივლის და გველს ჩამიგდებსო, ლაგლაგი ხომ
მაგიტომ არ გააგდებდა, რომ რძეში ჩავარდესო, გამოუვლია,
ჯოხი ვისმე შემოუტყოცნია და ფათერაკად გავარდნიაო, და
ღმერთს გველისათვის ყოველთვინ უბძანებია სიავე და ავგვა-
რობაო აწე კემწიფეო, ჩემი საქმე არც თქვენი ბრალია, არც
იმ დიაცისა და არცა ჩემიო, ლვთის ბძანება იყო და, რაც
ღმერთს ეწადა, იგი მოხდა, და თუ მიბრძანებ, დედაკაცის ეშმა-
კობაზე ერთსა არაკსა მოგახსენებო. კემწიფემ თქვა: შვილო,
რაცა გწადდეს თქვიო, და შვილმან მოახსენა თიმსარი.

თამსარი ქე.

შვილმან მოახსენა ქადეგ თამსარი.

Uრთი დედაკაცი წყალზედ წავიდა, კოკა ზურგზედ ეკიდა
და ყმაწვილი მკარზე შეისვა. როს წყალზე მივიდა, ყმაწვილი
ძირს დასვა და წყლის ამოლებას ლამობდა. მიიხედა, თავის
მოყვარე დაინახა და ჭვრეტა დაუწყო, ცნობა ასრე დაეფანტა,

რომ ველარა შეიტყო-რა, იგი ამოსაღები ლრმა იყო და საბლით ჩაშაშვები. იმ დიაცმან მის მოყვრის სიყვარულით ველარა გაიგო-რა, ყმაწვილს საბელი მოაბა და ჭაში ჩაუშვა, მას დიაცს კოკა ეგონა, იქიდამ მისმან მოყვარემან დაუძახა, რას ირჯები, მაგ ყმაწვილს რათ არჩობო! აწ კემწიფეო, დიაცის საქმე ეს არისო, ქვეყანაზედ ათი წილი ნდომა არის, ერთი წილი კაცია აქვსო, და ცხრა წილი დედაკაციაო, და რომელიცა დედაკაცი ამ ცხრას ნდომას მოიჭირვებსო, იგი კარგი იქნების და სიკეთეც მას ეჭირებაო და ავმან დიაცმან რომ ვერ მოიჭირვოსო, რა საკვირველიაო და რალათ დავაბრალებთო. რა კემწიფის შვილმან ეს საუბარი გაათავა, კემწიფემ უბძანა: მაგდენი არაკი ვისგან ისწავლეო, სუმბატ აქიმმან გასწავლა, თუ სხვამ ვინმეო? მერე ყმაწვილმან ეგრე მოახსენა: ჩემთვის¹⁾ არცა სუმბატ აქიმსა უსწავლებიაო და არც სხვას ვისმეო, ერთი სამის წლის ყმაწვილისაგან ვისწავლეო, და ერთი ხუთის წლის ყმაწვილისაგანაო, და ერთი უსინათლოს სიყრმით გან ბრმისაო. კემწიფემ ჰკითხა: როგორაო? შვილმან მოახსენა სამის წლის ყმაწვილისა არაკი.

თიმსარი პგ.

გადეგ მოახსენა შგიღმა თიმსარი.

ერთსა ალაგსა ერთი კაცი იყო და ერთსა დიაცსა ჰყვარბდა, და დღესა ერთსა მის მოყვრის დიაცის ქმარი სხვაგან საქმისათვის წავიდა. რა კაცმან ეს შეიტყო, რომ ჩემი მოყვრის ქმარი სხვაგან წასულაო, იდგა და მსწრაფლად წავიდა. რა მან დიაცმან ნახა, დიდად გაიხარა, შევიღნენ და დასხდნენ, ერთმაერთი მოიკითხეს და შაქრისაგან უფრო უტკბოსი ილაპარაკეს და შეყრისათვის დიდად მხიარულობდნენ. რა ცოტა ხანი გარდახდა, რომელიც შეყრილთ მიჯნურთ წესი იყო, იგი მოინდომეს. მას დიაცსა ერთი სამის წლის ყმაწვილი ჰყვანდა და მასთან შეჩვეული იყო. რა მათ ალერსი იწყეს,

¹⁾ დედანში სწერია: მე.

მივიდა იგი ყმაწვილი და დედას კალთას მოეკიდა, ეცადნენ
შრავალს და ვერას საქმით ვერ გაიყარეს, დაიწყო ტირილი
და ყვირილი, იგინი დაუგებას ეცადნენ, მაგრამ მაინც თავი
ხელთ ვერ იშოვნეს, მას ყმაწვილსა შაქრის პური მიართვეს,
ის აჭამეს, მას უკან რძის ფლავი გაუკეთეს, არც ამით და-
ჩუმდა, მას უკან კიდევ შაქრიანი არისა მოინდომა. მან კაც-
მან ასე თქვა: „ეს რა უნამუსო და ავის ზნის ყმაწვილი არი-
სო, ამდენი კარგი საჭმელი დაჭამა და ახლა კიდევ შაქრის
არისას ითხოვსო“. რა ყმაწვილმან ესე გაიგონა, მას კაცსა
ასე უთხრა: „მე ვყოფილვარ უნამუსო, თუ შენა ხარო, მე ასე
უნამუსო ვარო, კარგი საჭმელი ვჭამე და აწ კიდევ უკეთესი
მინდაო, ამ დედაჩემს საავკაცოდ არ განებებო და მამის სახლს
არ შეგარცხვენინებო, უნამუსო მართლა შენა ხარო, ამ სო-
ფელს შერცხვენილი და მას საუკუნოს წაწყმენდილიო, აწ
ვის სახლსა გინდა ჰკადრო აუგი, და აწ ვინ მოგინდომებიაო?“
რა კაცსა მის ყმაწვილისაგან ასე ესმა, შერცხვა და გაწმილე-
ბული წავიდა, მას დღესა მას ყმაწვილის მიზეზით ველარა
ქნეს-რაო. კემწიფეო, სამის წლის ყმაწვილმან ესე ქნაო და
აწ ხუთის წლის ყმაწვილისასაც მოგახსენებო. კემწიფეშ თქმა
უბძანა.

თამსარი ქტ.

შვილმა მთახსენა ხუთის წლის ყმაწვილისა თამსარი.

Uრთსა ალაგსა სამნი ამხანაგნი მივიდოდნენ და ერთი გუ-
და გატენილი ფლური იპოვეს. იმ ქუჩაში ერთი მოდლევნე-
ბული დიაცი იყო, წაიღეს და იგი გუდა იმას მიაბარეს და
ასე დაარიგეს: როდესაც სამნივ ერთად მოვიდეთო, მაშინ მო-
გვეციო და თუ არა და მარტოს კი ნუ მისცემო. ბებერმა გა-
მოართო და უთხრა, აგრე ვიქო. გამოვიდა ამაში მცირე ხა-
ნი და იგივე სამნი ამხანაგნი ერთად აბანოში წავიდნენ. რო-
დესაც გაიარეს ცოტა ალაგი, ერთი მათგანი დაბრუნდა და

სხვათ ასე უთხრა: აგერ მას ბებერს ფუტა და ტანისამოსი მი-
ბარიაო, გამოვართმევ და ახლავ მოგეწევითო. მათ მართლა
დაუჯერეს. წავიდა იგი კაცი და ბებერს ფლურის გუდას თხო-
ვნა დაუწყო, ბებერმან უამხანაგოთ არ მისცა, როდესაც ბე-
ბერმან აღარ მისცა, ამხანაგო დაუძახა, ამას ვერ შემოხედავთ,
არ მაძლევსო. იმათ ასე ეგონათ, ტანისამოსს სთხოვსო. დაუ-
ძახეს მას ბებერს, გამოუტანე და მიეცო. მან ბებერმან ფლუ-
რის გუდა გამოიტანა და მისცა, იგი კაცნი კი წავიდნენ, მან
იგი გუდა გამოართო, წავიდა, სხვაგან მიაბარა, და თვით მა-
ლე მათ ამხანაგთა მიეწივა. შევიდნენ, იბანეს და გამოვიდნენ
და, რომელმანც გუდა წაიღო, მან აბანოში დაიგვიანა. აღგ-
ნენ იგი ამხანაგები და მას ბებერთან მივიდნენ და ფლური
სთხოვეს. ბებერმა უთხრა, თქვენმა ამხანაგმა წამოიღოთ. მათ
ასე უთხრეს: უჩვენოთ რათ მიეო? ბებერმა ასე უთხრა, არკი
არ ვაძლევდიო, მაგრამ თქვენ დამიძახეთო, მიეცო და იმიტომ
მივეცო. მათ ასე უთხრეს: ჩვენ ფლურისა კი არ დაგიძახეთო,
ასე გვითხრა ტანისამოსი მიბარია და არ მაძლევსო, და ჩვენც
იმისი დაგიძახეთ, რომ მიეცო. აღგნენ, თავის ამხანაგთან წა-
ვიდნენ, ჩხუბი და ყარყაში დაუწყეს, მან კაცმან ფიცით შეი-
ჯერია, რომ არ გამომერთმევინოსო. აღგნენ იგი სამნი ამხა-
ნაგნი და თვით ბებერიც ყადთან საჩივლელათ წავიდნენ, დაი-
ჩოქეს ოთხთავ და ყველამ თავისი საჩივარი მოახსენეს. მერე
ბებერსა ასე უბძანა ყადმან: რომ დაგარიგესო, მანამ სამნივ
ერთად არ მოვიდეთ, ნუ მოგვცემო, შენ მარტოს რათ მიე-
ცო? ჯერ მართალსა შეიტყობლიო, თეთრის მიცემას გეძახდ-
ნენ, თუ ტანისამოსისაო, და მერმე ისე მისცემდიო, ადეგ, აწ
შენ უნდა მისცეო მაგათ თავეთი ფლურიო! აღგა ბებერი და
დალონებული წამოვიდა, ფლური ვერსადა იშოვნა, მივიდო-
და, მიჩიოდა და თავს იჭით-აქეთ აგდებდა. გაიარა ერთსა
ალაგსა, ერთი მისი შვილის შვილი, ხუთის წლის ყმაწვილი,
კოჭაობდა. რა ბებერი ასე ნახა, უთხრა: ბებიავ, რას დალო-
ნებულხარ, მიამბეო. მან დიაცმან მოახსენა: შენ იკოჭავე,

შვილო, რას მკითხავ და ან რა გიამბოო, და ჩემი საჩივარი რომ გიამბო, რას გამივლენო? არ მოეშო იგი ყმაწვილი, და რაცა გარდახედოდა, ყველა ათქმევინა. ყმაწვილმან ასე უთხრა: მაგაზე ნუ დაღონებულხარო, იმათგან რაღვან ასრე გაქვს დაბარებული, სამთავ ერთად მოგვეცო, მიდი და ყადს ასე მოახსენე, სამნივე ერთად მოვიდნენ და მივსცემ-თქო. როდე-საც მოვიდნენ, შენ მას ჰსტაცე ხელი, რომლისათვისაც მიგი-ცია, შენ შვებით გამოხვალ და იმათ, რაც ერჩიოსთ, ისი ქმნან. რა ბებერმან ეს გაიგონა, იამა და მოიწონა და ფიცხლავ მი-ბრუნდა, ყადთან მივიღდა და ასე მოახსენა: როგორათაც მა-გათ თქვეს, ისრევე სამნი მოვიდნენ ერთად და თავიანთს თეთრს მივსცემო. რა მივიდნენ და ერთად თხოვა დაუწყეს, კელი ჰსტაცა, რომლისათვისაც თეთრი მიეცა, თქვენი თეთრი ამისთვის მიმიციაო, და გამოვიდა თითონ შვებით.

თიმსაჲი ჭთ.

აქა ქიდევ მოახსენა მამას არავი.

უამისა ქვეყანაში ერთი დიდ ვაჭარი და მრავლის ქონების ჰატრონი იყო, გაიგონა, რომ მისრეთის ქვეყანაში ერთი მის-ხალი სანდალი ერთ შარიფ ფლურად გავაო. რა ეს ამბავი მო-ისმინა დიდ ვაჭარმან, შეკაზმა და აპერიდა ასსა აქლემსა, წავი-და, და იარა მრავალი ხანი, და მივიღდა მისრეთის და ჩამოხდა ერთსა ქულბაქსა შიგან. კაცნი ვინმე იყენენ ამა ალაგისა უფ-როსნი ვაჭარნი, და რომელიც სხვის ალაგის უფროსნი ვა-ჭარნი და დიდი კაცი მოვიდის, უცხო რამ და სასახელო ჰქონ-დის, ჯერეთ იმათ იყიდიან. რა ვაჭრისა მოსვლა შეიგნეს, მა-სვე წამსა მივიდნენ, მრავალი უსალამეს და მოიკითხეს და კარგათ განუსვენეს, ჰკითხეს, თუ რომლისა ქვეყნითა მოხვე-ლი და ან რა სავაჭრო მოგიტანიაო. მან ყველა უამბო თა-ვისი საქმე და სანდლის მოტანა, მათ კაცთა სანდლის მოტანა მწვედ იამათ, მაგრამ არ გამოუჩინეს და ესრეთ უთხრეს: ვაგ-

ლას მე, ვის მოუცდუნებიხარ და ან ვის დაურჯიხარ ეგრე სა-ბატონო კაცი სანდლის გულისათვის, ამა ქვეყანასა სანდლის უმრავლესი არა იშვების რა, შეშადაც სანდალს ვხმარობთ, საჭმელსაც მით ვამზადებთო. რა ესე უთხრეს, თავის სახლში-გან წაიყვანეს, უნდოდათ, რომ კარგათ ემასპინძლათ. რა მი-ვიდნენ და დასხდნენ, სანდლის სული იდგა და ნახეს, რომ სანდლით მოამზადეს. ერთი ცალი სანდალი მათაც ჰქონდათ და იმ დიდ ვაჭრის დაფოლებისათვის წვა დაუწყეს. ეწყინა იმ დიდ ვაჭარს და ჰქითხა თავისსა ამხანაგსა, თუ როგორ უყო და ან რად მოვიხმარო, შორის გზიდამ ამდონი სანდალი მო-მიტანია და აქ შეშადაც სანდალსა ჰსწვენ. ერთმან უფროს-მან კაცმან ასე უთხრა: მამეც სრულებით ეგ სანდალი და გზის ქირად სამ ჩანახს, რასაცა მთხოვ, იმას მოგცემ, თვალი გინდა, თუ მარგალიტი, ოქრო, თუ ვეცხლი, ყველას გიშოვნი. მან დიდ ვაჭარმან ასე უთხრა: აბა თამასუქი მომეც მაგისთანა, რა-ცა გთხოვო, მომცე და სანდალი შენი იყოსო. გამოართვა თა-მასუქი და საღვეომისაკენ წამოვიდა. გზაზედ ერთი ქვრივი დე-დაკაცი წინ დახვდა და შეატყო, რომ უცხო ვინმე იყო და უსალამეს ერთმანეთსა, დედაშვილურებ მოიკითხა, დაჰპატიუ-და შინ შეიყვანა და ცოტა რამე მალაზირი მიართვა და ჰკი-თხა: საღაური ხარო, და ან რა საქმეზედ ხარ მოსულიო? დიდ ვაჭარმან თავისი საქმე ყველა უამბო, რაც იმ კაცთ ექმნათ. დიდ ვაჭარმან რა ესე საქმე გაათავა, დედაკაცმან ეგრე უთხ-რა: იმ კაცთ მოულორებიხართ, თორემ ამ ქვეყანაში სანდლი-საგან უფრო ძვირფასი რა არის. აწ თამასუქი ხელთა გაქვს და ვეღარ მოეშლები, იყავ, ეს ორიოდ დღე კიდევ მოიცადე, ეგების სრულიად მაშინ არ წაგერთვასო. რა დედაკაცმა ის ალერსი გაათავა, ადგა და შინათკენ წავიდა, და გაიარა იმა სამთა კაცთანა, სამი ჩანახი, რაც ეთხოვნა, უნდოდა გამოერ-თვა. რა მივიდა ნარდს იმღერდნენ და შეექცეოდნენ, დაჯდა იგიცა და მათგანმა უფროსმან კაცმან ასე უთხრა: ნარდი ვი-მღეროთ, თუ გაჯობე, ჩემი თამასუქი ისევ მომეც და თუ მა-

ჯობე, შენსა სანდალსა ისევ მოგცემო და თამასუქიც შენი იყოსო. ითამაშეს და აჯობა დიდ ვაჭარმან, დარჩა თავისი სანდალი და თამასუქი ორივე. ეთამაშა მეორეცა და ეს პირობა დაუდვა: თუ მე მაჯობებ ჩემს საბადებულობას სრულებით მოგცემო და, თუ გაჯობებ ერთი ქვის კაბა შემიკერეო და თუ ვერ შემიკერავ, თამასუქი და სანდალი ორივ უნდა მომცეო. ითამაშეს და აჯობა დიდ ვაჭარსა. ქვის კაბის შეკერვის მეტი ღონე არა ჰქონდა. ეთამაშა მესამე კაცი და ეს პირობა დაუდვა დიდ ვაჭარსა: თუ მაჯობებ, სრულიად ჩემს ქონებას შენ მოგცემ, და თუ გაჯობო, ეს დიდი ხევი სრულიად მოსვიო. ითამაშეს და იმანაც აჯობა. დალონებული წავიდა დიდ ვაჭარი იშავ დედაკაცთანა და თავისი საქმე უამბო. დედაკაცმან ესრეთ უთხრა: რადგან ღმერთმან ეგ გალირსა, შენი სანდალი ისევ შენ დაგჩრა, სხვათ აღარ ეთამაშებოდი, და რადგან მომცდარხარ, მაგის ღონესაც კარგს გასწავლიო. ესე რა სიახლოესა ერთი სიყრმითგან უსინათლო, ბრძენი და ჭკვიანი კაცი არის, აქაური საქმე და სამართალი იმას ეკითხვის და ყოვლისა ძნელისა და საჭიროსა საქმის გამომრჩევი ის არის, მიღი და უჩუმრიად იმის ლოგინს ქვეშ შეჯექ, რომ იმ კაცმან ვერ შეიტყოს. მოვლენ ის კაცნი, შენ საქმეს გაასინჯინებენ და რა გვარადაც იმ უსინათლო კაცმან უთხრას, შენ დაისწავლე და ყადთან ისე ილაპარაკე. ეს დედაკაცის წვრთა და ქართული ყველა დაიჯერა, წავიდა და უსინათლოს კაცის ლოგინს ქვეშ ამოწვა, მოვიღნენ სამნი იგი კაცნი და უფროსმან კაცმან მოახსენა: „შამის ქალაქიდამ ერთი დიდ ვაჭარი კაცი მოვიდა და ასის ყათარის აქლემის საპალნე სანდალი მოიტანა, ჩვენ უცხო ფერად დაუფოლეთ, დალონდა იგი ვაჭარი და ჩვენ მოგვცა, და მე თამასუქი მივეც ასეთი რამ, რაც ეთხოვნა სამი ჩანახი მიმეცა, ნარდი ვეთამაშე, თუ მეჯობნა სანდალიცა მე დამრჩებოდა და თამასუქსაც ისევე გამოვართმევდი, აწე იმან მაჯობა, თავისი სანდალიც ისევე იმას დარჩა, მინდა მივსცე“. რა უსინათლო კაცმან ესე გაიგონა, ასრე უთხრა: „მო-

სატყუებლად მოგინდომებია და იმას მოუტყუებიხარ, სამ ჩანახას რომ დაპირებიხარ, რას მთხოვ, მოგცემო, იმ სამის ჩანახისაგან ერთს ჩანახს სრულად მეწველს ხბოიანს წყვილს გთხოვს, ერთს ჩანახს ქარქაშიან წყვილს გთხოვს, და ერთს ჩანახს ზოგს თოფოსანს და ზოგს შუბოსანს და შენ ვერც ერთს უშოვნი და სრულიად შენი საბადებელი უნდა მისცე“. მეორემან ასე მოახსენა: „მეც ნარდი ვეთამაშე და ვაჯობე, პირობა დამიდვა, ქვის კაბა უნდა შემიკეროსო და თუ ვერ შემიკერავს, თავისი ქონება მომცესო“. კიდევ მასაც ეგრე უთხრა: „შენც მოტყუებულხარ, ქვის კაბის შეკერვას რომ დაპირებ, ის ასე გეტყვის: მე აქაური ტანისამოსის გამოჭრა არ ვიცი, შენ როგორიც გინდოდეს, იმისთანა გამომიჭრო და მეკი შეგიკერაო, შენ ვერ გამოუჭრი და ის გაჭარბებს, და რაც გაბადია, იმას უნდა მისცეო“. მესამემანცა მოახსენა: „მეც ვეთამაშე და ვაჯობე, ესე წყალი რომ ჩამოდის, სრულიად უნდა ამოსვასო“. მასცა ასე უთხრა: „თურმე ჰკუა და მცნება არცა ერთსა გქონიათ, ეს რომ გითქვამს, ეს წყალი სრულიად ამოსვიო, ის ასრე გეტყვის: შენ თავი და ბოლო დაგუბე, ასე რომ აღარსაით შედიოდეს, და მე სრულებით შევსვაო, შენ დაგუბება არ შეგიძლიან და საქმე იმასვე დარჩებისო. აბა დაისწავლეთ და, რაც მეთქვას, ყველა ასე არ დაგემართოთ, არც ჰკუა მქონია და არცარა მის ჟამში მიმხვდარვარ და ნურა რას მოაკლებთ ჩემს ნათქვამს და ნურცა რას დაიჯერებთო“. ამ უსინათლო კაცის ქართული დიდ ვაჭარსა ყველა ესმოდა და ყველა დაისწავლა. წავიდნენ იგი სამნივე კაცნი და დიდ ვაჭარიცა და მივიდნენ ყადთან, ყადმან სამართალი უბრძანა: ამას დაპირებიხარ, რომე სამს ჩანახს, რასა მთხოვ, მოგცემო, აწე რაცა გთხოვოს უნდა მისცე და ან შენის ქონებიდამაც უნდა გადასდგე და მაგ დიდ ვაჭარს უნდა დაანებოო. რა დიდ ვაჭარმან ყადისაგან ესე გაიგონა, დალოცა და ქება შეასხა და ეგრე მოახსენა: შენს უკეთესი და უჭირვიანესი და შენგან უფრო მართლის სამართლის მოქმედი ყადი ქვეყანათა

ზედან არ დაბადებულა და არცა არის, ბრძენო და გონიერო ყადო, ჩემი და მაგის პირობა ეს არის და თამასუქიც კელთა მაქვს, სამი ჩანახი, რაცა ვსთხოვო, უნდა მომცეს, აწ ერთი ასეთი ასი წყვილი მომცეს რამე ზოგი მაკე იყოს და ზოგი ხბოიანი, და ერთი ჩანახი ცხენოსანი და ქარქაშოსანი წყვილი კაცი მომცეს. და ერთი ჩანახი ნახევარი თოფოსანი და ნახევარი შუბოსანი, მე ამის მეტს არც არასა ვსთხოვ და არცარა მინდა. წამოდგა მეორე კაცი და მოახსენა: მე ნარდი ვეთამაშე და ვაჯობე და ქვის კაბას დამპირებია და უნდა შემოკეროსო. დიდ ვაჭარმან ასე უთხრა: შენ გამოაჭრევინე, როგორიც კაბა გინდოდეს, და მე შეკერვის მეტი ღონე არა მაქვს, უნდა შეგიუეროო. კაცმან ვეღარ გამოსჭრა და შეკერვას ვეღარ შეუვიდა. მესამე კაცმან მოახსენა: მეცა ნარდი ვეთამაშე და ვაჯობე და ესა წყალი სრულებით უნდა ამოსვასო. მან დიდ ვაჭარმან ასე თქვა: მწვედ დავპირებივარ, მაგან ასე დააგუბოს, თავი და ბოლო შეუკრას, არც შესდიოდეს და არც გამოსდიოდეს და მე სრულად ამოვსვამ, დააჭარბა ამაზედაც დიდ ვაჭარმან. სამთავე ამ კაცთა საქონელი და თავისი სანდალიცა ძვირფასად გაყიდა და წავიდა შინ მღიდარი მრავლის საქონლით სავსე. აწე კემწიფეო, ჯერ სუმბატ აქიმისაგან მისწავლია და ერთის ხუთის წლის ყმაწვილისაგან და ერთი სამის წლის ყმაწვილისაგან და ერთი ამ უსინათლოს კაცისაგან.

რა კემწიფემან შვილის ნათქომი სიბრძნით მეტყველება გაიგონა, იამა და ღმერთსა დიდი მაღლი მისცა, სუმბატ აქიმსა და ერთობით ვეზირთ ასე უბრძანა: თქვენის სიბრძნის ბალისაგან თვითო-თვითო ყვავილი გამოიღეთ და მითხარით, მე ამ ჩემის შვილის ამდონს სიბრძნესა და მოთმინებას ვისგან მაღრიელ ვიყო. ერთმან ვეზირმან მოახსენა: კემწიფეო, მარგარიტის ცვარი ყოველსა სადაფსა შინა ჩავა, მაგრამ არის ზოგი სადაფი, რომე ცვარსა ასე კარგათ შეიწყნარებს და გაზღის, უხენჯოსა დაამრგვალებს დიდსა ბრწყინვალესა, ყოველთა კემწიფეთაგან სყიდვა შეუძლებელსა და ფას-დაუდე-

ბელსა. სულ კურთხეული დედა მისი ასე გვასმიერ, რომე, რაც კაცთა ძენი გაჩენილიყოს, მისთანა მნათობი და მეორე მნათობი არა ყოფილიყოს, მე ესრეთ ვგონებ, რომ ამისაგან დავიმაღლოთ მისი სიკეთე. საკემწიფო მარგარიტისა ცვარი ეს-რეთ უაუგოთ გაზარდა და შობა. სხვა ვეზირმან მოახსენა: კემწიფეო, მე ამას ასე ვემოწმები და ასეცა მგონია, რომე მიწა რა გინდ ყამირი და მსუქანი იყოს და კარგის ნაყოფის გამომლებელი, მაშინც თესლის სიკეთეზედ ჰკიდია, ავი რამე რომ დათესოს, მიწა იმას ვერ გამოსცვლის, თუმცა სიკეთეს შემატებს, მაშინც თესლზედ უფრო ჰკიდია, რაღა საძებნელია, თქვენი ნაყოფი რამე კარგი იყოს, რა საკვირველია. თუ არა თქვენის სიკეთისაგან სხვისგან ვისგან დავიმაღლოთ? მესამებან თქვა: კემწიფეო, აბა შენი შვილის სიცოცხლესა, შენის ვეზირებისაგან არ მაღრიელ ხარ, რომ შვიდჯერ სასიკვდილოდ გაწირული თავისის სიბრძნით და სიტყვა მოპოვნიერობითა გამოგტაცეს, სრულიად შენი სახელმწიფო და შენა მისის სიკვდილის ცეცხლით დაწვას მოგარჩინეს, და თუ მომკვდარიყო, მისი სიბრძნე და სიკეთე ყველა განქარდებოდა. მეოთხემან ასე თქვა: მგონია, ეგეები უოველივე უსარგებლო სიტყვა იყოს, შენის შვილის სიბრძნე და მოთმინება მოგწონს, აწევისგან ნასწავლები აქვს ეგე სიბრძნე? უწინ, რაც შენ საბატონოში ხელისუფალნი ვიყავით, ყველამ დავლივეთ ჩვენი ხელოვნება და ვერაფერი¹⁾ ვასწავლეთ; სანამდის სუმბატ აქიმსა არა მიაბარე, მანამდის შენმან შვილმან რომელი საკელმწიფო ზნეობა იცოდა? სიბრძნეცა და მოთმინებაცა ყველა სუმბატ აქიმმან ასწავლა, მე ეგრე ვგონებ. წამოდგა სუმბატ აქიმი და კემწიფე დალოცა და ეგრე მოახსენა: კემწიფეო, თქვენის ღვთის მოყვარისა და სოლომონის მსგავსის გულისა და სიბრძნისაგან საქმესა და მერე კემწიფეთა და ქვეყნის მპყრობელთა საქმესა თვინიერ დამბადებელისაგან კიდე სხვას არას მიაჩემებთ. იგი არის თვით სიბრძნისა და ჭკუის მომცემელი და

¹⁾ დედანში სწერია: ვერავის.

მასწავლებელი მხატვარსა ჰგავს, რომე ხატევდეს, მაგრამ მიწაზედან, წამალზედან კელოვნებით ფერთა შეწყობასა რაგვარად განაშვენებს, და სახატავიცა ხელოვნად და მტკიცედ გალესილი და განსპეტაკებული უნდა რომე დახვდეს¹⁾). ღმერთმან თქვენისა და ოქვენის ტახტის შესაფერი შვილი მოგცა, მას დაუმადლე, ჩვენი საქმეც ცოტად შეეწივა, თვარამ ღმერთი არს ყოვლის კეთილის მიზეზი. მოეწონა კელმწიფეს აქიმის ნათქვამი სიტყვა და მერმე შვილიც გამოსცადა და ჰკითხა: „შვილო, შენ როგორ იტყვიო?“ ამა პირსა ზედან კელმწიფის შვილმან ასე მოახსენა: „კელმწიფეო, თუ მიბრძანებ, იმ საქმეზედ ერთსა არაკასა მოგახსენებო“. კელმწიფემ თქმა უბრძანა და შვილმა მოახსენა არაკი.

თიმსანა ქთ²⁾).

ქიშმირის ქვეყანასა ერთი ასეთი მდიდარი კელმწიფე იყო, რომე ქვეყანაზედ უდიდესი კელმწიფე არა ყოფილა. ერთი ასეთი ყოვლის სიტყვით შემკული ქალი ჰყვანდა, რომ რომელიც მისებრ დიდს კელმწიფის შვილსა სიკეთე და სიმშვენიერე ჰეჭირვებია, ყოვლითურთ უნაკლულო გათავებული იყო. კელმწიფესაც იგი ასული სულსა თვისსა ერჩია და მისგან უსაყვარელესი არა ჰყვანდა რა, თვისსა დიდებასა და სახელმწიფოსა მას ანაცვალებდა, ამ სოფელს ლხინად და ყოვლის შეჭირვების განმაქარვებელად მიაჩნდა. დღესა ერთსა მოვიდა დევი მფრინველისა სახითა, მოიტაცა ქალი და წავიდა და ვერა შეიგნეს რა მისი გზა და კვალი. რა კელმწიფემან შეი-

1) მეორე ხელთნაწერში ეს ადგილი ასეა: და მასწავლელი მხატვარსა ჰგავს, რომე ხატვიდეს, მაგრამ მიწისაგან წამალსა კელოვნებით ფერსა მისცემენ და იმ გვარად გააწყობენ, გინა სხვად რამე განაშვენებენ და ქალალდიცა კელოვნებით და მტკიცედ გალესილი უმეტესად განსპეტაკდების და ესრულ განსვენებული უნდა დახვდეს.

2) დედანში სწერია „არაკი“. სათვალავი ჩვენ მივუმატეთ.

გნა, დაიწყო ტირილი და თავში ცემა. წვერ-ულვაში სრულად გარდიგლიჯა, ასე გახდა, რომ სიცოცხლე აღარ ჰქონდა. არცა სვა და არცა ჭამა. საშინელსა ორმოსა შიგან ჩაჯდა და მრავალ უამს გლოვით იყო და ლონესა ეძებდა, ნუ .თუ ეპოვნა ვინმე ასეთი, რომ მისი გზა და კვალი გაეგო. ასე ბრძანა: ვინც ასეთი კაცი გამოჩიდება, რომ ჩემის ასულისა საქმე შემიტყოს და მომგვაროს, იმ ჩემს ასულს მას მიესცემო ცოლად და ჩემსა საბატონოსაც მას დავანებებ. რა ეს კელმწიფის ბრძანება გაიგონეს, იმ ალაგში მსახლობელნი ერთი ასეთი გულვანი და გულ სრული ვაჟი იყო, რომ მისთანა ადამის მონათესავე კაცი არ გამოსულა. მის გუნებაში ერთის ბეწვის ოდენი შიში არ შევიდის, ერთი ასრე ძალიანი ფალავანი იყო, რომ ლომი დაიჭირის და კბილები დააძრის და გაუშვის, და ერთი ასეთი ბრძენი და ფილოსოფოსი და აქიმი იყო, რომ არისტოტელსა და უმიროზსა და ბოლრატ აქიმსა სიბრძნითა და სწავლულობითა იგი ჰსჯობდა, და რომელიც ძნელი და მიუმხდარი საქმე იყვის, ჰყარის რამლი და ამით შეიტყვის და ასრე თქვის: ამ ადგილშიგან ჩვენს მეტი ამ საქმის მცდელი და შემტყობი კაცი არა ჩანს. ჰყარა ბრძენმან კაცმან რამლი და კელმწიფის ქალი ნახა ერთსა მაგარსა ქვაბსა შიგან დევთაგან მიყვანილი, ასეთი ქვაბი იყო, რომ არას ღონით კაცს შესვლა არ შეეძლებოდა და არც მის უამში კაცთა ნათესავი იქ მისულ იყო. თავის ძმებს უთხრა, და წავიდნენ კელმწიფის ქალის გამოსაყვანად და მივიღნენ ქვაბისა ძირსა. გულაღმან კაცმან აღარ მოუცადა თავის ძმათა და არც გუნებაშიგან შიშმან გაუარა, და არცა რა დევთა იქ ყოფნა მიიჩნივა. შევიდა ქვაბშიგან, თურმე დევნი სხვაგან საღმე წასულ იყვნენ. მარტო ქალი დახვდა, გამოიყვანა და ძმათ შეეყარა და წამოვიდნენ, დევნი უკან მოეწივნენ. რა დევთა მოწევნა შეიტყვეს, დადგნენ გულადი და ძალიანი კაცი. შეექნათ ბრძოლა ძლიერი, კაცი დევთა ყველას მოერივა, მოსწყვიტეს და დახოცეს დევები. დევთა მოწევნასა და ბრძოლასა შიგან ქალი შეშინდა

და დასუსტდა, ჭკუა და ცნობა სრულად დაეფანტა და აღარ შეესმოდა რა. კაცთა ნახეს მკვდარი ქალი, ეწყინათ და მას ბრძენსა და აქიმსა ძმასა ესრეთ უთხრეს: ახლა ამისი შენ იციო, რასაც უზამ და ან რასაც სიბრძნესა და აქიმობასა მოახმარებ. მან მეცნიერმან კაცმან ყოველი სიბრძნე იხმარა და დაუწყო წამლობა, ას მასვე წამსა მოაბრუნა და გაამთელა. წავიდნენ, მივიღნენ კელმწიფესთან და მიართვეს ქალი, და ამა კელმწიფემა ღმერთს მრავალი მადლი ჰყადრა და მრავალს ხანსა ლხინითა და სიხარულით შეექცა. იმა სამთა ძმათა ეგრე მოახსენეს: კემწიფეო, ჩვენ თქვენი ბრძანება ყველა გვითავებია და მოგვიგვრია თქვენი ასული და სამართალი თქვენს კელთ არის, რასაც წყალობას გვიზამო. კელმწიფემ გულოვანს კაცს ერთი დიდი სათავადო და სპარსალორობა უბოძა და ძალიანს კაცს იგი თავისი ასული შერთო და საბატონო სრულებით დაანება, და იგი ბრძენი კაცი ვეზირად დააყენა და ერთი სათავადო მას მისცა. აწე კელმწიფეო, ჩემი ასრეა, პირველ ბრძანებითა მღვთისთა მოერჩი და მერმე ამ ბრძენთა კაცთა მიზეზითა. რა ეს არაკი დაათვა, კელმწიფეს ერთობ მოეწონა და მერმე ბრძანა: „მოიყვანეთ იგი დიაცი და ვპკითხოთ, ეს რა ქმნა, რომ ჩემი შეურცხვენელი სახლი ესე გვარად შეარცხვინა და ამისთანა შვილიცა? თუ განგება და ლვთის მოწყალება არა ყოფილიყო და ჩემის შეიდის ვეზირის სიბრძნეცა მღვთის წყალობის მიზეზათ არ შემქმნდა, ჩემისა ხელითა ამ უბრალოს შვილის სისხლი დაიღვრებოდა და ჩემის ხელით ორივე თვალი უნდა წამომეთხარა, ჩემი ტახტი და სახელმწიფო უმკვიდროთ გამხდარ იყო!“

აქა დედაქაცის მოუგანა კელმწიფესთან.

მოიყვანეს იგი დიაცი ტახტისა პირსა გაყვითლებულითა პირითა. ზაფრანა და ქარვა შექმნილ იყო შიშითა. კელმწი-

ფემან შეხედა და ასე უბრძანა: „ჰე, ყოვლისა კაცისა პირის
წყლის განმაქარვებელო და ბანოვანთა პატიოსნებისა და წმინ-
დისა ნამუსისა დამსკრელო, რა ჰყავ ამისთანა საქმე? ყოველი
სირცხვილისა უფალი თავ დაღრეკილი და უპასუხო გახადე,
ჩემის ბედნიერისა სახლისა და საწოლისა ღირს ქმნილმან, ჩე-
მთა უბეთა შიგან ნაწოლმან ეს ჩემი ნაყოფი ცოდვისათვის
როგორ მოინდომე? ღმერთმან შემოქმედმან ჩემთა თეთრთა
წვერთა ზედან ნადენი ცრემლი შეიწირა და სიბერისა დრო-
სა ერთი შვილი მომცა, შენც შვილად გეხელყოფოდა, ჯერეთ
ცოდვა დაპატიჟე და მერე ჩემი სიკვდილი რად მოიადვილე?
ესე ოდენი განასაკრთომელი ცოდვა და უხამსი საქმე, ანუ
ეგდენი ტყუილი სიტყვები როგორ შეიწყნარე, მართალია
დაამსგავსე?“ დიაცემან გაყვითლებული პირი სისხლის ცრემლი-
თა შეახამა, ესრეთ მოახსენა: „კელმწიფეო, დედათ ბუნებისა
მოცოდომა და ნაკლულად დაბადება პირველად დაბადებულია.
ჩემმა უსირცხვილობამა ყველას უსირცხვილოს აჯობა, მე რა
შენი შვილი ახალ მოწიფული ვნახე, არღავანსა ღაწვსი შა-
ვნი წამწამნი ფეხამოშვებით რიგზედან ზედ დადგმოდეს,
და შავნი წარბნი გოზავილოანად ბროლზედან გაზიდული
გაწვდილ იყო; თეთრისა ვარდისა ფერთა ყურის ძირთა ბნე-
ლი ია მოფენილ იყო, იაგუნდისა ბაგეთა ქვეშე თეთრი მარ-
გარიტი მნათობდა, და ზედან შავსა სუმბულსა ულვაშიდ
ამოსვლა დაეწყო, ალვის შტო, ნორჩი ტანი აღმა იტმა-
რთულ იყო, მე ეგე და ისი ყველა დამავიწყდა, გულ-
სა შიგან ესრეთ სურვილისა ბორჯალი ცეცხლი და კვამ-
ლი აღმეგრძნა, რომე მღვთის შიში და ოქვენი მორიდე-
ბა, ნამუსი და ჭკუა, პატიგის საფარველი, ყველა ჩემის
კელითა შევკეცე და დავდევ, საუკუნოსა ცეცხლი მისის შეყ-
რის მოლოდინმა დამავიწყა, გაუსინჯავად და დაუცდელად
ერთი ძნელი ხვაშიადი წამომცდა, მისის სიყვარულითა გახე-
ლებულმან რა ესე ისარი უხამსი პირდალმა გავტყორცე,
იმისი გარეშექცევა აღარ ეგებოდა, კელმწიფისა სინანული

უსარგებლოდ დავინახე, მერმე მომავალსა საქმესა გაუფრთხილდი, სიცოცხლე ყოველის მიწის ნაშობისათვის დიალ ტკბილია, და სიკვდილი საძნელო არის, ამას გამოვეკიდე და რომელიცალა ან სიტყვით შემეძლო და ან ხერხით მოვრჩომილ ვიყავ, შენი შვილი მომკვდარ იყო, მას ჩემი სიცოცხლე მოერჩინა; მე შენის შვილის სიკვდილის მეტი არა მომარჩენდა რა, ამისთვის ვეცადე ყოვლის საქმით მისს სიკვდილსა, აწე არ იქნა და აქამდისინ ვეცადე, ახლა ყოვლის სატანჯველის ღირსი ვარ, მოვსრულ ვარ ტკბილის სულის მიცემის ბაზარშიგან, ფერხი გზაზედან დამიღვამს, თუმცა არ მემეტების, მაშინც გამომიმეტებია“.

კელმწიფემან ვეზირთ უბრძანა: „რომლით სატანჯველითა ხამს ამისი სიკვდილი?“ წამოდგა ერთი ვეზირი და მოახსენა: „კელმწიფევ, ამას თვალების დათხრას ემართლებით, ყველა თვალების ბრალია და თვალით მოსწონებია და მოუნდომებია თქვენი შვილი სავოდ“. მეორემან თქვა: „თვალების ბრალი არ არის, ენა ამოგლიჯეთ ძირითვე, ენით ულაპარაკნია უშვერი საქმე და თქვენი სიკვდილი“. ზოგმა ცხვირ-პირის დაჭრა მოახსენა, ზოგმა კელისა და ფეხისა, ზოგმა სხვა რიგი სიკვდილი. წამოდგა კიდევ სხვა ვეზირი და მოახსენა: „ეგ ყველა ტყული არის. გული უნდა ამოვაგლეჯინოთ, გულშიგან რატომ გაუარა ავმან საქმემან“. რა ეს რჩევა დედაკაცმან გაიგონა, ცოტად გაიღიმა და ასრე თქვა: „ეგ საქმე ფინაჩისა და მელის არაკა ჰვავს“. და სთქვა არაკი¹).

თამსარდ და²).

ტრთსა ალაგსა ერთის ძველის მაშიის მკეთებელი ფინაჩი არის, ტყავებს იქმოდის და მაშიეებს აკეთებდის. შემოეჩია ერთი და სიკვდილი სამი სიტყვა ჩვენს დედანში არ არის, მეორე ხელ-

¹⁾ უკანასკნელი სამი სიტყვა ჩვენს დედანში არ არის, მეორე ხელ-ნაწერიდან შემოგვაქვს.

²⁾ დედანში სწერია „არაკი“. სათვალავი ჩვენ მივუმატეთ

თი მელა, შემოიპარის, მაშიეები და მეში ყველა შეუჭამის. დალონდა ფინაჩი და ასე თქვა: „თუ მე იმას ერთს ხერხს არას მოუგონებ, არ იქმნება“. დღესა ერთსა გააკეთა მახე და დაუგო შემოსაძრომსა კარზედან, დაიჭირა მელა და დაუშინა ჯოხითა თავში, ამდენი ჰსუა, დაბნილა. ფინაჩის მკვდარი ეგონა, მელამ მისებურად თავი მოიმკვდანურა, სახლის გვერდით გაიტანა და დააგდო. მელამ ასე თქვა: „თუ ახლა წამოვხტე და წავიდე, არამცა ძალლები გამომიდგნენ და დამიჭირონ და უფრო ავად მომივიდეს საქმე, ჯერ ასე ვიქმნები და როდესაც ძალლები იქა აქა უკუიფანტებიან, მაშინ გავიქცევი“. ამა საქმით მელა იქავ დარჩა. რო მელის სიკვდილი შეიტყეს, მრავალი კაცი მოვიდა სანახავად. ერთმან კაცშან თქვა: მელის ყური წამლად კარგი გამიგონია, და მოსჭრა, ზოგმა ენა ამოართო, ზოგმა კბილები დააძრო, ერთმან გულს და უწყო გლეჯა. გულის ამოგლეჯა ერთობ ემწოვა, წამოხტა მელა და გარდაიხვეწა. აწე მისი არ იყოს, ისემც ლმერთი თქვენთვის გამოარჩევს, რაგვარადაც გულის ამოგლეჯას კარგად არჩევდეთ!

კელმწიფემან თავის შვილსაც ჰქითხა, ეს რომლის სატანჯელით მოვკლათო? კელმწიფეს შვილმან ესრეთ მოახსენა: „რაგინდა რა მრავლის დამნაშავე იყოს კაცი, დედა-კაცის სისხლშიგან არ უნდა გაერიოს, და არცა კაცსა დედა-კაცის სიკვდილი ენატრება, ამას სხვა არა გაეწყობა რა, ვირზედ უნდა შესვას და ლაფი დაასხას კაცმა, და ეს ქვეყანა ისე მოაროვინოს“. კელმწიფის შვილის ნათქვამი მოეწონათ, და შესვეს ვირზედ, თავს ლაფი დაასხეს და ის თემი და ქვეყანა თავ-ლაფიანი ვირით დააროვინეს.

რა კელმწიფემან დედაკაცის საქმისაგან მოიცალა, ვეზირნი თავ თავისთვის წავიდნენ, დარჩა მარტო სუმბატ აქიმი და შვილიც გვერთ უჯდა. სუმბატს ასე უბრძანა კელმწიფემ: „ბრძენო აქიმო, რადგან ყველა ზეგარდამო დაიწერების კაცის თავსა ზედა დაწერილი, რომე სანამდისინ სიკვდი-

ლისა ხარკისა მომხდელნი მომიხდებოდენ და ყოვლისა კაცისა უხვაიშნოსა ბეგარასა მთხოვდნენ, მევე მოვკვდე ამ უხანოსა სოფლის დაღმენვინემდინ. სვიანისა ტახტიდან უნებელად გარდმომაგდებდნენ, ამ ჩემისა ნელისა ფეხითა შეუშფოდებელად გარდავხდე რაც შენ ჩემზედან სიკეთე ჰქმენ, მეც გარდავიხადო. უბრძანა მეჭურჭლეთა, თავის შესამოსელი გამოაღებინა და თავით ფერხთამდინ სახელმწიფოსა შესამოსლითა შემოსა, მერმე სასწორზე შესვა და ცალვნით ოქრო შეუშონა და უბოძა და ერთი კარგი მისგანვე გამორჩეული ალაგი და სოფელი უბოძა. სუმბატ აქიმმან ტახტისა ფერხნი გარდაკოცნა და პირი მიწას დაჭიდვა და კელმწიფე ჯერისაებრ დალოცა¹⁾][და ეგრეთ მოახსენა:

კელმწიფეო, ლმერთმან შენი ორივე ცხოვრება ვითა გეფერებოდეს და ლირს ხარ, ევრეთ უშურველად მოგცე. მე თქვენი წყალობა არ მაკლია-რა, მარადის მონასა თვისის უფროსის მონება და სამსახური მართებს, მე შენს შვილს სწავლასა როგორ დაუშურვებდი, მაგრამ ყოველი განგებითა ღვთისათა იქნების, რაცა კაცსა გარდახდების თავსა ზედა თვისსა. კაცი როდესაც დაიბადების, თან გამოჰყვების ცნობა კეთილისა და ბოროტისა, და ყოველთა ზედა მოწყალება ღვთისა მიეფინების კეთილსა და ბოროტსა, როგორც მაზე აღყვავებულს წალკოტსაცა მიადგების და მწვირესაცა, ვიდრე მწუხრადმდე, მაგრამ მზეს ვერაფერს ავნებს, და მას ზედან ერთსა თიმსარსა მოგახსენბთ.

¹⁾ ეს პარაგრაფი გიორგი წერეთლის ხელთნაწერში ასეა მოთხრობილი:

რა კელმწიუემან დედაკაცის საქმისაგან მოიცალა და ვაზირნი თავთავისად წავიდენ, დარჩენ მარტო სუმბატ ექიმი და კელმწიფისა შვილიცა გვერდ მჯდომი ახლდა. მაშინ უბრძანა სუმბატ ექიმსა: „ეს ჩემისაყარელი შვილი სიბერის უამს დმერთმან მიბოძა და ყოველი ღვთისა განგებისაგან იქნების, მაგრამ მრავალს ბრძენს და მეცნიერს კაცს მივა-

თმშარი ფა¹⁾.

უთქვა არაკი: „ინდოეთის კელმწიფეს ერთი ვაზირი ჰყვან-
და და თავის სწორად მიაჩნდა, და სრულიად ინდოეთი იმის
კელთ იყო. შვილი არა ჰყვანდა, და როდის ღმერთმან მოხე-
და, უკანასკნელს უამს ერთი შვილი მისცა. როდესაც სწავ-
ლების დრო მოუვიდა, სასწავლოს მისცა. ასრე მაღლ ასწავ-
ლა, რომე ათის და თორმეტის წლისამ ყოველი სწავლა შე-
მოიკრიბა. მამამან მისმან საეტლოს აკითხვინა, თუ რომელის
ბედისა იყოს ძე ესე ჩემი. და ოდესაც ჰერა მერამლემან
და ჰყარა რამლი, ესრეთ მოახსენა: „ესე ძე შენი დიდად სვი-
ანი იქმნების და ბედნიერი, კელმწიფეთაგან დიდსა დიდება-
სა და პატივსა მიიღებს. თქვენ საქმესაც ასე იტყოდენ ბრძენ-
ნი და გონიერნი, რომ ურიგო საქმე არა ქმნას რაო. არცა
ამან ქმნას წინააღმდეგომი საქმე შენი, მაგრამ აქა რამლთა
შინა ერთი საქმე რამე დავინახე: როდესაც გაიზდების, შე-
ნად უკითხავად და ნება დაურთველად შენის სახლისაგან რა-
ლასაც რასმე აიღებს, და ეს ვერ შეგვიტყვია, თუ რა არის“.
ვეზირს დიდად იამა, და როდესაც ხუთი წელი გამოვიდა, ვა-
ჟი მოიწიფა, ვეზირმან ესრეთ უთხრა: „შვილო, ამდენი კა-
ცი შეიქენ, კელმწიფისა მამისა ფერები კოცნა არ გლირსებია,
აწ წამობრძანდი და ნახე“. ვეზირი აღდგა და წარვიდა; და

ბარე და ვერა კაცმან ვერა მოპყიდა-რა სწავლა, და მერმე შენის
უფსკრულის მეცნიერებითა ასეთი საქმე უყავ, რომ მრავლის სწავლითა
დაკლეტილი გული გაუხსენ და ასეთი კაცი შეიქმნა, დღეს ჩემს ტახტს
ჯეროვნად შეეფერების და საკელმწიფოს ჩემს მსგავსად განაგებს. ღმერთს
გარდა შენი დიდი მადლიერი ვარ, და ღმერთთანაც პირნათლად მიხვალ,
როგორათაც ჩემის ტახტის წინ ხარ პირ-ნათლად; ღმერთმან ეგების გარ-
დაგიხადოს, თორემ მე ვერ გარდავიხდი, და ახლა სწორედ მითხარ, იმ
მსახურების მაგიერი ჩემგან რა ვინდა, რომ გიბოძო? სუმბატ აქიმმა პი-
რი მიწას დასდუა, თაყვანი სცა. (ამის გაგრძელება ზემოთ ფრჩხილებში
მოგვყავს იმავე გიორგი წერეთლის ხელნაწერიდან).

¹⁾ ეს სათაური დედანში არ არის.

სასახლისა სიახლოეს ბახჩა ჰქონდა, და ყვავილთა გაშლის ღრო იყო; შებრუნდა მამის უკითხავად, და ბაღშიგან ვარდი და სუნნელი ნერგის ყვავილები დაკრიბა, და ხელსახოცში ჩაიყარა, ტყავს ქვეშ დაიჭირა. რა მოვიდა კელმწიფესთან, ვეზირი მიუძღვა და კელმწიფესა ფერკთა აკოცნინა. ყმაწვილმან გაშალა ხელსახოცი და სურნელი ყვავილები კელმწიფეს მიართვა. დიდად იამა და ვეზირის ნასწავლები ეგონა. ვეზირმან არ მისწავლებიაო, შეფიცა. კელმწიფემან, უბრძანა ვეზირსა და მუნაჯიფთა: „ის ერთი ნათქუამი ქართული როგორ მოხდა?“ ვეზირმან მოახსენა: „კელმწიფეო, დღეს გათავდა, ჩემად უკითხავად ყუავილი დაკრიფა და თქვენ მოგართვათ. კელმწიფეო, მუნაჯიფთა მისი ნაქმარი წინ და წინ შეიტყვეს, მომავალი საქმე არ დადგების, რომე არ გარდავიდეს, ჩვენს სიბრძნის ჭკუაში ასრე დაგვინახამს, რომე ავიცა და კარგიცა მომავალი საქმე არის და არ იქმნების, რომ კაცის თავს არ გარდაბდეს]. ის დღე იმითი გარდაიარა, რო დილა გათენდა, კელმწიფემან ტახტისა და სრა ფარდაგისა მოკაზმა ბრძანა, თვითცა საკელმწიფოთა გვირგვინითა შეეკაზმა საგაზრახოთ, ვითამცა რასმე გასალმებას აპირებდა, და ბედნიერი ხმალი წელთა შემოირტყა. დაჯდა, და კელმწიფის შვილი, (და) ყველანი დასხეს, იაზრეს, რომე კელმწიფესა დიდი რამე საქმე აქვს. უჩუმრობდენ და ყურის მიგდებით იყვნენ. კელმწიფემან ბედნიერი პირი აიღო და ესრეთ ბრძანა: „დიდება შენდა, მოსამართლეო, რომელმან ქვეყანისა და შენთა დაბადებულთა საქმე გარიგება ჩემებრთა ულირსთა მეფეთა დასხმით განაგე, ჩემიცა აქამომდე ინებე ტახტოსნობა, რომელიცა კაცობრივითა უძლურითა ხორცითა მართლ მსაჯულობა გამედრიკოს, შემინდევ!“ ცრემლით ესებრძანა, მერმე მიიქცა, ვეზირთა და დიდებულთა ეგრე უბრძანა: „ჩემნო დიდებულნო და ჩემისა ნებისა მძებნელნო, განგებამან მღვთისამან ესრე მე მაგონა, რომე აქა მდისინ ამის უხანოსა სოფლისა კიდევ, ვითა სხვანი კაცნი ხორცითა ვიმსახურე და განუსვენე, ახლა ღრო არის, რომე

ღმერთსა ვმსახურო. რა გინდ არა სიმართლით იყოს კაცი ამ სოფელსა, მაშინცა სიმდიდრესა შინა სიკვდილსა სიგლახაკეში ჰსჯობს. აწე შემომივედრებია შვილი და საბატონო, მე გავალ ამ საწუთროსაგან და გაუშო ნიშნი შობისაგან გასავალ, რაცა დღენი ღმერთს მოუცემია“. რა ესრე მწარე მოსასმენი გაიგონეს ლაშქართა, იცოდეს, რომ ალარას საქმითა და აჯათა ალარ მოიშლებოდა ეს გაგებული მეფისა. ასეთი გრგვინვა შეიქმნა, რომე სამყარომ დასაქციელად თახთახი შექმნა. შვილი ტახტისა ფერხთა ქვეშე მიწასა დაემხო, პირის სახე გაიხეტქა, იძახდა: „კელმწიფეო, რა ნახე ჩემ შიგან ეგეთი სიკეთე, რომე ესეოდენსა მღვთისაგან დაბადებულსა სულსა და თქვენისა უსწორისა მამაკობითა შენახულსა და მღვთაებრითა სიმართლითა დამშვიდებულთა საკელმწიფოს ჩემთა ხელთა შიგან აგდებ, ესეთსა მძიმეთა ტვირთსა კიცვსა და უმწყსელსა ზურგსა მჰკიდებ, ჯერედ ვაუობისა ქარი თავსა მიდგს, ტვინისა მღერა ჯერეთ არ დამწყნარებია, ყმაწყილური ლხინი და შექცევა-არ უნახავს; ესეთსა ზღვისა შემაცურვებ, რომ ჯერეთ ჩემთვის ადრე არის ეგ საქმე. ოდესცა ბრძანება მღვთისა მოსულ იყო, მაშინ ჯოჯოხეთისაგანაც უძნელე იყო თქვენისა ბეღნიერისა-პირისა უკვრეტელობა“. კელმწიფემან ალარც ვეზირნი აუბნა და ალარც შვილი, გარდახდა ტახტიდალმე. ბეღნიერი ხმალი შემოიხსნა, და (შვილსა) წელთა შეარტყეს და სვიანსა ტახტსა უნებელად დასვეს; გვირგვინი მოიხადა და თავსა დახურა, ეგრე უბრძანა: „ჩემი საკელმწიფო ყოვლის ავის საქმისაგან განწმენდილი დამიგდია სამართლითა სავსედმტერთაგან შეუფერებელი ..¹).“

კელმწიფემან ²) მეჯლიში ბრძანა, სალარონი განახენა, გლახაკთა ზედა ესოდენი გასცა, რიცხვი არ შეიგნებოდა და-

¹⁾ ამის შემდეგ კიდევ ჩენენ დედანში სიტყვებია: აწე ნუმცა დამბადებელისა წინაშე და ნურცა ჩემ წინაშე... (ამით თავდება ჩვენი დედანი).

²⁾ ამ სიტყვიდან დაწყებული ტექსტი ჩვენ შემოგვაჭვს პეტერბურ-

უბრძანა ყოველთა: „დე ჩემი დალოცეთ ერთგულებით და ღმერთსა ურიცხვი მადლობა შესწირეთ, რომელ დე ესე ჩემი სიკვდილისაგან განერა. კელმწიფემან ვეზირთ ქება შეასხა და მრავალი მადლი უბრძანა მის უამითა: „დე ესე ჩემი თქვენის სიბრძნითა და მეცნიერებითა სახიერმან ღმერთმან მომცა და თქვენისავე შრომითა გვამსა შინა სული ჩაუბრუნდა“. მრავალი უბრძა და ეგრეცა ყოველნი ვეზირნი მოიმადლა. მერე სუმბატ ბრძენსა, ვითა მისსა მეცნიერებასა ეფერებოდა, ეგოდენი ქება შეასხა და მრავალი მადლი უბრძანა; ეგეოდენნი წყალობანი მიანიჭა, რიცხვი არ შეეგებოდა, სამოასლითა ძვირფასითა შემოსა და სწორ თავისა ჰყო.

მიერ უამიღან ყოველნივე ღმერთსა აქებდეს და ადის დებდეს. განისმა ესე ამბავი ყოველსა ქვეყანასა, სმიცენ, მხიარულებდენ და შეექცევიდნენ, და არა იყო გულთა მათთა შეჭირვება. დე მეფისა ესეთი ჭაბუკი და სიბრძნისა მქონებელი შეიქნა, რომელ ძველთაგანცა არა სმეოდათ მისებრი მხნე, ქველი კელმწიფე. ამაზედა უჭირველად იყო, და სრულიად ინდოეთი მის კელმწიფისა შემდგომად სამეფოდ მას გამოელოდნენ.

დასრულდა მათი ამბავი, მკითხველთა გულსა ნუცა ღდეს მოეცემის შეჭირვება, სიხარულთა კიდე.

გის საჯარო ბიბლიოთეკის ხელთნაწერიდან (№ 52 თ-ს გრუზინსკის ხელნაწერებისა), რომელიც გადმოუწერია გ. ნ. გეხტმანს 1891 წელს და ჩვენ გვითავაზა.

ჭოგიერთი სიტუაციის ახსნა.

არიტი—ამიტსონი, ამხანავი, საუფალელი.

არდავნი—არდავანი—წითელი, მეწამული, ჭიგრის ფერი.

ასასი—უარაული.

თიშარი—თიშალი—არავი, ამბავი.

კაჭაჭი—ხმელი ღერთ ბალახისა.

კუტალი—ხის ღოქი.

ლანფარნი—ლანჩარი, ლანჩარი—გლეხი ბრინჯის შემშუშევებელი, სოფლელი.

მალაზირი—საჭმელია.

მეჭიშოსანი—მეჭლიაბე.

მოშაითი—საბეჭიე მოსიარულე, აკრიბატი.

მუნაჯიბი—ვარსკელავთ მრიცხველი.

რამლი—სამისნო წიგნი, სამისნო იარაღები.

სალმუნი—სალამური.

სტანბო—სტამნი—პირთართო სარწყული ჰურჭელი.

უსული—სილამაზე, მოხდენილობა.

ფასკუნჯი—მფრინველი, გრიფი.

ქებინი—მარი, მამადიანთ ცოლის მიზდი, მზითვი.

ქულბაჭი—დუქნები ბაზრისა.

ქანი—ადგილი, საღაც ლითონი ითხრება, მაღანი.

უშესალი, უშესალა—ხავსი (? ეს სიტუა არ არის ლექსიკონში).

შუშპარი—თამაშება, ცეკვა, როგვა.

ჭონასინი—ქლიბი.

ჭუუთი—წუკილი, ტოლი.

ს ა რ ჩ ე ვ ი კ ა რ ე ბ ი ს ა.


კარი ۱.	დასაწყისი. ინდოვეთ კელმწიფისა ამბავი და ცხოვრება მისი	1
კარი ۲.	აქა უკეთესის ცოლისაგან მისვლა და ვეზირობის გამორ- ჩევა მისგან	3
კარი ۳.	კელმწიფის ქალისაგან უშვილოების პასუხის მოხსენება. .	5
კარი ۴.	აქა სუმბატ აქიმისაგან კელმწიფის შვილის წაყვანა და ყოვლის სიბრძნის სწავლების დაქადება . . .	10
კარი ۵.	წამოვიდა სუმბატ აქიმი და ასწავლა ძესა მეფისასა.	16
	ძიძისაგან წაყვანა კელმწიფის შვილისა . . .	19
კარი ۶.	კელმწიფის შვილისაგან ხმის ამოღება . . .	20
კარი ۷.	აქა ძიძისა ქართულით კელმწიფებ თავისი შვილი სასიკვ- დილოდ ზისურა ჯალათებს	23
კარი ۸.	მისვლა პირველისა ვეზირისა. კელმწიფის შვილის დამჩს- ნელის სიტყვის მოხსენება კელმწიფის წინაშედ . .	26
კარი ۹.	აქა დედაკაცისაგან მეორედ მისვლა კელმწიფესთან მისი შვილის სიკვდილისათვის მეორე დღესა . . .	35
კარი ۱۰.	მეორეს ვეზირისაგან კელმწიფესთან მისვლა და კელმწი- ფის შვილის სიკვდილისაგან დახსნა იმ დღესა . .	37
კარი ۱۱.	დედაკაცისაგან მესამედ მისვლა	40
კარი ۱۲.	მესამე ვეზირისაგან კელმწიფესთან მისვლა . . .	43
კარი ۱۳.	დედაკაცისაგან მეოთხედ მისვლა. შვილის საჩივარი და დაბეჭდება.	51
კარი ۱۴.	მეოთხე ვეზირისაგან კელმწიფესთან მისვლა და კელმწი- ფის შვილის მორჩენა	52
კარი ۱۵.	დედაკაცისაგან შეტყობა, რომ მეოთხე ვეზირი მისულა და კელმწიფის შვილი სიკვდილისაგან მოარჩინაო. წა- ვიდა მეხუთედ	59
კარი ۱۶.	მეხუთე ვეზირისაგან შეტყობა და კელმწიფესთან მისვლა	60
კარი ۱۷.	კიდევ შეტყობა დედაკაცისაგან, რომ მეხუთე ვეზირი მისულაო და კელმწიფის შვილი მოურჩენიაო. ადგა და მეექვსედ წავიდა	65

კარი 05.	მეექვსე ვეზირისაგან შეტყობა, რომ დიაცის ქართულით კიდევ შვილსა ჰკლავსო კელმწიფეო	68
კარი 07.	მეშვიდეთ მისვლა დედაკაცისაგან კელმწიფესთან გააფთრებული და სიბლიანი	75
კარი 9.	შევიდა მეშვიდე უმცროსი ვაზირი კელმწიფესთან უშიშრად, ურიღლად	78
	აქა კელმწიფის შვილისაგან ხმის ამოღება და სუმბატის გამოჩენა	83
	კელმწიფის შვილმა მოციქულად ვეზირი აახლო მამასა თვისსა	84
კარი 95.	კელმწიფისაგან თავისის შვილისა და სუმბატ აქიმის კმობა და მისვლა	84
	აქა დედაკაცის მოყვანა კელმწიფესთან	99

სარჩევი თიმ სართა.

1.	მელა, მაიმუნი და თევზი	8
2.	ცილობა უფროსობაზე მგლისა, ნელისა და სპილოს შორის	9
3.	ქიშმირის ხელმწიფე და მესპილოე	12
4.	მაიმუნი, ცხვარი და სპილოები	25
5.	თუთიყუში, მასპინძელი და უნამუსო ცოლი	27
6.	დედაკაცი, ორი მისი საყვარელი და ქმარი	33
7.	მრეცხელი ტანისამოსისა და მისი შვილი	36
8.	ერთი ჯუფთი დედალ-მამალი კაკაბი	38
9.	დაკარგული ფული	39
10.	ხელმწიფის შვილი და ქაჯი-ქალი	41
11.	ბერი დიაცი და მტირალი გოშია	43
12.	სამი სურვილი	48
13.	მაიმუნი, ღორი და ხესილი	51
14.	კატა, ყმაშვილი და გველი	54
15.	მეაბანოვე, მისი ცოლი და კელმწიფის შვილი	56
16.	ბოზი დიაცის მიერ დაჭერა თავის ქმრისა	56
17.	თაფლის მშოველი	59
18.	ბოზი დიაცი მამამთილის გამაწმილებელი	61
19.	აგაზაკი, მაიმუნი, და ლომი	66
20.	დამალული ნაქსოვი	68

21. სქესის შეცვლა.	75
22. ლომის კვალი	92
23. კაცი, რომელსაც დედაკაცის აუგი შეუსწავლია	81
24. მოწამლული რძე	86
25. უგუნური დედა და ბობზის ჩაშება ჭაში	87
26. ყმაწვილი არცხვენს დედის მიჯნურს	88
27. ყმაწვილი და ნაპარევი ფული	89
28. სანდალის ვაჭარი და ბრმა ბებერი	91
29. მოტაცებული მეფის ასული და ოთხი მისი მძებნელი	97
30. მელამ თავი მოიმკვდარუნა	101
31. ქურდი ახალგაზდა	104



შეცდომების გასწორება.

	სტრიქ.	სწერია:	უნდა იყოს:
42	13 ზემოდამ	მას	მის.
—	18 —	აცონობეს	აცნობეს.
43	4 ქვიმოდამ	და და	და.
58	5 ზემოდამ	მიეჩედა	მიეჩადა ¹⁾ .
72	7 ქვემოდამ	ექმნათო	უქმნიათო.
75	9 —	მიჰკირავსო	მიჰკრავსო.
76	1 —	ჩემა	ჩემი.
82	3 —	მომკვდარიყოა, მას	მომკვდარიყო, ამას.
91	15 ზემოდამ	თიმსარი კთ	თიმსარი კტ.
96	1 —	გვასმიერ	გვასმიეს.
—	12 —	თქვენის	თქვენის.



¹⁾ დედანში ასე სწერია, მაგრამ უნდა იყოს მიიხედა.